

საქართველოს იკლოტეკა

1239
2004



№2 2004





ქურნალის რედაქცია

ალექსანდრე ლორია – მთავარი რედაქტორი, გურამ თაყნიაშვილი – მთავარი რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი, მზინა რაზმაძე – კომერციული დირექტორი, გულნარა სტურუა – სამეცნიერო-მეთოდური და კორექტორული მუშაობის კოორდინატორი.

ინდსტრუმენტი “ალი”

დამფუძნებლები: საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა; საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

რედაქციის მისამართი:

თბილისი, გუდიაშვილის ქ. №7
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელ. 93-26-82



საქართველოს ბიბლიოთეკა № 2 – 04

შინაარსი

საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკები თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში	4
საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეული – 2004	
გურამ თაყნიაშვილი – როცა სიახლე გრადიციად მკვიდრდება	9
ბაგეშთა დაცვის დღე – წიგნის ზეიმია	11
სოციალური ორიენტაცია	
ნინო დგებუაძე, ნინო ხმალაძე – რა არის სამშობლო?	13
მეცნიერული სიახლე	
ეთერ ფარეხელაშვილი – დისლექცია – საყურადღებო სიახლე	16
ისტორიის ფურცლებიდან	
ლალი ყაულაშვილი – საგამომცემლო საქმე საქართველოში მე-20 საუკუნეში	18
თენგიზ ჩხიტიანი – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება	24
კორესპონდენციები	
ი. ღარიბაშვილი – ახალი ინგლისური ბიბლიოთეკა გორში და მისი მეგობრები	26
თასო ცისკარიშვილი – ბაგეშები ზღაპრულ სამყაროში	28
ელმა ბეკუაშვილი – ბიბლიოთეკა კვლავ აღსდგა	29
მანანა გვარამია – მეგობრობის ზეიმი	31
ლალი გიგაური – გვიან ახლენილი ოცნება	32
ინგა ფილაური-ლორია – ძირითადი პრობლემების გათვალისწინებით	34
ანა ძნელაძე – რა კარგი იყო იმ დღეს ბიბლიოთეკაში!	36
ჩვენი პროფესიონალები	
ნანა რამიშვილი – დაულაღვი მუშაკი	39
ფოთოლა ჩიმაკაძე – მშვიდი პროფესიის ღესპანი	41
ჩვენი მომავალი	
ნინო მოსიაშვილი – ახალგაზრდა პარლამენტარის შთაბეჭდილებები	44
სტუდენტი ეუფლება პროფესიას	
სოფო ლლონგი – თამარ მეფის გერმანელი საქმრო	46
ქეთევან ცეცხერაძე – საქართველოს მეაბრეშუმეობის ბიბლიოთეკა	50
ლუბა პოლოსოვა, სალომე გეგენავა – უცხოური ბიბლიოთეკები საქართველოში (თბილისის მიხედვით)	55
იუბილე	
რუსუდან კვიციანიშვილი – ღვაწლმოსილი მწერალი-ბიბლიოთეკარი და ჟურნალისტი	58
წინაპართა ღვაწლი	
დარეჯან კოტეგიშვილი – ღირსეული წინაპარი	60
ჩვენი ცნობილი მოღვაწენი	
დარეჯან კოტეგიშვილი – მაღლიერების გამოსაგულება	61
რეცენზიები	
ნანა ფირცხალავა – ძვირფასი საჩუქარი წიგნთმცოდნეებსა და ბიბლიოთეკარებს	62
რიტა წაჭაძე – აღამიანებო, იყავით აღამიანები!!!	66
გურამ თაყნიაშვილი – ბიბლიოთეკარი უფერება ბავშვებს	68
გიორგი სარაჯიშვილი – უხუცესი მკითხველი	69
ინფორმაცია	
წიგნის გამოფენა-ბაზრობა ქუჩაში	71
წიგნის ბირვა – სასიკეთო სიახლე	72
შთაბეჭდილების გამოარება არ წყდება	73
ახალი გმასაფლისაკენ	74
მოწოდება თანაშრომლობისაკენ	74
საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა	75
მოსაგონარი	
კეთილსინდისიერად გასრულებული სიცოცხლე	77
ნათელა ლოლუა	79
საცნობოდ საკითხავი	
წიგნზე უოქვამთ:	80

Библиотека Грузии, №2-04

Содержание

Публичные библиотеки Грузии в современном социо-политическом среде -----	4
Неделя Библиотек Грузии – 2004	
Гурам Такниашвили – Когда новшество становится традицией -----	9
День защиты ребенка – праздник книги -----	11
Социальная ориентация	
Нино Дгебуадзе, Нино Хмаладзе – Что такое родина? -----	13
Научное новшество	
Етер Парехелашвили – Дислексия – интересная новизна -----	16
Из Истории	
Лали Каулашвили – Издательское дело в Грузии в 20 веке -----	18
Корреспонденции	
Иракли Гарибашвили – новая английская библиотека в Гори и её друзья -----	26
Тасо Цискаришвили – Дети в мире сказок -----	28
Елза Бекошвили – Вновь возродилась библиотека -----	29
Манана Гварамия – Праздник дружбы -----	31
Лали Гигаури – Позднее исполнение мечты -----	32
Инга Пилаури-Лория – Учитывая основные проблемы -----	34
Ана Дзnelадзе – Как хорошо было в тот день в библиотеке! -----	36
Наши Профessionалы	
Нана Рамишвили – Неутомимый работник -----	39
Потола Чимакадзе – Посол мирной профессии -----	41
Наше Будущее	
Нино Мосиашвили – Впечатления молодого парламентария -----	44
Студенты овладевают профессией	
Софо Глonti – Немецкий жених Царицы Тамар -----	46
Кетеван Центерадзе – Библиотека шелководства Грузии -----	50
Люба Погосова, Саломе Гегенава – Иностранские библиотеки в Грузии (по Тбилиси) -----	55
Юбилей	
Русудан Квирикашвили – Заслуженный писатель, библиотечарь и журналист -----	58
Заслуги предков	
Дареджан Котетишвили – Заслуженный предок -----	60
Наши известные деятели	
Дареджан Котетишвили – Выражение благодарности -----	61
Рецензии	
Нана Пирцхалава – Ценный подарок книголюбам и библиотечарям -----	62
Рита Шакадзе – Люди, будьте людьми!!! -----	66
Гурам Такниашвили – Библиотечарь ласкает детей -----	68
გიორგი სარაჯიშვილი – Старейший читатель -----	69
Информация	
Выставка-продажа книг на улице -----	71
Биржа книги – полезное новшество -----	72
Не прекращается обмен мнениями -----	73
К новому пути -----	74
Призыв к сотрудничеству -----	74
Хроника библиотечной жизни в Грузии -----	75
Память	
Добросовестно прожитая жизнь -----	77
Натела Лолуа -----	79
Для информации	
Сказано о книге -----	80

Table of Contents:

Georgian Public Libraries In Modern Social-Political Environment	4
Georgian Library Week – 2004	
Guram Takniashvili – When A Novelty Becomes A Tradition	9
International Children's day – book festival	11
Social Orientation	
Nino Dgebuadze, Nino Khmaladze – What Does The Homeland Mean	13
Scientific Innovation	
Eter Parekhelashvili – Dyslexia – Important Development	16
From The History	
Lali Kaulashvili – Publishing In 20-th Century Georgia	18
Tengiz Chkhitunidze – Society For Disseminating Writing And Reading Among Georgians	24
Correspondences	
Irakli Garibashvili – New English Library In Gori And Its „Friends“	26
Taso Tsiskarishvili – Children In Fairy World	28
Elza Bekoshvili – Library Has Revived	29
Manana Gvaramia – Celebrating Friendship	31
Lali Gigauri – Dream That Came True Late	32
Inga Pilauri-Loria – Considering Major Problems	34
Ana Dzneldadze – It Was Really Great Day In The Library!	36
Our Professionals	
Nana Ramishvili – Untiring Worker	39
Potola Chimakadze – Envoy Of Peaceful Profession	41
Our Future	
Nino Mosiashvili – Impressions Of Young Member of Parliament	44
Students Mastering The Profession	
Sopho Glonti – German Fiancē Of Queen Tamar	46
Ketevan Centeradze – Georgian Silk Library	50
Luba Pogosova, Salome Gegenava – Foreign Libraries In Georgia (In Tbilisi)	55
Jubilee	
Rusudan Kvirikashvili – Honored Writer, Librarian And Journalist	58
Ancestors Merit	
Darejan Kotetishvili – Honorable Ancestor	60
Famous People	
Darejan Kotetishvili – Expression of the Gratitude	61
Analytical Reviews	
Nana Pirskhalava – The Valuable Gift For Librarians And Bibliophiles	62
Rita Tsakadze – People, be Human!	66
Guram Takniashvili – Librarian provides all kindness to kids	68
Giorgi Sarajishvili – The reader-patriarch	69
News	
Book Fair In The Street	71
Book Exchange – Significant Innovation	72
Continuous Sharing Impressions	73
New Aims	74
Call For Cooperation	74
Chronicle Of Georgian Library Life	75
Memorable	
Honest Life	77
Natela Lolua	79
Reference Reading	
It Was Said About The Book	80

საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკები თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ ბაკეოში

საერთაშორისო ნორმატიული აქტების მიხედვით საჯარო ბიბლიოთეკა გაგებულია როგორც ყველაზე ხელმისაწვდომი, ღია ბიბლიოთეკა, რომელიც უფასოდ ახორციელებს მოსახლეობის კონსტიტუციურ უფლებას საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების სფეროში.

საბჭოთა პერიოდში ამ ამოცანას ემსახურებოდნენ ე.წ. მასობრივი ბიბლიოთეკები. საქართველოს საბიბლიოთეკო პრაქტიკაში 1990-იანი წლებიდან „მასობრივი ბიბლიოთეკის“ ნაცვლად ვიყენებთ ტერმინს „საჯარო ბიბლიოთეკა“. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მასობრივმა ბიბლიოთეკებმა დააგროვეს მკითხველ სამოგადოებასთან მუშაობის მდიდარი გამოცდილება, მაგრამ ერთპარტიულობის პირობებში ეს ბიბლიოთეკები მიჩნეული იყვნენ პარტიის იდეოლოგიის გამგარებლებად; ამდენად, მათი საქმიანობა აგარებდა წმინდა პოლიტიკურ ელფერს, ტენდენციურ ხასიათს. ბიბლიოთეკებში გამეფებული იყო ფორმალური და მართვის მკაცრად რეგლამენტირებული ვერტიკალური სისტემა.

დამოუკიდებელი საქართველოს პირველ წლებში განვითარებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა უარყოფითი ზეგავლენა იქონია საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემაზე; ყველაზე მეტად დაზარალდა საჯარო ბიბლიოთეკების ქსელი. ამ ბიბლიოთეკების რაოდენობა თითქმის განახე-

ვრდა; 4200 ბიბლიოთეკიდან დარჩა 2200; რით შეილება ახსნათ ამ ქსელის მკვეთრი შემცირება? აქ ორი გარემოებაა მხედველობაში მისაღები: ერთი, ბიბლიოთეკების რაოდენობა იმაზე მეტი იყო, ვიდრე ეს ნორმებით იყო გათვალისწინებული, და, მეორე, ამდენ ბიბლიოთეკას, ისეთ პირობებში, როგორშიაც ისინი ბოლო წლებში აღმოჩნდნენ, მართლაც ვერ შეინახავდა სახელმწიფო. საჯარო ბიბლიოთეკები აღმოჩნდნენ საბაზრო ეკონომიკის პირობებში; ცენტრალიზებული დაკომპლექტების მოშლამ და მართვის სისტემების მკვეთრმა ცვლილებებმა პირდაპირი ზეგავლენა იქონია საჯარო ბიბლიოთეკების მუშაობის შინაარსსა და ორგანიზაციულ მხარეზე. საჯარო ბიბლიოთე-



კების დაფინანსების დაკისრებამ ადგილობრივ თვითმმართველობაზე აღნიშნული ბიბლიოთეკები თვითგადარჩენის პრობლემის წინაშე დააყენა. ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ადგილზე გაგარე-

ბულმა საბიბლიოთეკო პოლიტიკამ 1992-1995 წლებში და, ნაწილობრივ შემდგომ პერიოდშიც, მნიშვნელოვნად შებღალა მოსახლეობის ინგერესები, ბევრი დასახლებული პუნქტი – სოფელი, დაბა, უწიგნოდ და უბიბლიოთეკოდ დარჩა. საქართველოს პარლამენტის ერთგვანი ბიბლიოთეკა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია ფლობს სტატისტიკურ მონაცემებს, თუმცა არა ყველა რეგიონიდან, რომლის ანალიზი ცხადყოფს ცალკეულ რეგიონებში შექმნილ მძიმე საბიბლიოთეკო სიტუ-

აცეას. შერჩევით გთავაზობთ ბოგიერთ რაიონში ბიბლიოთეკების რაოდენობის მაჩვენებელს 1991/1992 წლებში და დღევანდელ მონაცემებს:

ლილია. საქართველოს არც ერთ რაიონს აღარ დარჩა ავგობიბლიოთეკა. მომსახურების ეს ფორმა ნაწილობრივ მაინც ავსებდა მთიანი რეგიონის, და არა მარტო მთიანი რეგიონების,

№	რაიონების დასახელება	ბიბლიოთეკების რაოდენობა 1991/92 წწ.	მათი რაოდენობა 2003 წლისათვის	საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე დარჩენილი კუნძულების რაოდენობა
1	2	3	4	5
1	ამბროლაური	56	43	17
2	ლენტეხი	37	23	29
3	საჩხერე	43	36	12
4	დედოფლის წყარო	34	19	-
5	ჩხოროწყუ	53	22	15
6	დუშეთი	64	47	65
7	ქარელი	59	36	32
8	ჩოხატაური	62	32	17
9	წყალტუბო	59	42	2
10	ახალციხე	62	42	7

საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე დარჩენილ დასახლებულ პუნქტად ითვლება ის სოფელი, დაბა, რომელიც უახლოესი სტაციონარული ბიბლიოთეკიდან დაშორებულია 3 კმ-ით. აქ წარმოდგენილი რაიონები და ციფრები ბევრ რამეზე მეტყველებს. რა თქმა უნდა, მოუმსახურებელი უბნები განსაკუთრებით მეტია მთიან რეგიონებში; ამბროლაურში 17, ლენტეხში 29, დუშეთში 65 და ა.შ. როგორც აღნიშნული იყო, ჩვენ ჯერჯერობით ვერ ვფლობთ სრულ სტატისტიკურ მონაცემებს საქართველოს ყველა რეგიონიდან, რომელთა დახასიათება მოგვცემდა სრულყოფილ სურათს: რამდენი დასახლებული პუნქტი დაგვრჩა საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე, რამდენი კომლი, რამდენი ბავშვი და ა.შ.

საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტებს კარგად ახსოვთ, რომ იმ დასახლებულ პუნქტში, სადაც არ იყო გახსნილი სტაციონარული ბიბლიოთეკა, მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურება ხორციელდებოდა ე.წ. მოძრავი ფორმებით – ავგობიბლიოთეკებისა და გაცემის პუნქტების მეშვეობით. ეს ორივე ფორმა დღესათვის, შეიძლება ითქვას, მთლიანად მომ-

მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურებაში არსებულ ხარვეზებს. ამ ორი ფორმის უარყოფამ, რა თქმა უნდა, ბევრი დასახლებული პუნქტი დაგოვა წიგნით მომსახურების გარეშე.

იუნესკოსა და საერთაშორისო საბიბლიოთეკო დაწესებულებების მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებში პირდაპირ მითითებულია, რომ საჯარო ბიბლიოთეკების მუშაობის რეგულირება წარმოებს სათანადო კანონებით. ბევრ ქვეყანაში ცალკე აქვთ მიღებული კანონი „საჯარო ბიბლიოთეკების შესახებ“. ბოგიერთ ქვეყანაში საჯარო ბიბლიოთეკების სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია ზოგადი სახის კანონებში, როგორც ეს საქართველოს სინამდვილეში გვაქვს.

საქართველოს კანონში „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის აგების, ბიბლიოთეკების ფუნქციონირებისა და ეროვნულ საინფორმაციო ინფრასტრუქტურაში მათი ადგილის შესახებ ჩამოყალიბებულია ამ კანონის მე-13, მე-15 და მე-16 მუხლებში. აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის მე-3 პარაგრაფის ბ პუნქტში ჩაწერილია, რომ სახელმწიფო უბრუნველყოფს „თავიანთ გერიგო-



რიაზე ყველა მოქალაქის საბიბლიოთეკო მომსახურებას“. თანამედროვე, გარდამავალ ეტაპზე, როდესაც საბაზრო ეკონომიკამ თავისთავად შექმნა მძიმე სოციალური გარემო, საჯარო ბიბლიოთეკების ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ცხადია, ჩვენი ეკონომიკა, რეგიონების სოციალური მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს კანონის ამ პუნქტების სრულყოფილ რეალიზაციას. ამას ნათლად ცხადყოფს საბიბლიოთეკო სტატისტიკა. დეტალური სოციოლოგიური კვლევა რომ ჩატარდეს რეგიონში, ცხადია, მძიმე სურათს მივიღებთ. აქაც შეიძლება ზოგიერთი რეგიონის სტატისტიკური მაჩვენებლები მოვიშველიოთ იმის ნათელსაყოფად, თუ სად რამდენი დასახლებული პუნქტი და რამდენი მცხოვრებია დარჩენილი საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე: მესტაფონში 1 დასახლებული პუნქტია დარჩენილი მომსახურების გარეშე 11668 მცხოვრებით; ჩოხატაურში – 17 დასახლებული პუნქტი 5113 მცხოვრებით; საგარეჯოს რაიონში – 16 პუნქტი 8460 მცხოვრებით, სენაკის რაიონში – 34 პუნქტი 10.000-ზე მეტი მცხოვრებით. ცალკეა განსახილველი ის დასახლებული პუნქტები, სადაც არც სკოლაა და არც ბიბლიოთეკა. ამ პრობლემის დეტალური ანალიზი გვიჩვენებს, თუ რამდენი დასახლებული პუნქტი და მცხოვრებია დარჩენილი ინფორმაციის გარეშე. ეს ის ადგილებია, სადაც არც გელევიზორია, არც წიგნი და პერიოდიკა;


ახლა შეიძლება გადავხედოთ იმ ბიბლიოთე-

კების მდგომარეობას, რომლებიც დარჩნენ და რომლებიც, ასე თუ ისე, ახერხებენ მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურებას. დღევანდელი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა მოქმედ ბიბლიოთეკებს მძიმე პირობებში აყენებს; თანამედროვე საჯარო ბიბლიოთეკებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

ა) ბიბლიოთეკების აბსოლუტური უმრავლესობა აღარ კომპლექტდება ახლადგამოცემული ლიტერატურით; თუ ეს მდგომარეობა უახლოეს 5-7 წელიწადში არ შეიცვალა, საჯარო ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი დარჩება ფიზიკურად გაცვეთილი მხაგვრული და საცნობარო ლიტერატურის იმედად. ფონდების განუახლებლობა ბიბლიოთეკებს კატასტროფული მომავლის საშიშროების წინაშე აყენებს.

ბ) საჯარო ბიბლიოთეკებს არ გააჩნიათ თანამედროვე დონეზე ჩამოყალიბებული სამართლებრივი საფუძვლები; საბიბლიოთეკო საქმის შესახებ კანონის მიღებიდან გასულია 8 წელი; არ არის შემუშავებული კანონქვემდებარე აქტები, სუსტია კანონის დარღვევებზე რეაგირების მექანიზმი;

გ) საბიბლიოთეკო დარგში დასაქმებული კადრები ხასიათდებიან დაბალი კვალიფიკაციით, ინერტულობით, რაც გამოწვეულია მათი დაბალი შრომითი ანაზღაურებით; ბიბლიოთეკარების ეს არმია დიდი ხანია სიღატაკის ზღვარზე დაბლა დგას, ეკონომიკური ფაქტორი სათავეშივე აღშობს ბიბლიოთეკართა დიდი ნაწილის შემოქმედებით ინიციატივასა და აქტიურობას; ბიბლიოთეკარების დიდ ნაწილამდე ვერ აღწევს უახლესი პროფესიული ინფორმაცია, არ არსებობს საჯარო ბიბლიოთეკების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა. იმ რეგიონების საჯარო ბიბლიოთეკები, რომელთა სათავეში შემართული, პრინციპული და ნამდვილი მენეჯერები მოვიდნენ, გამოირჩევიან თვალშისაცემი წარმატებებით; შექმნილი სოციალური მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით, ბიბლიოთეკების მენეჯერ-



რებმა გაშალეს კოორდინაციული მუშაობა; ისინი აქტიურად შეუდგნენ სახსრების მოძიებას არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო ფონდებთან თანამშრომლობით; აქ შეგვიძლია დავასახელოთ ის რეგიონები, რომლებმაც ასეთი გზებით მოპოვებული თანხებით შეძლეს საბიბლიოთეკო ფონდების განახლება და თანამედროვე ტექნოლოგიების შექმნა. ესენია: ქუთაისი, გორი, ხაშური, ბუგდი, ბათუმი, ხარაგაული, გურჯაანი, ახალციხე, თელავი, ფოთი და სხვ. არსებულ სოციალურ გარემოში აქტიურ საქმიანობას ეწევიან და მკითხველთა მომსახურების მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ რაიონები: სენაკი, თერჯოლა, წყალგუბო, ბესგაფონი, რუსთავი, დედოფლისწყარო, საგარეჯო, ასპინძა, ამბროლაური, სამგრედია, ოზურგეთი, ქუთაისი, გურჯაანი და სხვ.

საჯარო ბიბლიოთეკების წარმატებული ფუნქციონირება ბევრწილად დამოკიდებულია ადგილობრივი ხელისუფლების კეთილგონიერ დამოკიდებულებაზე ბიბლიოთეკებისადმი. აქ დასახელებული რეგიონების და სხვა რაიონების გამგებები, საკრებულოების თავმჯდომარეები, კულტურის განყოფილებები, შესაძლებლობის მიხედვით, სათანადო ყურადღებას აქცევენ საჯარო ბიბლიოთეკებს: დროზე გასცემენ ხელფასებს, გამოყოფენ სახსრებს ფონდების განახლებისათვის, ბრუნავენ ბიბლიოთეკების მაგერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფაზე. ეს შედეგებით ამსუბუქებს შთაბეჭდილებას საჯარო ბიბლიოთეკების მდგომარეობაზე. განსაკუთრებით საგანგაშო ვითარებაში აღმოჩნდნენ მთიან რეგიონებსა და საქართველოს მრავალეროვან რაიონებში მოქმედი საჯარო ბიბლიოთეკები; ცალკე შესწავლის საგანია საჯარო ბიბლიოთეკების გაგვიხვის, გაქურდვის, გაუქმებული ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების მოვლა-პაგრონობის პრობლემა; ადგილობრივი მოსახლეობისაგან ხელყოფილია საჯარო ბიბლიოთეკების სა-

ბიბლიოთეკო ლოკუმენტების ძირითადი ბირთვი; ამ ბიბლიოთეკებში დარჩენილი ფონდების შინაარსი ნაკლებად თუ შეესაბამება მოსახლეობის ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ მოთხოვნებს.

საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკების პერსპექტიული განვითარებისათვის უცილობლად უნდა გადაიჭრას შემდეგი პრობლემები:

ა) ხელახლა დამუშავდეს საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნებისა და განვითარების კონცეფცია უახლოესი ხუთი წლისათვის. საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 7 ივნისის №246 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნებისა და განვითარების 2003-2005 წლების კონცეფცია“ სუსტია, როგორც სახელმწიფო ლოკუმენტი. ახალი კონცეფციის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ წამყვანმა სპეციალისტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებულმა საკოორდინაციო საბჭომ და სხვ.

ბ) საჭიროა დაუყოვნებლივ ითარგმნოს და საჯარო ბიბლიოთეკებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს IFLA-სა და იუნესკოს მიერ გამოცემული სახელმძღვანელო მასალები საჯარო ბიბლიოთეკების შესახებ; იუნესკოს მანიფესტო თავის დროზე ითარგმნა და გამოიცა ცალკე, გამოქვეყნდა აგრეთვე ჟურნალშიც (№1, 2001); ასევე დღევანდელი მოთხოვნილებაა ამ ბიბლი-



ოთეკებისათვის საერთაშორისო და სახელმწიფო სტანდარტების შემუშავება და გამოცემა.

გ) შესწორებებს საჭიროებს საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ, ურომლისოდაც გაურკვეველია საჯარო ბიბლიოთეკების სტატუსისა და ფინანსური დამოკიდებულების საკითხები. შესამუშავებელია კანონქვემდებარე აქტები, დებულებები, ინსტრუქციები, ნორმატიული აქტები; საჭიროა გამარტივდეს მათი დამტკიცების პროცედურა; საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში შემუშავებულია რამდენიმე ინსტრუქცია, დებულება, რომლებიც დამტკიცების სტადიაშია.

დ) საბიბლიოთეკო საქმის შესახებ საქართველოში მოქმედი კანონით (მუხლი 4; პუნქტი ი) საჯარო ბიბლიოთეკები უნდა ღებულობდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებულ გამოუქვეყნებული ნორმატიული აქტების ასლებს. ადგილობრივი მოსახლეობა სწორედ ბიბლიოთეკებში უნდა ეცნობოდეს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებულ ნორმატიულ და კანონქვემდებარე აქტებს. კანონის ეს მუხლი არ სრულდება და ამდენად, საჯარო ბიბლიოთეკები ამ ფუნქციას ვერ ასრულებენ; უფრო მეტიც, საჯარო ბიბლიოთეკები არ იცნობენ სამთავრობო გამოცემებს, საკანონმდებლო აქტების კრებულებს, საქართველოს პრეზიდენტის ბიბლიოთეკის მიერ შედგენილ და გამოცემულ ოფიციალურ მასალებს („სახელმწიფო მოხელე“, „ეკონომიკური სიახლენი“, „სამთავრობო მოამბე“ და სხვ.). ისინი ნაკლებად ხელმისაწვდომია საჯარო ბიბლიოთეკებისათვის.

სახელმძღვანელო მასალებისა და იურიდიულ-ნორმატიული დოკუმენტაციის გარეშე საჯარო ბიბლიოთეკები ნაკლებად ერკვევიან თავიანთ უფლებებში. ეს გარემოება ბიბლიოთეკების ხელმძღვანელობის ერთ ნაწილს უბიძგებს ინერგულობისა და უმოქმედობისაკენ. ის ფაქტი, რომ საჯარო ბიბლიოთეკების

შენახვა, მოვლა-პატრონობა და პირობების შემქნა სახელმწიფოს მოვალეობაა, სრულიად არ ნიშნავს, რომ ეს ბიბლიოთეკები დამოუკიდებლად არ ეცადონ დამატებითი საარსებო საშუალებების გამონახვას; გემოთ ჩვენ აღვნიშნეთ იმ რეგიონების ბიბლიოთეკები, რომლებმაც ამ მხრივ ერთგვარ წარმატებას მიაღწიეს, საჯარო ბიბლიოთეკების საქმიანობაში არასამთავრობო ორგანიზაციების როლსა და ამ დარგში უკანასკნელ წლებში მიმდინარე ინოვაციური პრობლემების შესახებ ვიუწყებოდით ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში (№4 2003, სარედაქციო); აქ შეიძლება პრობლემად დაისახოს საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის ხელახალი გამოკვლევა და ანალიზი. ასეთი მცდელობა ჩაატარა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ და საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ. ეს იყო 2000 წელს. ის სტატისტიკური მონაცემები, ცხადია, ბევრწილად მოძველდა. შეიცვალა რეგიონებში საბიბლიოთეკო სიგუაცია, უმეტესად მოსახლეობის ინტერესების საზიანოდ. ამდენად, საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის გამოკვლევა ხელახლა უნდა დადგეს დღის წესრიგში, რათა რეალურად შემუშავდეს ამ ბიბლიოთეკების განვითარების კონცეფცია და მას ჰქონდეს ნამდვილი სახელმწიფო პროგრამის სახე, რომელიც თანდათანობით იქნება რეალიზებული.

საჯარო ბიბლიოთეკები, თანამედროვე გაგებით, ყველაზე ფართოდ ხელმისაწვდომი, მოსახლეობის ყველა სოციალური ჯგუფების ინფორმაციული უზრუნველყოფის, საგანმანათლებლო და საინფორმაციო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დაწესებულებებია, მათ შემთხვევით როდი უწოდებენ „ბიბლიოთეკებს კვლების გარეშე“. საჯარო ბიბლიოთეკები უნდა დაფაყენოთ სრულყოფის გზაზე. მათ თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ ქართულ სახელმწიფოებრიობის დემოკრატიული საწყისების ფორმირებისა და ინფორმირებული მოქალაქის ჩამოყალიბების საქმეში.

გურამ თაყნიაშვილი

როსა სიასლე ტრადიციად მკვიდრდება


საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეული, რომელსაც დასაბამი 2002 წლიდან დაედო, მართლაც რომ ტრადიციად მკვიდრდება. ამ საყოველთაო ხასიათის მოძრაობაში ჩაება საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა უწყების ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკები ამ დღეებისათვის საგულდაგულოდ ემზადებიან: ამზადებენ შეხვედრებს, მხაგრულ ღონისძიებებს, პრეზენტაციებს, მასპინძლობენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების პასუხისმგებელ პირებს; კვირეულის დღეებში სულ უფრო ცხადად გამოიკვეთა ბიბლიოთეკების როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში; წიგნისა და ბიბლიოთეკის მოყვარულნი ხალხით მიდიან ბიბლიოთეკებში, ჩუქნიან წიგნებს, მონაწილეობენ ღონისძიებებში.



წელს საბიბლიოთეკო კვირეული 23 აპრილს გაიხსნა თბილისის მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკაში. დარბაზი დამსწრეებს ვერ იტევდა. გახსნაზე კვირეულის ორგანიზატორებთან ერთად, ბიბლიოთეკების საჭირობოროგო საკითხებზე ისაუბრეს საქართველოს კულტურის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ ბაბა ბეგაშვილმა, თბილისის მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა დავით ოქიგაშვილმა, კულტურისა და განათლების პროფკავშირების თავმჯდომარემ ციცი ჯაფარიძემ, საქართველოს საბიბლიოთეკო და ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციების გამგეობის წევრებმა და სხვ.

23 აპრილიდან 30 აპრილამდე ჩატარდა მრავალი ღონისძიება, რომლებიც, ერთის მხრივ, აგარებდნენ საზოგადოებრივ ელფერს, ხოლო მეორე მხრივ, საქმიანი საუბრების სახესაც. ერთი კვირის მანძილზე ღრმა შინაარსიანი სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციები გაიმართა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნი-





ვერსიგეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-ფუნდამენტურ ბიბლიოთეკაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ, საქართველოს სახელმწიფო ტექნიკურ და სხვა უწყებათა ბიბლიოთეკებში. კვირეულის დღეებში თბილისში იმყოფებოდა აშშ-ს სიმონსის კოლეჯის პროფესორი შეილა ინგნერი და მისი კოლეგა ბობი ფარბოგსონი. კვირეულის პროგრამით საინგერესო შეხვედრები გაიმართა გურჯაანის, თელავის, ახალციხის, თერჯოლის, საჩხერის, ღუშეთის, ქარელის, მცხეთის, კასპის, გორის, ხაშურის და სხვ. რეგიონების მთავარ ბიბლიოთეკებში. ქუთაისის სამეცნიერო-უნივერსალურ ბიბლიოთეკაში შეხვედრა მოუწევს იმერეთის მხარის ყველა რაიონის ბიბლიოთეკების დირექტორებსა და კულტურის განყოფილების გამგეებს. საქართველოს საბიბლიოთეკო და ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციებმა დროულად დაბეჭდეს პროგრამა, მოსაწვევები, პლაკატები და სხვა სახის თვალსაჩინო მასალები. ინფორმაცია კვირეულის შესახებ დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (2004, 30 მარტი);

საინგერესო აღინიშნოს, რომ კვირეულის პროგრამით ბევრი საინგერესო ღონისძიება ჩაატარეს სასკოლო ბიბლიოთეკებმა, თბილისის სასკოლო ბიბლიოთეკებიდან აღსანიშნავია: №11, 10, 32, 41, 182, 164-ე და სხვ. სკოლების ბიბლიოთეკები.

კვირეულის საბეიმო დახურვა მოეწყო საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 30 აპრილს, ბიბლიოთეკარის დღეს. დახურვის ცერემონიალს უძღვებოდა თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ქეთევან გაბაგაძე. დახურვაში მონაწილეობდა საქართველოს კულტურის და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქვარიანი. კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, საბიბლიოთეკო დარგში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ფასიანი საჩუქრები, დიპლომები და სიგელები გადასცეს დეაწლმოსილ ბიბლიოთეკარებს. კვირეულის ორგანიზატორები ივ. როშეს მადამიამ თავისი ნაწარმით დააჯილდოვა.

კვირეული ოფიციალურად დაიხურა, მაგრამ მისი პროგრამით მუშაობა გრძელდება. კვირეული სულ უფრო დიდ მასშტაბებს იძენს. კვირეულის ამსახველ მასალებს მიეძღვნება ჩვენი ჟურნალის სპეციალური ნომერი.






ბავშვთა დაცვის საქართველოს დღე – ნიბნის ზეიშია!



„მლაპრის ოთახის“ მკითხველები

ბავშვთა დაცვის დღე! – განა ყოველი დღე მათ დაცვას არ ეძღვნება? განა ყველა ბავშვი თანაბრად არ უნდა სარგებლობდეს ამ უფლებით? რა დასაზიანებია, რომ ქვეყნად ასე არ არის – ათასგვარი კანონი და წესები არსებობს, რომლებიც პაგარების უფლებებს იცავენ. ბედნიერია ის ერი, რომელსაც რაც შეიძლება ნაკლებად აქვს ამასთან დაკავშირებით პრობლემები, რადგანაც ბავშვები ხომ ხვალინდელი დღეა? მხოლოდ და მხოლოდ დღევანდელი ბავშვების აღზრდა-განათლება, მათი უფლებების დაცვა არის ქვეყნის კეთილი მომავლის გარანტია.

ჩვენში საგრძნობი პრობლემებია ამ მხრივ. ამიგომაც უმნიშვნელოვანესია ყველაფერი ის, რაც ბავშვებისათვის კეთდება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა მათი უზრუნველყოფა წიგნით, მათი მოზიდვა ბიბლიოთეკაში, მათთვის წიგნიერი გარემოს შექმნა.






საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია გულისყურით მოეკიდა ამას. შექმნილია სასკოლო ბიბლიოთეკების განყოფილება, მწიგნობართა ასოციაციასთან ერთად ჩაგარდა სასკოლო ბიბლიოთეკების დათვალიერება-კონკურსი, შედგენილია პროექტები სანიმუშო საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკების შესაქმნელად და წარდგენილია დაფინანსებისათვის, რაც რეალურად შეიძლება განხორციელდეს უმო-



საქმიანობა ბავშვ მკითხველთა მომსახურებისათვის. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის საბიბლიოთეკო კვირუღში, როგორც არასდროს, ისეთი აქტივობა გამოჩინეს სასკოლო და საბავშვო ბიბლიოთეკებმა.



მაგრამ ყოველივე ეს იმდენად მცირეა, რომ მას არ ძალუძს დიდი ზეგავლენა მოახდინოს ბავშვთა წიგნიერების დონის ამაღლებაზე, რაც უპირველესი ამოცანაა არა მარტო საბიბლიოთეკო, არამედ მთელი საზოგადოებისათვის.

სოციალური ორიენტაცია

ღია საბოგალოების ერთ-ერთ კონსულტაციაზე ყოფნისას ჩემი ყურადღება ორმა გვერდი გვერდ მჯდომმა ქალიშვილმა მიიპყრო. შევეხებინა №46-ე საშუალო სკოლის პედაგოგები აღმოჩნდნენ: ნინო დგებუაძე – მათემატიკოსი და ნინო ხმალაძე – ფსიქოლოგი. საბიბლიოთეკო ცხოვრებით დაინტერესება შევნიშნე და ამიტომაც ჩვენთან – ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქციასთან თანამშრომლობა შევთავაზებ, გაირკვა, რომ ისინი სასკოლო ბიბლიოთეკის დიდი ქომბაგები არიან, რის გამოც საბიბლიოთეკო ასოციაციაში გაერთიანდნენ. ამჟამად მათ პატარა გამოკვლევებზე მუშაობენ; ვფიქრობ, მოსწავლეთა დამოკიდებულება სამშობლოსადმი ჩვენი ჟურნალის თემატიკას უთუოდ გაამდიდრებს.

ჩვენს ჯერ კიდევ ახალგაზრდა პედაგოგებს სხვა მასალებიც აქვთ, რომლებიც სოციალურ სფეროს განეკუთვნება. იმედია, მათი ნარკვევი უთუოდ გამოიწვევს მკითხველის ინტერესს.

გულნარა სგურუა
სამეცნ.-მეთოდ. და კორესპონდენტებთან მუშაობის
რედაქტორ-კოორდინატორი



ნინო დგებუაძე, ნინო ხმალაძე
თბილისის 46-ე საშ. სკოლის პედაგოგები

რბ არის სამშობლო?

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში მომხდარ ძირეულ ცვლილებებს, ეთნიკურ და სამოქალაქო კომფლიქტებს თან მოჰყვა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, არასტაბილურობა, ქვეყანაში გაჩნდა ახალი ღირებულებები, მორალური ორიენტირები, შეიცვალა ურთიერთობათა სისტემები. დამოუკიდებლობის პირველი წლების დროს უმძაფრესი იყო ემოციური ფონი: სამშობლო, სამშობლოს დაცვა, სამშობლოს სიყვარული, პატრიოტიზმი, პატრიოტული გრძნობა და სხვა, მუდამ გვეკერა ენაზე. დღეს ეიფორულმა გრძნობებმა იკლო და „სამშობლოს“ ცნებამ თითქოსდა დაკარგა მოღურობა და აქტუალობა. ალბათ, დღეს ქვეყანას ბევრად უფრო მეტი სჭირდება, ვიდრე გრძნობები და სიყვარული. სამშობლოს სიყვარული და მტკიცებას – საქმის კეთებას ითხოვს.

საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და

უნეგარესი ილია II სააღდგომო ეპისკოპლეში აღნიშნავს: „ძნელია გამოთქვა ჩვენი გრძნობა სამშო-



ბლოსადმი. თუ ვიგვით, რომ იგი გვიყვარს, – ეს არაფრისმთქმელი ფრაზაა. ჩვენ სისხლხორცეული ნაწილი ვართ ჩვენი მამულისა, იგი საუნჯეა ჩვენი. ჭირს გარჩევა, ჩვენ ვცხოვრობთ მასში, თუ ის სახლობს ჩვენს გულში. სამშობლო – ესაა ენა ქართული, ესაა სული ჩვენი დიდებული წინაპრებისა, ათასობით წმინდა მოწამისა, მეფეთა, კათალიკოს-პატრიარქთა, ღირსთა და ღმრთისმოსავ მამათა და ღელათა, ესაა ჩვენი უთვალავი გაძრები და მონასტრები, ჩვენი სიწმინდენი, ხელოვნება, არქიტექტურა, მწერლობა, ესაა ჩვენი ხასიათი და ამროვნების წესი: სამშობლო ჩვენი დიდი იმედია. მისდამი

გრძნობა იმდენად ამაღლებული და სათუთია, როგორც სიყვარული ღვთისადმი. ამიგომაც ამბობს ქართველი: „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“. ალბათ ძნელია უფრო უკეთ განიმარტოს ცნება „სამშობლო“, გამოითქვას დამოკიდებულება მის მიმართ.

სოციოლოგიური ანალიზის მიხედვით, სამშობლოს ცნება უპირველესად განსაზღვრულ ადგილს ეხება, სადაც ერი სოციალურ შემოქმედებას ეწევა. თუმცა სამშობლოსა და ერის ცნება ერთიდაიგივე არ არის. ერი არის განსაზღვრული, სოციალური სუბიექტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს სამშობლო, ე.ი. ადგილი, სადაც იგი აღზრდილა, განვითარებულა, შეუქმნია წარსული და აწმყო, ცდილობს მომავალშიც განაგრძოს თავისი არსებობა, ე.ი. სამშობლო ის ადგილია, სადაც იგი განსაზღვრულ მომენტში ცხოვრობს. ეს ადგილი „სამშობლოა“.

სამშობლოს ცნება განუყოფელია ერისაგან. მეხსიერება წარსულისა, შეგნება ერისადმი კუთვნილებისა, მისი კულტი, ეროვნული თავმოყვარეობა და სხვა – აი, რა აცოცხლებს ადამიანთა გულში იმ სიყვარულს, რომელიც მას უღვივის განსაზღვრული ადგილისადმი.

თუ ადამიანთა რწმენა ეროვნული არ არის, თუ ეროვნული მუსიკა მას არ აღაფრთოვანებს, თუ ეროვნული ინდივიდუალობის დაცვა ვალად არ მიაჩნია და თავს არ შესწირავს მას, არც სამშობლოს წარმოდგენა აქვს და არც პაგრიოტული გრძნობისა. ამ მხრივ, სამშობლო განსაზღვრულ გერიგორიაზე მთელი ერის წარსული და აწმყო ცხოვრებაა, რომლის თითოეული ეპიზოდი რაღაც მწარეს ან ტკბილს აგონებს ადამიანს. მას უყვარს ეს ადგილი მთელი თავისი არსებით, მზად არის თავი შესწიროს მას.

„სამშობლო ეს ის არსებაა, რომლის წიაღთა შინა ადამიანი მუდამ ვარჯიშობს მამულიშვილობით, საკუთარი მამულიშვილობით“ (მ. წერეთელი „ერი და კაცობრიობა“).

ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანი იყო გამო-

გვევლინა თაობათა დამოკიდებულება სამშობლოს ცნების მიმართ. ამ საკითხზე მუშაობისას მოგვეცა საშუალება, გავცნობოდით, თუ რას ფიქრობენ ბავშვები და უფროსები სამშობლოს შესახებ. მუშაობის პერიოდში ჩვენ მივეცით საშუალება 115 ადამიანს კითხვარის შევსებისას 5 წუთით მაინც დაფიქრებულებს კითხვაზე: რას ნიშნავს მათთვის სამშობლო? ამით ალბათ ჩვენი მთავარი მიზანი უკვე მიღწეულია. და ამასთან მოვნახეთ თემა, რომელიც საერთოა მასწავლებელთათვის, ასევე მშობელთა და მოსწავლეთათვისაც.

გამოკვლევისათვის შევადგინეთ კითხვარი, რომელშიც დასმული იყო ღია კითხვა:

რა არის თქვენთვის სამშობლო?

რესპოდენტებს საშუალება ჰქონდათ თავისუფლად გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება ამ საკითხის გარშემო. გამოკითხვა ჩატარდა 115 რესპოდენტზე. გამოვყავით სამი ასაკობრივი ჯგუფი:

I. 10-13 წწ 49 რესპოდენტი,


II. 14-17 წწ 36 რესპოდენტი,

III. ჯგუფი 21 წლის ზემოთ 30 რესპოდენტი.

გამოვყავით ძირითადი კრიტერიუმები (მოსაზრებები), რომლებიც მეორდებოდა ნაწერებში. ძირითად მონაცემებად მივიჩნიეთ მაღალი სიხშირეების მქონე მოსაზრებები. მივიღეთ გარკვეული მონაცემები და შევქმენით მოსაზრებათა საერთო სურათი.

I. ჯგუფში გაერთიანდა 10 – 13-13 წლის 49 რესპოდენტი (ცხ. 1) გამოიკვეთა ოთხი ძირითადი მოსაზრება:

I. „ძალიან მიყვარს სამშობლო“ – 21 რესპოდენტი,



II. „სამშობლო ძვირფასია“ – 15 რესპოდენტი,

III. „სამშობლო არის ის, სადაც დავიბადე და გავიზარდე“ – 13 რესპოდენტი,

IV. „სამშობლოსათვის თავს გავწირავ“ – 6 რესპოდენტი.

როგორც ვხედავთ, I ჯგუფში გამოიკვეთა, რომ 10-13 წლის რესპოდენტებისთვის ანუ უმცროსი თაობებისთვის სამშობლო არის ის, რაც უყვართ, რაც მათთვის ძვირფასია, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ და ის, რისთვისაც თავს გაწირავენ.

II. ჯგუფში გაერთიანდა 13-17 წლის ანუ საშუალო თაობის 36 რესპოდენტი. გამოიკვეთა 5 ძირითადი მოსაზრება:


I. 14 რესპოდენტი თვლის, რომ „სამშობლო ყველაფერია“,

II. „სამშობლო მიყვარს“ – 9 რესპოდენტი,

III. „სამშობლო არის ის, სადაც დავიბადე და გავიზარდე“ – თვლის 9 რესპოდენტი,

IV. „სამშობლო იგივეა, რაც მშობელი“ – 7 რესპოდენტი,

V. „იმედი მაქვს, რომ ჩემი სამშობლო აყვავდება“ – 6 რესპოდენტი.



ამრიგად, II ჯგუფში გამოიკვეთა, რომ საშუალო თაობისთვის სამშობლო ყველაფერია და იგივეა რაც მშობელი.

III ჯგუფში გამოიკითხა 30 რესპოდენტი, რომლებსაც წარმოადგენდნენ მშობლები და პედაგოგები.

გამოიკვეთა 5 ძირითადი მოსაზრება:


I. „სამშობლო ძვირფასია, წმიდათაწმიდაა“ – 12 რესპოდენტი,

II. „ძალიან მიყვარს ჩემი სამშობლო“ – 9 რესპოდენტი,

III. „სამშობლო ფესვები და გრადიციებია“ – 9 რესპოდენტი,

IV. „სამშობლო არის ის, სადაც დავიბადე და გავიზარდე“ – 8 რესპოდენტი,

V. „საქართველო ნამდვილი ჯოჯოხეთია“ – 7 რესპოდენტი (კორუფცია, უმნეობა...)



ამრიგად, უფროსი თაობა თვლის, რომ სამშობლო არის ის, რაც ძვირფასია, წმიდათაწმიდაა, უყვართ, ის ფესვები და გრადიციებია და ეს ის ადგილია, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ.

ამრიგად, სამივე ჯგუფისთვის საერთოა სამშობლოსადმი სიყვარული, ის, რომ სამშობლო ის ადგილია, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ, ამასთან, რომ იგი ძვირფასია და ყველაფერია.

გამოიკვეთა განსხვავებებიც. მხოლოდ I ჯგუფი აღნიშნავს, რომ შეუძლია თავი გასწიროს სამშობლოსათვის. II ჯგუფი სამშობლოს მშობელთან შედარებას აკეთებს და იმედი აქვს, რომ სამშობლო კვლავაც აყვავდება. III ჯგუფი კი სამშობლოს აიგივებს ფესვებთან და გრადიციებთან. მხოლოდ უფროსი თაობა სამშობლოზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ქვეყანაში გამეფებულია კორუფცია და უმნეობა.

საინტერესოა ალბათ ის ფაქტი, რომ რესპოდენტები თითქმის არ წერენ სამშობლოს წინაშე მოვალეებისა და პასუხისმგებლობების შესახებ. სამშობლოზე საუბრისას მხოლოდ ერთმა რესპოდენტმა გაიხსენა აფხაზეთი და დაკარგული გერიგორიები. ამასთან, არ ჩანს სიამაყის გრძნობები საკუთარი სამშობლოთი,

წარსული გმირებით და წინაპრებით. უფროსი თაობა მიუთითებს იმაზე, რომ „საქართველო ნამდვილი ჯოჯოხეთია“ და საუბრობს გამეფებულ კორუფციამზე და უმნეობაზე. თუმცა ასეთ შემთხვევაში ძნელია არ გაიხსენო ცნობილი მწერლის ცნობილი სიტყვები: „სამშობლო ხაჭაპური არ არის, მარტო ყველი რომ გიყვარდეს შიგ და ქერქი არა, არც ქიშიშიანი ნამცხვარია სამშობლო, ქიშიში რომ ამოარჩიო შიგ და დანარჩენი გადაყარო, სამშობლო ყველაფერიანად უნდა გიყვარდეს – ქერქიანად, ნახშირიანად, ნაცრიანად, მგვრიანად, ნაკლითა და უნაკლოდ, ყველაფერიანად და ქიშიშიანიანად“ (ნ. ლუმბაძე „ნუ გეშინია, ღელა!“)

ალბათ მნიშვნელოვანია და საინტერესო ამ საკითხებზე დაფიქრება. უფრო მეტის თქმა კი უფრო ღრმა ანალიზს და შემდგომ კვლევებს ითხოვს.

რედაქციისაგან:

ჩვენ შორს ვართ იმ ამრისაგან, რომ ახალგაზრდა პედაგოგების კვლევა მეთოდური თვალსაზრისით სრულყოფილია ან დასკვნები აღექვასკურია, მაგრამ საინტერესო რომ არის და ბევრი ფიქრის აღმძვრელი, უდავოა. იმელია, ახალგაზრდები კვლავ განაგრძობენ მუშაობას ჭეშმარიტების გამოსაგებლად და შესაცნობად.

მეცნიერული სიახლე

ეთერ ფარეხელაშვილი

დისლექსია – საყურადღებო სიახლე

ჩ ა არის დისლექსია და რამ შეიძლება გამოიწვიოს იგი? როდის გაჩნდა დისლექსიის პრობლემა საზოგადოებაში და რით შეიძლება მისი თავიდან აცილება? ამ კითხვებზე საყურადღებო პასუხებს იძლევა ქრისტინ გორმენის მეტად საინტერესო სტატია, რომელიც 2003 წლის 8 სექტემბერს გამოქვეყნდა ჟურნალ „TIME“-ში (გვ. 48-54; www.timeeurope.com AOL keyword: TIME).

როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, დისლექსია მკაფიო გამოხატულებას პოვებს ევროპაში. ამერიკასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში უკვე ჩამოყალიბებულია დისლექსიის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუტები თავიანთი რთული სტრუქტურებით.

დისლექსია უშუალოდ კითხვასთან დაკავშირებული პრობლემაა, რომელიც ადამიანის მიერ ანბანის გამოსახულებათა (ასოების) აღრევაში გამოიხატება. მაგალითად, ლათინური

B და D ხშირად ერთმანეთში ერევათ, ისევე, როგორც ქართულში ხ და d. ხშირად უჭირთ რომელიმე ასოს გახსენებაც კი და ა. შ.

საინტერესოა, საქართველოში რამდენად მწვავედ დგას დისლექსიის პრობლემა?


როგორც ცნობილია, დისლექსია უმეტესად ბავშვებში შეინიშნება, რამდენადაც სწორედ ბავშვები აწყდებიან ასოების შესწავლის დროს პრობლემებს. განსაკუთრებით უჭირთ მათ ანბანის დაუფლების საწყის ეტაპზე. აღნიშნულ სტატიაში მოცემულია სორა სონგის მიერ შედგენილი ტესტები (სავარაუდო კითხვები), რომლებიც საშუალებას იძლევა ჯერ კიდევ მაშინ გავიგოთ, სჭირს თუ არა ბავშვს დისლექსია, როცა ჯერ კიდევ არ დადის სკოლაში. სწავლის უუნარობის სიმპტომები მაშინაც შესაძლებელია გამოძვლავნდეს, ვიდრე ბავშვს კითხვის შესწავლას დააწყებინებენ. ამ ტესტებით შესაძლებელია დავასკვნათ, ექნება თუ არა ბავშვს დისლექსიური პრობლემები.

კითხვარი გათვლილია 3-5, 5-6, 7 და მეტი ასაკისათვის; მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ რაც შეიძლება ადრეულ ასაკში უნდა აღმოიფხვრას კითხვასთან დაკავშირებული ბუნებრივი სირთულეები, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს შეუძლებელი იყოს ამ პრობლემის შედარებით მოზრდილ ასაკში დაძლევა. საერთოდ, არ უნდა გვეგონოს, რომ დისლექსიით თითქოს ვერ შეძლებს ადამიანი წარმატებას მიაღწიოს. ეს ნაკლოვანება ბევრ გამოჩენილ ადამიანს აქვს – მეცნიერებს, ბიზნესმენებს, მსახიობებს და სხვ., მაგრამ ეს მოვლენა ნამდვილად ხელისშემშლელ პირობას წარმოადგენს. მაგალითად, შემჩნეულია, რომ დისლექსიური სტუდენტები უფრო მეტ დროს ხარჯავენ სწავლაზე, ვიდრე ჩვეულებრივი სტუდენტები.

მეცნიერი ჯულებტ სანსონი, რომელიც დისლექსიის საერთაშორისო ტექნოლოგიების ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორია, აღნიშნავს, რომ ეს პრობლემა ბოლო 10 წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა, განსაკუთრებით ევროპაში. შეიმჩნევა ისიც, რომ იგი ბიჭებში უფრო მეტად ვლინდება, ვიდრე გონებში. ზოგი მთავარ მიზეზად სიზარმაცეს ან, უბრალოდ, ჩვევას მიიჩნევს, მაგრამ, ცხადია, მიზეზი სხვა რამ არის.

მართალია, მეცნიერებს ჯერ არა აქვთ სრულყოფილად შესწავლილი ყველაფერი, რითაც სწავლის უუნარობა აიხსნება, მაგრამ უკვე კარგად იციან, რას წარმოადგენს დისლექსია, რა პრობლემაა ეს, როგორ შეიძლება მისი დაძლევა. შეიძლება დისლექსიის სხვადასხვა დონე არსებობდეს. მისი დაძლევა ამის გათვალისწინებით რამდენიმე ეტაპს მოიცავს და სხვადასხვა ტემპით უნდა ხდებოდეს.

დიდი ხნის მანძილზე, ისიც კვალიფიციური დაკვირვების შემთხვევაში, მოვლენას უბრალოდ დაგნოზით აღნიშნავდნენ – „დისლექსია“. არადა, აქ უფრო რთულ პრობლემასთან გვაქვს საქმე – დისლექსია ზოგადსაკაცობრიო პრობლემაა, რომლის გადაჭრაც ნეირომეცნიერების ფუნქციებში შედის, რამდენადაც კითხვა თავის ტვინთან უშუალო კავშირშია. რეინჰარდ ვერთმა შეიმუშავა კომპიუტერული პროგრამა, რომელიც ეხმარება ბავშვებს კი-



თხვაში. როგორც ირგვევა, საკმარისი არ არის მხოლოდ მოსმენა და გაგება სხვადასხვა სიტყვისა. ჩვეულებრივ, ტვინი იღებს შემადგენელ ბგერებს, როცა ადამიანი ხელავს დაწერილ სიტყვას. მაგალითად: „CAT“-ს ტვინი აღიქვამს – K, A, T-ს, რაც შეიმეცნება როგორც ცხოველი – კატა.

როგორ მუშაობს ტვინი ამ დროს? მეცნიერებმა დაასაბუთეს, რომ კითხვისას მთავარ როლს უშუალოდ თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფერო ასრულებს, სადაც სამი სხვადასხვა რეგიონი კომპლექსურ მოქმედებაშია. ტექნიკური საშუალებით მეცნიერებმა შეძლეს ამ სამი რეგიონის იდენტიფიცირება, რითაც ტვინი აანალიზებს ნაწერ სიტყვებს, ცნობს მის შემადგენელი ასოების ბგერით ჟღერადობას და წარმართავს კითხვის პროცესს.

1990 წ. ნეირომეცნიერებაში ტექნიკის განვითარების შედეგად დიდი გარდატეხა მოხდა – ფუნქციონალური მაგნიტური გამოსახულების წარმოქმნა (fMRI). fMRI ითვალისწინებს თავის ტვინის ჩვევებს, თუ რომელ ნაწილს მიეწოდება მეტი რაოდენობით სისხლი, და აქედან გამომდინარე, რომელი რეგიონია ყველაზე

მეტად აქტიური მოცემულ პირობებში. სწორედ FMBI-ს საშუალებით დაადგინეს ტვინის მარცხენა ნახევარსფეროს აქტიურობა, რაც კითხვის პროცესში ვლინდება.

დისლექსიას ბევრი მეცნიერი ივლევს. ბევრი თვლის, რომ ეს არის წმინდა ბიოლოგიური პრობლემა (ტვინის ბიოლოგია), მაგრამ ტვინის სკანირებამ აჩვენა, რომ დისლექსიანი ადამიანის ტვინი სავსებით ჩვეულებრივია, არ არის დაზიანებული და არც ანომალური.

ამერიკელი მეცნიერები (სალი შეივიითზი – Ororcoming-ის ავტორი და სხვები), აღნიშნავენ, რამდენად კარგია, რომ ჩვენ დანამდვილებით ვიცით, როგორ შეიძლება დავეხმაროთ ადამიანს კითხვის დაუფლებაში, როგორ გავხდეთ დახელოვებული, კვალიფიციური წამყობველები.

ტექნოლოგიები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ პრობლემების გადაჭრაში. ზოგიერთი კიდევ ინტენსიური კითხვით აღწევს თავს დისლექსიას. შექმნილია სპეციალური პროგრამები, რომლებიც საკმაოდ ეფექტურია. სასურველია, სწავლება სწორედ კითხვის ამ პროგრამებით წარიმართოს.

მეცნიერი მარშალ რასკინდი შენიშნავს, რომ სიტყვის ცნობის გაუმჯობესება დამოკიდებულია

ლია სწორედ წაკითხვის მოსმენასა და წერაზე. ის მიიჩნევს, რომ თქმის, მოსმენისა და სიტყვის სწორად ხედვის უნარი ერთდროულად ტვინის კარგ ტრენინგსაც ითვალისწინებს.

სწორედ იმ პროგრამის საშუალებით, რომელსაც მეცნიერები გვთავაზობენ, ადვილი ხდება დისლექსიის თავიდან აცილება, როგორც მოზარდის, ისე ზრდასრული ადამიანისთვისაც.

საინტერესოა, ამ საკითხს როგორ უყურებენ ქართველი მეცნიერები, დაინერგება თუ არა მსგავსი პროგრამები ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში, ან როგორ შეხედავენ ამ პრობლემას ჩვენი პედაგოგები და კითხვის ხელმძღვანელები.

რედაქციისაგან: წარმოდგენილი სტატია ჩვენში სავსებით ახალ საკითხებს აყენებს და ამით დიდ ყურადღებას იმსახურებს. მართალია, დისლექსიის მექანიზმის ახსნა ნეიროლოგიური მეცნიერების საქმეა, მაგრამ მისი შედეგებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება აუცილებელია ლექტოლოგიისთვისაც, რომელიც კითხვის მართვასა და ხელმძღვანელობას შეისწავლის. ეს საინტერესოა აგრეთვე ფსიქოლოგებისა და პედაგოგებისთვისაც.

ისტორიის ფურცლებიდან



ლალი ყაულაშვილი
თბილისის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკის დირექტორი

**საბამოძეველო საქმე საქართველოში
მე-20 საუკუნეში**
(მოკლე მიმოხილვა)

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბებული კერძო გამოცემლობები მეოცე საუკუნის დასაწყისშიც წარმატებით აგრძელებდნენ მოღვაწეობას. მაგრამ ქართული წიგნის და, საერთოდ, წიგნის გამოცემის საქმე ძირფესვიანად შეიცვალა 1921 წლიდან, როდესაც წერა-კითხვის მასიური შესწავლისათვის მკვეთრად გაუმჯობესდა პირობები. ეს ზრდიდა მოთხოვნას წიგნზე. ის გამოცემლობები, რომლებიც ქვეყანაში არსე-

ბობდა, ვერ აუდიოდა წიგნზე გაზრდილ მოთხოვნას, სწორედ ამის გამო დაიწყო ზრუნვა პოლიგრაფიული საქმის გაერთიანება-განვითარებისათვის, რაც ხელს შეუწყობდა პოლიგრაფიული ბაზის გაძლიერებას. დაიწყო ახალი, დიდი მანქანების შეძენა, შეიქმნა პოლიგრაფიული სკოლა სგამბის კვალიფიციურ მუშაკთა მოსამზადებლად, ყოველივე ამან ხელი შეუწყო საქართველოში საგამომცემლო საქმის მტკიცე ნიადაგზე დადგომას. დაიწყო კულტურული რევილუცია, რო-



მელიც მოითხოვდა მოსახლეობის უწიგნურობის ლიკვიდაციას. ამის განსახორციელებლად აუცილებელი იყო ახალი საგამომცემლო სისტემის შექმნა, რათა ხალხისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო სერიოზული და ძვირფასი ლიტერატურული მასალა, საუკეთესო და კლასიკური ბელეტრიკა, სახელმძღვანელოები ყველა დარგში.

სწორედ ამ მიზნით გამოცემულ იქნა ლექრეგები უმაღლესი და საშუალო სკოლების, მასობრივ-პოლიტიკური, საგანმანათლებლო, პრესის, მეცნიერების, ხელოვნების და ლიტერატურის, სტამბების, ბიბლიოთეკების, სამკითხველოებისა და სხვა კულტურული დაწესებულებების ნაციონალიზაციის შესახებ. 1921 წლის 28 თებერვალს მიღებულ იქნა დადგენილება სახელმწიფო გამომცემლობის პროექტის მომზადების შესახებ. 1921 წლის 24 მარტს სახელმწიფო ბუჭდვითი საქმე და სახელმწიფო გამომცემლობა გადადის სახალხო განათლების კომისარიატის გამგებლობაში. ნაციონალიზებული სტამბის ბაზაზე საქართველოს უმაღლეს საბჭოსთან ყალიბდება პოლიგრაფიული მრეწველობის გრესკი, რომლის შემადგენლობაში 1921 წლის ოქტომბრიდან თავი მოიყარა ოცდასამმა სტამბამ, მათ შორის მოქმედი იყო თორმეტი.

რევოლუციის პირველი დღიდან წიგნის საქმეს, როგორც კულტურული განვითარების იარაღს, სახელმწიფო დაეპაგრონა და შესაბამისი შეფასება მისცა. პირველ ხანებში კერძო გამომცემლებიც ბევრნი იყვნენ. გაიზარდა უწყებრივი გამომცემლობები, ნელ-ნელა ხდებოდა საგამომცემლო საქმის კონცენტრაცია და ბოლოს ქართული წიგნის უმთავრეს მწარმოებლად „სახელგამი“ გადაიქცა.

სახელგამი უდიდესი გამომცემლობა იყო საქართველოში, მას ვერ შეედრებოდნენ იმ დროს ჯერ კიდევ არსებული საუწყებო და კერძო გამომცემლობები ერთად აღებული.

„სახელგამი“ დაარსდა 1921 წელს, მაგრამ იგი მუშაობას ფაქტიურად 1922 წლიდან შეუდგა, შედარებით ჩამოყალიბებული სამუშაო გეგმა მან მხოლოდ 1926 წელს შეადგინა, და მიუხედავად

მისი მძიმე ფინანსური მდგომარეობისა, მოახერხა მტკიცე სამეურნეო საფუძველზე დამდგარიყო, როგორც შეემუშავებინა ყოვლისმომცველი სამუშაო გეგმა, რომელიც დაკავშირებული იყო საქართველოს კულტურულ მშენებლობასთან. 1926 წლის 10 ივლისს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ამტკიცებს სახელგამის დებულებას, რომლის ერთ მუხლში ვკითხულობთ: – სახელგამის მიზანია „მეცნიერებისა, პოლიტიკისა, ხელოვნებისა და სხვადასხვა დარგის ყოველგვარი ორიგინალური და ნათარგმნი ნაწარმოების, სასწავლო წიგნებისა და სახელმძღვანელობის გამოცემა და გავრცელება“. ამ დებულებით სახელგამს მინიჭებული ჰქონდა სახელმძღვანელოების გამოცემის მონოპოლიური უფლება. არც ერთ სხვა დაწესებულებას, მით უმეტეს კერძო პირს, უფლება არა ჰქონდა სახელგამის ნებართვის გარეშე დაებეჭდა და გავრცელებინა სახელმძღვანელოები. სახელგამისათვის ეს დიდი უპირატესობა იყო, რადგანაც სახელმძღვანელოები მისი შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ სახელგამის გამოცემები მრავალფეროვანი და მდიდარი იყო, მის პროდუქციაში პირველი ადგილი მაინც პედაგოგიურ წიგნს უჭირავს.

სახელგამის მუშაობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა პოლიგრაფიის უქონლობა. კარგა ხანს მას არ ჰქონდა საკუთარი სტამბა და სავსებით დამოკიდებული იყო პოლიგრაფტრესტზე. სწორედ ამიტომ, სახალხო განათლების კომისარიატის გადაწყვეტილებით, სახელგამს საკუთარებაში გადაეცა პოლიგრაფტრესტის ორი დიდი სტამბა, მაგრამ იგი იმდენად დიდი რაოდენობით ლიტერატურას გამოსცემდა, რომ ეს სტამბები ვერ აუდიოდნენ შეკვეთებს. სწორედ ამიტომ, არა მარტო საკუთარი სტამბები, სხვა დანარჩენი სტამბებიც თითქმის სახელგამის შეკვეთებით იყვნენ დაკავებული. მიუხედავად ამისა, სახელგამი იძულებული იყო მოგჯერ ქუთაისსა და ბათუმში გადაეტანა წიგნის ბეჭდვა. 1924 წელს სახელგამმა გამოსაცემად მიიღო ქართული სკოლებისათვის ძირითადი დისციპლი-

ნების სახელმძღვანელოები. 1921-24 წლებში არაქართული სკოლებისათვის გამოიცა რამდენიმე სახელწოდების სასწავლო პედაგოგიური წიგნი. 1921-30 წლებში სახელგამმა შესძლო ქართული სკოლების შედარებით უზრუნველყოფა სახელმძღვანელო წიგნებით. სახელგამი სახელმძღვანელოებს გამოსცემდა არა მარტო სკოლებისათვის, არამედ უმაღლესი სასწავლებლებისა და გექნიკუმებისათვისაც, გარდა ამისა, ის გამოსცემდა მხატვრულ, სამეცნიერო და გექნიკურ ლიგერაგურას როგორც ქართულ, ისე სხვა ენებზეც.

1958 წლამდე სახელგამი ამ სახელწოდებით არსებობდა, ხოლო 1958 წლიდან მას „საბჭოთა საქართველო“ ეწოდა. იგი აგრძელებდა სახელგამის გრადიციებს და გამოსცემდა პედაგოგიურ ლიგერაგურას, მაგრამ მისი პროდუქცია უფრო მრავალფეროვანი გახდა, გაუმჯობესდა სკამბის მოწყობილობაც. სწორედ „საბჭოთა საქართველო“ მიერ იქნა გამოცემული პირველად რეაგომიანი ნაშრომი „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში თვალსაჩინო მოვლენა იყო. სხვადასხვა წლებში აქ გამოიცა „ქართლის ცხოვრების“ პირველი და მეორე ტომები, კ. კეკელიძის „ძველი ქართული ლიგერაგურის ისტორიის“ ორგომეული, გ. ჩუბინაშვილის „ქართული ბეჭდური ხელოვნება“ და სხვ.

გამომცემლობა დღემდე აგრძელებს თავის გრადიციებს მხატვრული ლიგერაგურის დარგში, მკითხველმა მიიღო თხზულებათა სრული კრებულები და მრავალგომეულები: ა. წერეთლის, ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, მ. ჯავახიშვილის, კ. გამსახურდიას, გ. ტაბიძის და სხვათა. დიდი ყურადღება ექცევა თარგმნილი ლიგერაგურის გამოსცემას. გამოიცა: ჩეხოვის, გოლსტოის, გორკის, პუშკინის, მაიაკოვსკის, მოლოხოვის, შექსპირის, ბაირონის, ჰიუგოს, დიკენსის და სხვათა ნაწარმოებები. 1970 წლიდან გამომცემლობა შეუდგა „მსოფლიო ლიგერაგურის ბიბლიოთეკის“ ოთხმოცგომიანი სერიის გამოსცემას.

მრავალი საინგერესო წიგნი გამოდის სამრეწველო-გექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, მხარეთმცოდნეობითი, გურისგული, სპორტული და სალექსიკონი რედაქციების მიერ.

1991 წელს გამომცემლობამ კვლავ შეიცვალა სახელწოდება და იგი თავის პროდუქციას გამომცემლობა „საქართველო“ სახელწოდებით გამოსცემს.

მეოცე საუკუნის დასაწყისში გამომცემლობა „სახელგამის“ პარალელურად ყალიბდება ისეთი ახალი გამომცემლობები, როგორიცაა „გექნიკა და შრომა“, „ზარია ვოსტოკა“ და სხვა. ამ გამომცემლობებმა შესამჩნევად განგვირთა „სახელგამი“, მაგრამ მოთხოვნა წიგნზე კიდევ უფრო სრულად იმრდებოდა. ამ პერიოდის დიდი გამომცემლობა იყო „გექნიკა და შრომა“, რომელიც თავის პროდუქციის სიდიდით და გამოცემული ლიგერაგურის მნიშვნელობით საქართველოში მეორე მსხვილი გამომცემლობა გახდა. მისი პროდუქციის თემატიკა მრავალფეროვანი იყო, თუმცა გამომცემლობა ძირითად ყურადღებას უთმობდა გექნიკურ და პროფკავშირულ ლიგერაგურას. იგი ჩამოყალიბდა 1926 წელს, როგორც დამოუკიდებელი გამომცემლობა და პირველ ხანებში მას „შრომა“ ეწოდებოდა, ამ დროს იგი გამოსცემდა მხოლოდ პროფკავშირულ ლიგერაგურას, შემდგომში მან თანდათანობით განიმგვიცა პოლიგრაფიული და ფინანსური ბაზა, რამაც გამოიწვია მისი მოღვაწეობის გაფართოება. წიგნის პროდუქცია უფრო მრავალფეროვანი გახდა.

1931 წლის ოქტომბერში სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი გექნიკური გამომცემლობა. იგი ვალდებული იყო გამოეცა საწარმოო-გექნიკური ლიგერაგურა მუშათა ფართო წრეებისათვის, თეორიული ლიგერაგურა კვალიფიცირებული გექნიკური კადრებისათვის და აგრეთვე სახელმძღვანელოები უმაღლესი და საშუალო სპეციალური გექნიკური დაწესებულებებისთვის. 1931 წლის ბოლოს სახელმწიფო გექნიკური გამომცემლობა შეუერთდა გამომცემლობა „შრომას“ და

შეიქმნა გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“. მის სარელაქციო-საგამომცემლო გეგმაში ორმოცდაათ პროცენტზე მეტი იყო სახელმძღვანელოები უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებისა, ტექნიკუმებისა და სხვა ტექნიკური დაწესებულებებისათვის.

ქართული წიგნის და კერძოდ, სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის გამოცემის თვალსაზრისით ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა გამომცემლობა „მარია ვოსტოკა“ – იგივე გამომცემლობა „მაკკნიგა“, რომელიც 1921 წელს დაარსდა. იგი შემდეგში შეუერთდა გამომცემლობა „მერანს“ და მის რუსულ რელაქციას წარმოადგენდა. გამოსცემდა რუსულ ენაზე ქართული ლიტერატურის თარგმანებს. ორმოცდაათი წლის განმავლობაში ითარგმნა და გამოიცა ქართული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის თითქმის ყველა ძირითადი ნაწარმოები.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, ოციანი წლებიდან იღებს სათავეს საქართველოს მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიგევის სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობა „მერანი“. განვლილ პერიოდში მან რამდენიმეჯერ შეიცვალა სახელწოდება: „ქართული წიგნის“ სახელით მოღვაწეობდა 1925-31 წლებში, შემდეგ 1932-42 წლებში მას ეწოდა „ფედერაცია“, 1943-62 წლებში – „საბჭოთა მწერალი“. 1963 წელს გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, „მარია ვოსტოკა“ და „ხელოვნება“ გაერთიანდა ერთ დიდ გამომცემლობად და ეწოდა „ლიტერატურა და ხელოვნება“, რომელსაც 1968 წელს გამოეყო გამომცემლობა „ხელოვნება“ და დაერქვა გამომცემლობა „მერანი“, მას ჰქონდა ქართული და რუსული რელაქციები, აქვს პერიოდული გამოცემები: „კრიტიკა“ და „საუნჯე“. გამომცემლობა ყოველწლიურად გამოსცემდა 160-მდე დასახელების წიგნს, მილიონ შვიდასი ათასი გირაჟით. გამომცემლობის ამოცანა მუდამ ერთი იყო: ხელი შეეწყო ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის, მან მკითხველს პირველმა შესთავაზა „ქართული საბჭოთა პოემის“, „ქა-

რთული საბჭოთა პროზის“ და „საბჭოთა კავშირის ხალხთა პოემის“ ბიბლიოთეკები.

გამომცემლობა „განათლება“ 1957 წლის ნოემბერში სხვადასხვა უწყებრივი გამომცემლობების ბაზაზე შეიქმნა „სკოლის“ სახელწოდებით, 1965 წლიდან მას ეწოდა „განათლება“ და იგი ემსახურებოდა მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების საქმეს. გამოსცემდა სახელმძღვანელოებს და დამხმარე სახელმძღვანელოებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის, პედაგოგიურ და მეთოდურ ლიტერატურას, სასწავლო ლექსიკონებს, კლასგარეშე საკითხავ წიგნებს.

ბოლო წლებში გამოცემებიდან აღსანიშნავია ა. ფრანგიშვილის „სწავლების ფსიქოლოგიის საკითხები“, კრებული „პედაგოგიკა“, გ. ბანიძელაძის „ეთიკა“ და სხვ.

ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის გამომცემლობა 1968 წელს დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ქართული საბავშვო ლიტერატურა, მართალია, მეცხრამეტე საუკუნეში განვითარდა, მაგრამ მეოცე საუკუნემდე არ არსებობდა საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა და საბავშვო წიგნის გამოცემა შემთხვევით ხასიათს აგარებდა. გამომცემლობა „სახელგამის“ ჩამოყალიბების შემდეგ სისტემატიური ხასიათი მიეცა საბავშვო წიგნის გამოცემას. ამას ხელი შეუწყო სახელგამთან არსებულმა საბავშვო ლიტერატურის სექტორმა. ამ სექტორის საფუძველზე 1938 წელს შეიქმნა ახალი გამომცემლობა „საბლიგამი“, რომელსაც 1960 წელს „ნაკადული“ ეწოდა.

გამომცემლობა 1938 წლიდან გამოსცემს ქართველი მწერლების, სხვადასხვა ხალხების და ქვეყნების საუკეთესო წიგნებს სკოლამდელი, საშუალო, უფროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, „ნაკადულმა“ გამოსცა ოცზე მეტი „ბიბლიოთეკა“ და სერია. მათგან აღსანიშნავია ქართული ხალხური ზღაპრების სერია „იყო და არა იყო რა“, „მსოფლიო ხალხთა ზღაპრები“, „ჩემი პატარა ბიბლიოთეკა“ და სხვ. მისი გამოცემებიდან აღსანიშნავია „საბავშვო

ენციკლოპედიის ხუთი ტომი“, ოცგომიანი „ჩვენი საუნჯე“, ქართული ფოლკლორის ხუთგომიანი „ხალხური სიბრძნე“.

ბავშვთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ფერადი ილუსტრაციებიანი წიგნები, რომელიც დიდი რაოდენობით გამოიცა.

1969 წელს აღსდგა საქართველოს ბეჭდვითი სიგყვის სახელმწიფო კომიტეტის გამომცემლობა „ხელოვნება“, რომელიც 1947-1961 წლებში არსებობდა, შემდეგ „საბჭოთა მწერალთან“ გაერთიანდა და ამ ორი გამომცემლობის საფუძველზე შეიქმნა ერთი გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“. ახლად აღდგენილმა „ხელოვნებამ“ პირველ წელსვე მაღალ პოლიგრაფიულ და მხატვრულ დონეზე გამოსცა ცნობილი ქართველი მხატვრის ს. მასისაშვილის „მინიატურები“, ფოტოხელოვანის გ. თიკანაძის ნამუშევრები და ქართული ხელნაწერების უნიკალური ალბომი, რომელსაც 1970 წელს წიგნის მეთერთმეტე საკავშირო კონკურსზე შესანიშნავი მხატვრული გაფომებისა და პოლიგრაფიული შესრულებისათვის უმაღლესი ჯილდო მიენიჭა. გამომცემლობა „ხელოვნება“ გამოსცემს წიგნებს თეატრის, კინოს, მუსიკის, სახვითი ხელოვნების, არქიტექტურის შესახებ.

საქართველოში ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა მეცნიერული ლიტერატურის გამოცემას. მეცნიერული წიგნები 1941 წლამდე სხვადასხვა გამომცემლობაში ქვეყნდებოდა. ხოლო 1941 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შექმნასთან ერთად, დაარსდა აკადემიის გამომცემლობაც, რომელსაც 1964 წლიდან „მეცნიერება“ ეწოდა.

გამომცემლობა „მეცნიერება“ მონოგრაფიებისა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების მეცნიერ მუშაკთა შრომების თემატური კრებულების გარდა, სერიებად გამოსცემდა სამეცნიერო ჟურნალებს „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბეს“. გამომცემლობამ მრავალი ფუნდამენტური გამოცემა განახორციელა, მათ შორის აღსანიშნავია რვაგომიანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, სა-

მგომიანი „რუსულ-ქართული ლექსიკონი“, ს. ყაუხჩიშვილის შვიდგომიანი „გეორგიკა – ძველი ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოზე“ და სხვა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, რომელიც ქართული წიგნის ისტორიაში პირველად განხორციელდა.

შემდეგი გამომცემლობა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა მეოცე საუკუნის დასაწყისში, ესაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, რომელმაც საგამომცემლო მუშაობა უნივერსიტეტის გახსნისთანავე დაიწყო, პირველი წიგნი უნივერსიტეტის გრიფით 1919 წელს გამოვიდა და ეს იყო სახელმძღვანელო ბოგანიკაში, ხოლო შემდეგ დაისტამბა უნივერსიტეტის მოამბის პირველი ტომი სამ ნაკვეთად. რადგან უნივერსიტეტს საკუთარი პოლიგრაფიული ბაზა არ გააჩნდა, წიგნები იბეჭდებოდა კერძო სტამბებში, ხოლო 1923 წელს დაარსდა უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გამომცემლობის შექმნამ ხელი შეუწყო უნივერსიტეტში წიგნების გამოცემას, გამოქვეყნდა შრომები ისეთი გამოჩენილი მეცნიერებისა, როგორებიც იყვნენ: ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ივანე ბერიგაშვილი და სხვები.

უნივერსიტეტის გამომცემლობა გახსნის დღიდანვე ბეჭდავდა და დღესაც აგრძელებს სასწავლო ლიტერატურის ბეჭდავას, როგორც მოგად, ისე ვიწრო სპეციალურ დარგებში. გამოდის სალექციო კურსები, სასწავლო-მეთოდური ნაშრომები, პროგრამები, შეიქმნა სერია „სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის“, ამ ხაზით 1997 წელს ასზე მეტი ნაშრომი გამოიცა.

1979 წელს დაარსდა გერმანულენოვანი ქართველოლოგიური ჟურნალი „გეორგიკა“. თავდაპირველად იგი წარმოადგენდა თბილისის და იენის უნივერსიტეტების ერთობლივ გამოცემას. ამჟამად იგი იბეჭდება გერმანიაში, როგორც ოთხი უმაღლესი სასწავლებლის – თბილისის, მარბრიუკენის, იენის და კონსტანცის უნივერსიტეტის ყოველწლიური ერთობლივი კრებული.

ცალკე უნდა აღინიშნოს „თბილისის უნივერსიტეტის ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა“. ამ სერიით იქნა გამოცემული ბერძნულ-ლათინურ ენებზე შექმნილი ქართული თარგმანები, რომლებმაც დიდი მოწონება დაიმსახურეს.

გამომცემლობა სისტემატიურად ბეჭდავს საცნობარო ლიტერატურას, როგორებიცაა: ცნობარი აბიგურიენტებისათვის, მიღების წესები უნივერსიტეტში შემსვლელთათვის, მისაღები გამოცდების პროგრამები. გამოსცემს აგრეთვე სახელმძღვანელოებს საშუალო სკოლის უფროსკლასელთათვის. ყოველწლიურად იბეჭდება ლიტერატურული აღმანახი „პირველი სხივი“. მკითხველმა საზოგადოებამ მიიღო გ. გაბიძის ლექსების პირველი ორენოვანი კრებული. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბოლო პერიოდში განხორციელებული ისეთი გამოცემა, როგორიც არის „ქართული დიპლომატია“ ოთხ წიგნად, „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები“ ორ ტომად, „ქართული დიპლომატიური ლექსიკონი“ და სხვა.

გამომცემლობა აღჭურვილია ტექნიკის უახლესი მიღწევებით. სტამბაში გახსნილია კომპიუტერული განყოფილება, მუშაობს ოფსეტური ბეჭდვის უბანი, გაუმჯობესდა წიგნის ხარისხი. უნივერსიტეტის გამომცემლობა ერთ-ერთი უდიდესი და უძლიერესია უმაღლესი სასწავლებლების გამომცემლობებს შორის.

გარდა უნივერსიტეტის გამომცემლობისა, სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურას გამოსცემენ სხვა უმაღლესი სასწავლებლების გამომცემლობები: ტექნიკური უნივერსიტეტის, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის და სხვები.

მეოცე საუკუნის წიგნის გამოცემის საქმეში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ გამომცემლობები „ალაშარა“ ქ. სოხუმში, „იერისტონი“ ქ. ცხინვალში, „საბჭოთა აჭარა“ ქ. ბათუმში.

წიგნის გავრცელების და პროპაგანდის საქმეში თვალსაჩინო წვლილი შეაქვს 1974 წელს შექმნილ საქართველოს წიგნის მოყვარულთა

საზოგადოებას – დღეს „მწიგნობართა ასოციაციას“.

უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო გაიზარდა გამოცემული წიგნების რაოდენობა. შეიქმნა მრავალი ახალი კერძო გამომცემლობა, რამაც ხელი შეუწყო წიგნის მხაგრული და პოლიგრაფიული გაფორმების დონის ამაღლებას, ქართული წიგნი გახდა თითქმის ყველა საერთაშორისო კონკურსის თუ გამოფენის მონაწილე. ბევრი მათგანი დიპლომებითა და პრემიებით დაჯილდოვდა.

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან წიგნების გამოცემასთან ერთად, იწყება ჟურნალ-გაზეთების მასიური გამოცემა, რამაც სისტემატიური სახე მიიღო.

შეიძლება ითქვას, ყველა გამომცემლობას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში წიგნის შექმნის, გამოქვეყნებისა და გავრცელების საქმეში. მე-20 საუკ. გამორჩეული ეტაპია ქართული წიგნის განვითარების ისტორიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ – თბ., 1975.
2. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ – თბ., 1977.
3. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ – თბ., 1981.
4. კარიჭაშვილი დ. ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია. – თბ., 1929.
5. მწიგნობარი. – თბ., 1980.
6. რაჭველიშვილი ქ. ქართული სტამბის წიგნი. – გფ., 1931.
7. ქართული წიგნი. – თბ., 1989.
8. ხაინდრავა-ბენიძე ი. თბილისის უნივერსიტეტის პრესის ისტორიიდან: 1918-1950 წწ. – თბ., 1978.
9. Научная библиотека Тбилисского Университета. – Тб., 1977.
10. Цхведиანი Ш. В. Этапы развития Грузинского Советского книгоиздательства: 1921-1937. – М., 1967.

თენგიზ ჩხიკვიანი

ქართული შორის ნერა-კითხვის გამავრცელებელი სამოგადოება

(დაარსებიდან 125 წლისთავის გამო)

მოდინარე წლის მაისში შესრულდა დაარსებიდან 125 წლისთავი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი სამოგადოებისა“, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ერის კულტურული და სულიერი განვითარების ისტორიაში. არ დარჩენილა ჩვენი ცხოვრების არც ერთი მხარე, რომელსაც სამოგადოების მესვეურნი არ შეხებოდნენ. სამოგადოების მოღვაწეობაში ჩვენი ქვეყნის მთელი ინტელიგენცია იყო ჩაბმული.

სამოგადოება მოსკოვის, პეტერბურგის და ხარკოვის ანალოგიური სამოგადოების საფუძველზე შეიქმნა; მისი მიზანი იყო ხალხში კულტურისა და განათლების შეგანა, მაგრამ სამოგადოების მოღვაწეობა გასცდა ამ სფეროს და ცხოვრების ყველა პრობლემას შეეხო.

„წერა-კითხვის გამავრცელებელი სამოგადოების“ წარმოშობის და განვითარების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველ სამოციანელთა სამოგადოებრივ მოღვაწეობას, „თერგალეულებს“ – ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს, ნიკო ნიკოლაძეს, გიორგი წერეთელს და სხვ. მათ განათლება რუსეთში მიიღეს და საქართველოში დაბრუნებისთანავე დაიწყეს ბრძოლა, ერთი მხრივ, მეფის თვითმპყრობელობის, ბაგონყმური უკუღმართობის, სოციალური უსამართლობისა და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, მეორე მხრივ, ხალხის ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისათვის.

საჭირო იყო შექმნილიყო ისეთი ორგანიზაცია, რომელიც იბრუნებდა ხალხში სწავლა-განათლების შეგანისათვის და ხელს შეუწყობდა ეროვნული კულტურის წინსვლას. ამ დიდ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ ი. ჭავჭავაძე, დ. ყიფიანი, ი. გოგებაშვილი, ბ. ლოლობერიძე, ვ. თუ-

ლაშვილი და სხვ.

საქმის ინიციატორები იკრიბებოდნენ დ. ყიფიანისა და ნ. ცხვედაძის ბინაზე. აქვე დამუშავდა მომავალი სამოგადოების წესდება.

1878 წლის 30 იანვარს შედგა სამოგადოების დამფუძნებელთა საერთო კრება, რომელმაც მიიღო წესდება და დაავალა დ. ყიფიანს და ბ. ლოლობერიძეს, წარედგინათ ის მთავრობისათვის დასამტკიცებლად. იმავე წლის 20 ივნისს დასახელებულმა პირებმა მართლაც წარუდგინეს მთავარმმართველობის უფროსს სგაროსელსკის წესდების პროექტი: მთავრობამ მოითხოვა, შეეცვალათ წესდების მესამე მუხლი, რომელიც დედა-ენაზე სკოლებში სწავლებას მოითხოვდა. მაგრამ დ. ყიფიანმა მთავრობას წარუდგინა განმარტება. ის დაეყრდნო ალექსანდრე მეორის 1864 წლის 30 აგვისტოს რესკრიპტს, რომელიც დედა-ენაზე სწავლებას კანონიერად მიიჩნევდა. 1879 წლის 31 მარტს წესდება მთავრობის მიერ, უცვლელად დამტკიცდა.

იმავე წლის 15 მაისს, თბილისის გუბერნიის საადგილმამულო ბანკის შენობაში დ. ყიფიანის თავმჯდომარეობით და 45 დამფუძნებელი წევრის თანდასწრებით შედგა საერთო კრება, რომელმაც სამოგადოების პირველი გამგეობა აირჩია 7 წევრის შემადგენლობით: დ. ყიფიანი, (თავმჯდომარე), ი. ჭავჭავაძე (თავმჯდომარის ამხანაგი), ი. გოგებაშვილი, ი. მაჩაბელი, რ. ერისთავი, ნ. ცხვედაძე, და ა. სარაჯიშვილი.

ამგვარად, 1879 წლის 15 მაისი ითვლება დაარსების თარიღად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი სამოგადოებისა, რომლის საქმიანობა თითქმის 50 წელი გრძელდებოდა და მეგად ნაყოფიერი იყო.

ახლად დაარსებულ სამოგადოებას ოფიციალურად „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი სამოგადოება“ ეწოდებოდა,

მაგრამ მისი მიზნები და დანიშნულება მარტო წერა-კითხვის გავრცელებით არ შემოიფარგლებოდა. იგი გაცილებით ფართო იყო. „თუმცა, ჩვენი სამოგალოება იწოდება წერა-კითხვის გამავრცელებლად, – აღნიშნავდა თავის საანგარიშო მოხსენებაში გამგეობა, – მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მის დამაარსებლებს, სახეში ჰქონებოდათ მხოლოდ წერა-კითხვის სწავლება, დამფუძნებელთა გულისთავი სურვილი იყო უპირველესად შექმნა სკოლისა, როგორც კულტურის კერისა“. კულტურა კი არის ქვეყნის სულიერი და ნივთიერი ფართო განვითარება. – აი, ეს კულტურა იყო სანაგრელი საგანი წერა-კითხვის გამავრცელებელი სამოგალოებისა“.

თავისი საქმიანობის ხუთი ათეული წლის განმავლობაში სამოგალოება დასახული მიზნის განსახორციელებლად იკრებდა თავის გარშემო ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ძალებს, იყენებდა ყოველგვარ საშუალებას, რათა ხელი შეეწყო ეროვნული კულტურის განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

სამოგალოება დაუღალავად მრუნავდა ხალხში ცოდნისა და სწავლა-განათლების გავრცელების, მათში ქართული თვითშეგნების შეგანის, მოწინავე პროგრესული იდეების დაზნერგვის და ეროვნული კადრების გამომრდისათვის. ამ მიზნით იგი ხსნიდა სახალხო სკოლებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მუზეუმებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს, სიძველეთსაცავებს, სტამბას, წიგნის მაღაზიებს; კრებდა და იცავდა ხალხის სულიერი და მაგერიალური კულტურის ძეგლებს: ხელნაწერებს, სიგელ-გუჯრებს, ისტორიულ და მხატვრულ ნაწარმოებებს, ხუროთმოძღვრების ნაშთებს, ძველ ქართულ მონეტებს, ფოლკლორულ მასალებს. გამოსცემდა და ავრცელებდა სახელმძღვანელოებს, მეცნიერულ-პოპულარულ წიგნებს, ქართულ სიმღერებს, ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. სამოგალოება დახმარებას უწევდა ქართველ მწერლებს და სამოგალო მოღვაწეებს. სტიპენდიებით ეხმარებოდა რუსეთისა და სა-

ზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტებს და გაჭირვებულ მოსწავლეებს, ქართულ კულტურულ დაწესებულებებს.

განსაკუთრებით დიდია სამოგალოების ღვაწლი სკოლებისა და ბიბლიოთეკების გახსნის საქმეში. თავისი არსებობის მანძილზე სამოგალოებამ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ 32 სკოლა გახსნა, მის მიერ დაარსებული აკაკი წერეთლის სახელობის ქართული სკოლა დღესაც განაგრძობს მოღვაწეობას (გაიხსნა 1887 წ.).

სამოგალოებამ, გარდა სკოლებისა, 200-მდე ბიბლიოთეკა-სამკითხველო გახსნა, 4 სახალხო უნივერსიტეტი თბილისს, ქუთაისს, ფოთსა და ჭიათურაში, გამოსცა 270-მდე დასახელების წიგნი (სახელმძღვანელოები, მხატვრული, პოლიტიკური თუ სხვა ღარგებისა).

სამოგალოება დიდ ყურადღებას აქცევდა ქართველ მწერალთა და სამოგალო მოღვაწეთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნას (რ. ერისთავი, აკ. წერეთელი), კისრულობდა ქართველ მწერალთა და სამოგალო მოღვაწეთა დაკრძალვის ხარჯებს, დააარსა ქართველ მოღვაწეთა სავანე პანთეონი დიდუბეში, რისთვისაც შეიძინა მიწა, სამოგალოების მოღვაწეობა უფრო ნაყოფიერი გახდა მას შემდეგ, რაც 1909 წლიდან შეიქმნა განყოფილებები, რომელთაც ხელი შეუწყვეს სამოგალოების ნივთიერად გამდიდრებას და მოსახლეობაში სკოლებისა და ბიბლიოთეკების გახსნისათვის უკეთესი პირობების შექმნას.

ძნელია მოკლე მიმოხილვაში შეაფასო სამოგალოების მოღვაწეობა. თავისი არსებობის მანძილზე (1879-1927 წ.) სამოგალოების მოღვაწეობა მრავალმხრივი და წარმატებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ მას ყოველთვის ხელს უშლიდა მაგერიალური სახსრების სიმცირე, მან უდიდესი პაგრიოგული საქმე გააკეთა. ძნელია სრულყოფილად შეაფასო ის ღვაწლი, რაც სამოგალოებამ ქართველი ხალხის ეროვნული აღორძინებისათვის გასწია; ყოველივე ეს უკვლოდ არ დაკარგულა; დღევანდელი საქართველოს კულტურული მიღწევები ამ სამოგალოების მესვეურთა დამსახურებაა.

ი. ღარიბაშვილი

ახალი ინგლისური ბიბლიოთეკა გორში და მისი მემობრები

ბ აგონი ეღვარდ რაუპი გავიცანი გორში ამ წლის იანვარში, როდესაც ჩვენი ასოციაცია სემინარს აგარებდა. ვინახულე მის მიერ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილი პაგარა ბიბლიოთეკა და მოვიხიბლე იმ მონღომებითა და ინტერესით, რომელიც ამოძრავებს ბაგონ ეღვარდს და მის „ბიბლიოთეკის გუნდს“. ბიბლიოთეკაში არც თუ ბევრი წიგნია, მაგრამ ყოველი მათგანი ღიად დევს თაროზე, ყველას შეუძლია მათი თავისუფლად აღება, და მსურველთა რაოდენობაც საკმაოდ დიდია. გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში, რომელიც სულ მცირე ოთახშია მოთავსებული, ხშირად გარდება სასწავლო კურსები, შეხვედრები და წიგნის კითხვის სესიონები.



ეღვარდ რაუპი

ბაგონი რაუპი ამერიკული ორგანიზაციის „Peace Corps“-ის მოხალისეა და, მართალია გითხრათ, არ გამკვირვებია მისგან ასეთი ზრუნვა ბიბლიოთეკის შესაქმნელად, რადგან ბიბლიოთეკა ამერიკული ცხოვრების წესის ისეთივე განუყოფელი ნაწილია, როგორც ავტომობილი ან კალათბურთი. მისი გუნდის ენთუზიაზმიც გასაგებია – ახალგაზრდებს სურთ მიიღონ განათლება ბიბლიოთეკის დახმარებით, ხოლო უფროსებს – ხელი შეუწყონ საკუთარ შეილებს. ვთხოვე მოკლე წერილი მოეწერა ჩემთვის

იმის შესახებ, თუ როგორ მოხერხდა სულ 2-3 თვეში ასეთი კარგი სასწავლო კერის შექმნა და მანაც დილხანს არ მალოდინა. გადავწყვიტე, მისი ნებართვით, წერილი ჟურნალში გამოგვექვეყნებინა და დამერთო ის კითხვები, რომლებიც ამ ბიბლიოთეკის ისტორიამ გამიჩინა:

როდის შევძლებთ გიორგი მერჩულის ქვეყა-

ნაში შევექმნათ, დავიცვათ და განვავითაროთ ბიბლიოთეკები ისე, რომ ამაში უცხო ქვეყნიდან მოხალისედ ჩამოსული მეგობრების დახმარება არ გვჭირდებოდეს?

როდის დავძლევთ თანხების უქონლობის შიშს, ამ ბიბლიოთეკის შექმნისათვის წიგნების, თანხების და დამხმარე „ხელების“ მეტი ნაწილი ხომ აქვე საქართველოში, გორში მოიხაზა?

განა გორელ სტუდენტებს, მათ პედაგოგებსა და მშობლებს ნაკლებად აწუხებთ ბიბლიოთეკის ბედი, ვიდრე ბაგონ ეღვარდს?

იქნებ პრობლემის სათავე ჩვენშივეა – გავიამროთ, რომ ჩვენი და ჩვენი შეილების განათლება, განვითარება, აწმყო და მომავალი ჩვენსავე ხელშია და იქნებ სწორედ ამაშია ბაგონ ეღვარდის გაკვეთილი?

* * *

ამერიკის მშვიდობის კორპუსის მოხალისე ეღვარდ რაუპი მოღვაწეობს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ის გვიზიარებს შთა-

ბეჭდილებებს და ამრებს თავის მოღვაწეობასთან დაკავშირებით. როგორც თვითონ ამბობს, მას არასდროს დაავიწყდება 2002 წლის ნოემბრის 6. ეს იყო დღე, როდესაც მშვიდობის კორპუსმა საქართველოში მუშაობა შესთავაზა. პირველი, რაც მან გააკეთა, მოიპოვა ინგლისური წიგნები საქართველოზე, რომელიც კი შეძლო, და გადაწყვიტა, თავი მოეყარა, რაც შეიძლება მეტი წიგნისათვის და ისინი ადვილად მისაწვდომი გაეხადა სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის.

მეორე ღირშესანიშნავი დღე იყო 2003 წლის 2 მაისი, როცა გაიგო, რომ გორის უნივერსიტეტში უნდა ჩასულიყო სამუშაოდ. აღმოჩნდა, რომ გორის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ძალიან მცირე რაოდენობის ინგლისური წიგნი მოიპოვებოდა, მიუხედავად იმისა, რომ 400-ზე მეტი სტუდენტი იყო, რომელიც ინგლისურის სპეციალობას ეუფლებოდა.

ასე რომ, ინგლისური ბიბლიოთეკის საჭიროება ძალიან დიდი იყო. 4 მაისს შეხვდა ნათია დავითაშვილსა და ზურა ჩხიკვაძეს, რომლებიც წარმოადგენენ ბიბლიოთეკის შექმნის ინიციატორებს. ზურა არის უცხოური ენების ფაკულტეტის დეკანი და ხელმძღვანელი, ნანა – ბიბლიოთეკის ასისტენტი, რომელიც საბოლოოდ ინგლისური ბიბლიოთეკის მენეჯერი უნდა გახდეს.

მათ ბაირდის წიგნის „სასკოლო ბიბლიოთეკის მოწყობა და მართვის“ გამოყენებით, მოაწყვეს პროფესიული მეცადინეობები მასწავლებლების, ლექტორებისა და ბიბლიოთეკის ასისტენტებისათვის. მიზანი ამ სწავლებებისა იყო ის, რომ როგორმე მომზადებულიყვნენ სექტემბერში ინგლისური ბიბლიოთეკის გახსნისათვის. მართლაც, 2003 წლის 20 ოქტომბერს ოფიციალურად გაიხსნა ეს ბიბლიოთეკა, მოწვეული იყვნენ სტუმრები ამერიკის საელჩოდან, საქართველოს მშვიდობის კორპუსიდან, ბრიტანეთის წარმომადგენლობიდან.

ბიბლიოთეკის ფონდები გაცილებით მეტია, ვიდრე მათთვის გამოყოფილი ოთახი დაიტევს

და არც თაროებია საკმაო. ბიბლიოთეკა ხომ მთლიანი, განვითარებადი სისტემაა. სტუდენტები თვითონ იყვნენ ზედამხედველებიც, ეს ის სტუდენტები იყვნენ, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ბიბლიოთეკის ფორმირებაში ყოველდღიურად. პროექტის ერთ მიზანს სწორედ ის წარმოადგენდა, რომ ისინი ქცეულიყვნენ ამ პროცესის მონაწილეებად. ახალ სასწავლო წელს, ახალ სტუდენტებს უკვე ძველები და გამოცდილები ასწავლიან, როგორ აწარმოონ საბიბლიოთეკო საქმიანობა (მონხარება).

ბაგონ რაუპის თქმით, მეორე კარგი წამოწყება იყო ის, რომ სტუდენტებს და ლექტორებს შევთავაზეთ გაწვევრიანებულიყვნენ საზოგადოებაში. წელიწადში ერთი ღარის საფასურად მათ, ხოლო ორ ღარად ლექტორებს შეუძლიათ გაიტანონ წიგნები სახლში. სხვებს მხოლოდ ადგილზე ემსახურებიან. წევრები ასევე კონტროლს უწევენ წიგნების აღრიცხვიანობასა და იმას, რომ არ დაიკარგოს წიგნები.

ბ-ნ რაუპი მოგვითხრობს, თუ როგორ კომპლექტდებოდა მისი მხარდაჭერით აღნიშნული ბიბლიოთეკა: „როდესაც მე მოვდიოდი საქართველოში, – წერს ის, – რამდენიმე ასეული ჩემი საკუთარი წიგნი შევკარი და გამოვაგზავნე აქეთ. წიგნები შემოწირეს აგრეთვე მშვიდობის კორპუსის სხვა კოლეგებმაც, ბაგონმა მაილსმაც რამდენიმე საუკეთესო ინგლისური გამოცემა უსახსოვრა გორის ბიბლიოთეკას. ასევე მივიღეთ შესანიშნავი წიგნები „ქონტერპარტ ინტერნაციონალისაგან“.

გორის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა ლექტორმა 1000 წიგნი შემოწირა ბიბლიოთეკას. ფონდები იმრდება კვლავ. გორის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შექმნა მშვენიერი მაგალითია იმისა, თუ რა შეუძლია გააკეთოს საზოგადოებამ თავისი ძალებით.

აღსანიშნავია, რომ ამისათვის არავითარი სპეციალური გრანტი არ იყო მიღებული. რემონტიც კი ჩვენი სტუდენტებისა და მისი ოჯახის წევრების დახმარებით გაკეთდა.

თასო ცისკარიშვილი
გურჯაანის ც/ბიბლიოთეკის დირექტორი

ბავშვები ზღაპრულ სამყაროში



გურჯაანის ც/ბიბლიოთეკაში გაიხსნა 3-6 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის „ზღაპრების ოთახი“, სადაც ბიბლიოთეკის თანამშრომლები და მოხალისე პედაგოგები გაულამაზებენ პატარებს ჩვენთან გაგარებულ დროს. ბავშვებს წაუკითხავენ ზღაპრებს, აჩვენებენ თუ მულტიფიკაციურ ფილმებს, შეასწავლიან ინგლისური და ფრანგული ენის საწყის ელემენტებს. ბავშვებს საშუალება ექნებათ ხატონ, ძერწონ, ითამაშონ, და ეს ყველაფერი ანამზაურების გარეშე, ფონდი, „ღია საზოგადოება-საქართველოს“, „მშვიდობის კორპუსის“ დაფინანსებითა და რაიონის გამგეობის მხარდაჭერით მოხდება.

„ზღაპრების ოთახის“ გახსნაზე დასასწრებლად მობრძანდნენ: კახეთის მხარის რწმუნებულის მოადგილე გელა ამი-კური, აპარატის ხელმძღვანელი გაგა დამბაშიძე, განათლების სამინისტროს კახეთის სასკოლო ოლქის უფროსი თინათინ ჯავახიშვილი, საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი, თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე გია შათირიშვილი, „ჰარმონიის“ კოორდინატორი ბერდია ნაცვლიშვილი, „მშვიდობის კორპუსის“ კოორდინატორი თიკა რევიშვილი, ამავე



ორგანიზაციის პროგრამის მენეჯერი ჯენელოში, ამ კორპუსის მოხალისე გურჯაანში ქამერონ ჰოლანდი, პარლამენტარი ელდარ შენგელაია, საქართველოს, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის დამოუკიდებელი პროფკავშირის თავმჯდომარე ციცო ჯაფარიძე, თავისი თანმხლები თანამშრომლებით, ლიუმას ცუნგრის დირექტორი თამარ ხოსრუაშვილი, რაიონის გამგებელი და გამარჯვებული პარტიების წარმომადგენლები.

პროგრამის „ბავშვები ზღაპრულ სამყაროში“ ძირითადი მიზანია ბავშვები შეეჩვიონ წიგნს და ჩამოუყალიბდეთ მოსმენის კულტურა. პროექტის განხორციელებით ისინი დაბულობენ ბიბლიოთეკით სარგებლობის მეგამოცდილებას, გაიზარდა მოსახლეობის ინტერესი წიგნის მიმართ. პროექტში მონაწილეობას მიიღებენ ისეთი ბავშვები, რომლებიც სოციალური პირობების გამო ვერ დადიან საბავშვო ბაღში, იმათ გარდა საბავშვო ბაღის აღსაზრდელებიც. ყოველ დღე 20 ბავშვი, ყოველ კვირა 100, ხოლო ყოველ თვე 400-ბავშვით გაიზრდება მოზარდთა დასწრება ბიბლიოთეკაში, გაღვივდება წიგნის კითხვის სურვილი და გაიზრდება სწრაფვა მეტი განათლების მიღებისათვის.

ბიბლიოთეკა იძენს განსხვავებულ, ახალ დატვირთვას მკითხველის მოზიდვის თვალსაზრისით. ბიბლიოთეკით დაინტერესდებიან არა

მარტო ბავშვები, არამედ მშობლებიც. ერთი-ორად გაიმრღება მკითხველთა რიცხვი.

პროექტი განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციასთან „ახალ თაობასთან“ ერთად. ოთახი შეირჩა მიზანმიმართულად საბავშვო ბიბლიოთეკის გვერდით მყუდრო და მზიან ადგილზე. აღიჭურვა ინვენტარით, მოიხატა კედლები ზღაპრის გმირებით, გაკეთდა პლაკატები ბავშვთა უფლებების დეკლარაციისადმი მიძღვნილი რაიონის ბავშვთა სახეებით, მოეწყო შთაბეჭდილების კუთხე. თუ ვინმე რამეს გვაჩუქებს, კედელზე გაკრულ პლაკატზე წაეწერება მათი ვინაობა. გამოიყო კუთხე, სა-

დაც ბავშვები დახატავენ. ყველაფერი ოთახში განხორციელდება თამაშის თანხლებით. ჩამოვაცალიბეთ მშობელთა კომიტეტი. მათი ინიციატივით ყოველდღე იმორიგებენ მშობლები. სხვათაშორის, ისე მოსწონთ მათ იქა-

ურობა, თავიანთი შვილების მსგავსად, ერთობიან და ხალისობენ კიდევ.

ყოველი თვის შემდეგ შევაჯამებთ წარმატე-



ბათა მაჩვენებლებს, გზადაგზა შეიძლება უფრო მეტი სიახლე დავნერგოთ და შემდეგი თვე უფრო ხალისიანი და საინტერესო გაგხადოთ.

„ზღაპრების ოთახის“ გახსნით, ამერიკაში ნანახი საუკეთესო მოდელის გადმოღების საფუძველზე მოხდა თანამედროვე მოთხოვნილებებთან მიახლოება. პროექტი ბავშვებს მისცემს საშუალებას, იმხიარულონ, დაისვენონ, გა-

ერთონ, დახატონ რასაც ფიქრობენ, ისწავლონ, განვითარდნენ და შეიგრძნონ თავიანთი ბუნდობიერება.



ელმა ბეკოშვილი
ხაშურის რ-ნის სოფ. კრისხევის ბიბლიოთეკის გამგე

ბიბლიოთეკა კვლავ აღსდგა

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოს ბიბლიოთეკებმა არნახული კრიზისი განიცადეს. მრავალი ბიბლიოთეკა გაუქმდა და მათი კუ-

თვნილი შენობებიც გაპარგახდა. დროის ცვლილებასთან ერთად, გაიმარდა მკითხველთა მოთხოვნილება წიგნისა და ბიბლიოთეკის მიმართ. სამოგადოების ძალისხმევა, როგორც არა-



სდროს, სწორედ დღეს არის საჭირო. არ შეიძლება გულგრილად ვუცქიროთ იმას, თუ როგორ ნადგურდება ბიბლიოთეკების გაუქმების შედეგად ჩვენი სულიერი საუნჯე, როგორ ქვეითდება მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების დონე, ამიჯომ უნდა მივესალმოთ იმ ფაქტს, რაც ხდება ჩვენს რაიონში – ადგილობრივი მმართველობა და საბიბლიოთეკო გაერთიანების ღირექტორი ქ-ნი რუსუდან ენჯიბაძე დიდი გულსხმევით იცავენ კულტურულ კერებს. მათ ყურად იღეს სოფ. კრისხევის მოსახლეობის მოთხოვნა ბიბლიოთეკის აღდგენის შესახებ, რომელიც 1991 წელს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო გაუქმდა და თავისი წიგნადი ფონდით ხცისის სასოფლო ბიბლიოთეკას შეუერთდა.

სოფელ კრისხევეში ბიბლიოთეკა 1956 წლიდან ფუნქციონირებდა, რომელიც დაქირავებულ ბინაში იყო 1973 წლამდე.

დღეს კი ბიბლიოთეკა მოათავსეს სკოლის

შენობაში, რომელსაც რემონტი გაუკეთდა, აქ განთავსდა 2200 ეგზემპლარი წიგნი, რომლებიც დავიბრუნეთ სოფ. ხცისის ბიბლიოთეკიდან. ფონდი შეივსო აგრეთვე ცენტრალური ბიბლიოთეკის გაცვლითი ფონდიდან.


ბიბლიოთეკის გახსნა სამეიმო ვითარებაში მოხდა. მას ესწრებოდნენ კულტურის განყოფილების თანამშრომლები, საბიბლიოთეკო გაერთიანების მუშაკები, ადგილობრივი საკრებულოს თანამშრომლები, პედაგოგები. შთამბეჭდავი იყო თითოეულის გამოსვლა. ბიბლიოთეკის გახსნას მიესალმა სკოლის ღირექტორი ციცინო ბურნაძე, რომელმაც ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა თავისი ავტორობით გამოცემული ლექსთა კრებული. უზომოდ



მხიარული იყო მოსახლეობა, რადგან აღსრულდა ნაგვრა: სოფელს კვლავ დაუბრუნდა ბიბლიოთეკა, წიგნი.

ამომწურავი და ღრმაშინაარსიანი შეფასება მისცა ჩაგარებულ ღონისძიებას რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანების ღირექტორმა რუსუდან ენჯიბაძემ.

ამ შემართებით აგრძელებს მუშაობას დღეს ბიბლიოთეკა და მისი აქტივი.



მანანა გვარამია

ზუგდიდის საბიბლიოთეკო გაერთიანების ღირექტორის მოადგილე

მეგობრობის ზეიმი

უკრაინელი და ქართველი ხალხის მეგობრობას ძირძველი ფესვები აქვს. ამ მეგობრობის გაღრმავებისა და გაგრძელების შედეგია ის, რომ ერთი წლის წინ ზუგდიდის მთავარ ბიბლიოთეკას უკრაინის საკონსულოს მიერ გადაეცა წიგნები უკრაინულ ენაზე და დღეისათვის ბიბლიოთეკა ზუგდიდელ უკრაინელებს მომსახურებას უწევს მშობლიურ ენაზე გამოცემული წიგნებით. ეს ფონდი სისტემატურად ივსება საკონსულოს ინიციატივით.

სწორედ ამ მეგობრული კავშირების კიდევ ერთი დადასტურება იყო ლიგერატურული საღამო, რომელიც ზუგდიდის მთავარი ბიბლიოთეკისა და უკრაინელთა ასოციაცია „ოლესიას“ ინიციატივით ჩატარდა ზუგდიდის მთავარ ბიბლიოთეკაში. ლიგერატურული საღამო – „მიწავ წყნარო, მხარეც ტკბილო, ჩემო უკრაინავ!...“ მიძღვნა გარას შევჩენკოს დაბადების 190-ე წლისთავს.

საღამოზე მიმოხილულ იქნა გარას შევჩენკოს ცხოვრება და მოღვაწეობა. მოგეხსენებათ, ყოველდღიურ ცხოვრებაში ბედნიერი პოეტები არ არსებობენ, გარას შევჩენკო, როგორც პიროვნება, ერთი ყველაზე უბედურთაგანი იყო, დაიბადა ყმა გლეხის ოჯახში, უსიხარულო ბავშვობა ჰქონდა, მაგრამ ყოველივე ეს მას ვერ უწამლავდა სპეგაკ სულს. უკრაინის ზღაპრულმა ბუნებამ, უბრალო ხალხის მზრუნველმა სიგყვამ და გახსნილმა გულმა შთაუნერგეს პოეტს მშვენიერებისადმი გრფიალი. მეგობრების დახმარებით ის გამოსყიდულ იქნა ყმობიდან და ხელოვნების აკადემიაში დაიწყო სწავლა, შემდეგ – გადასახლება ურალში. იგა-

ნჯებოდა, მაგრამ მან იცოდა, რომ იგანჯებოდა სამშობლოსათვის, მისი მომავლისათვის და ეს შთააგონებდა ცხოვრებისეულ გმირობას, შემოქმედებით სიქველეს. კრებულით „კობზარი“ ერთმა პირველთაგანმა გაუნაღდა უკვდავება თავის ერს, ენას, კულტურას.

მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში შევჩენკომ მოიპოვა საერთაშორისო აღიარება. მას ჰქონდა აკადემიკოსის წოდება გრაფიურის განხრით.

შევჩენკო 47 წლის ასაკში აღესრულა, აქედან უკრაინაში იცხოვრა 20 წელი, როგორც დიდმა უკრაინელმა პოეტმა, პროზაიკოსმა, ღრამატურგმა, მხატვარმა და პედაგოგმა.

შევჩენკო არასოდეს ყოფილა საქართველოში, მაგრამ საკმაოდ ბევრი რამ იცოდა მის შესახებ, მწერალი ინგერესს იჩენდა თავისუფლებისმოყვარე ხალხის მიმართ. მწერალ აფანასიევ-ჩუკბინსკის მოწმობით, გარას შევჩენკო თხოვნით მიმართავდა ხოლმე მას: „დაჯექი ერთი და მომიყევი საქართველოს შესახებო“.

ცნობილია, რომ აკაკი წერეთელმა დაიჩოქა შევჩენკოს ბიუსტის წინაშე. აკაკიმ ეს უდიდესი პატივი სხვა რამესთან ერთად „კავკასიისთვისაც“ მიაგო უკრაინელ პოეტს, რომელთან ერთადერთ შეხვედას იგი ყოველთვის მღეღვარებით იხსენებდა.

პოეტის ამ მღეღვარე ცხოვრების შესახებ ისაუბრეს თამარ ჭითანავამ, ანა და ირაკლი გვარამიებმა, წაკითხულ იქნა ლექსები უკრაინულ და ქართულ ენებზე, საღამოს მუსიკალური თანხლება გაუწიეს ხალხურ საკრავთა ვაჟთა გრიომ, ნანა ნარმანიამ და ეთერ შენგელიამ.

საღამოს ესწრებოდნენ ბიბლიოთეკის მკითხველები, ზუგდიდელი უკრაინელები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, უკრაინის კონსული ლეონიდ კოგლიარევესკი.

სტუმრებს მიესალმა ზუგდიდის რაიონის გამგებელი პაატა დანელია. სიგყვით გამოვიდნენ უკრაინის კონსული ლეონიდ კოგლიარევესკი, ზუგდიდის გამგებლის მოადგილე თეონა ხუფენია, ზუგდიდის უკრაინელთა ასოციაცია

„ოლესიას“ თავმჯდომარე თამარ კუხნო.

ლიგერაგურულ საღამოზე ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ გარას შეეჩინეო ძვირფასი და მახლობელია ყველასათვის, ვისთვისაც მახლობელი და ძვირფასია თავისუფლების და დამოუკიდებლობის, ძმობისა და ინგერნაციონალური ერთიანობის მაღალი ადამიანური გრძნობებისა და მისწრაფებების მარადიული იდეალები.



გვიან ახდენილი მოხება

ღალი გიგაური

ხაშურის რ-ნის სოფ. ბიჯნისის ბიბლიოთეკის გამგე



ბავშობის ოცნება გვიან, მაგრამ მაინც შემისრულდა—პაგარაობიდანვე ძალიან მიყვარდა წიგნის კითხვა, მომწონდა ჩემი ბიბლიოთეკარი (მ.გუდაშვილი — ლუშეთის რ/ნის სოფ. ჭართალი) და ვოცნებობდი, მეც ისეთი ვყოფილიყავი ბავშვების მიმართ, როგორც ის იყო ჩემთვის.

ბიბლიოთეკაში მუშაობა დავიწყე 1997 წელს. ვემსახურები ხაშურის რაიონის ოთხ სოფელს: ბიჯნისს, ურთხვას, მეკოტასა და ბულაურას. ყველას გვახსოვს ეს წლები; ფაქტობრივად გაყიდული ბიბლიოთეკის შენობა ხელიდან გამოვგაცეთ მყიდველს ხალხის და ყოფილი ბიბლიოთეკარის თ.ხაჩიძის დახმარებით. დავიწყე მუშაობა მაშინ, როდესაც თითქმის მიწასთან გასწორებული და გათელილი იყო ბიბლიოთეკების ღირსება, არაფრად მიაჩნდათ ისეთი ობიექტები, რომლებმაც სკოლასთან ერთად უნდა აღმარდონ ჩვენი მომავალი თაობა, ხელი შეუწყონ ცოდნის, ამროვნებისა და შემოქმედების განვითარებას.

ვფიქრობ და მიკვირს: ყველა ბიბლიოთეკარს რამხელა სიყვარული ჰქონია წიგნის და თავისი საქმისა, რომ ფაქტობრივად, თითქმის უხელფასოდ, ყველანაირი დახმარების გარეშე

შეინარჩუნეს, ყარაულობა და მზრუნველობა არ მოაკლეს ამ მართლაცდა ღვთისაგან ნაბოძებ სიმდიდრეს, ჩვენი წინაპრების დანატოვარ ძვირფას საუნჯეს.

სხვა რაიონებისა რა მოგახსენოთ, და მე ამაყად ვამბობ ხაშურის რაიონის ყველა ბიბლიოთეკარის სახელით, რომ ამ არეულობის, განუკითხაობის დროს, როდესაც თითქმის ყველაფერი იყიდებოდა, მხოლოდ წიგნები დარჩა გაუყიდავი. ჩვენ, მთელი ქსელი ერთად ვიდექით და გადაწყვეტილი გვექონდა, უხელფასოდაც კი გვემუშავა (თუმცა 14 ლარს ზოგიერთი 4-5 თვის მანძილზეც ვერ ღებულობდა). სწორედ ამ დროს დაიწყო რესპუბლიკაში ძალიან რთული და შრომატევადი საქმიანობა: ყველგან უნდა ჩატარებულიყო რეკლასიფიკაცია და რეინვენტარიზაცია. ეს ნიშნავდა ყველა სამუშაოს კორექტირებას, ფონდების დამუსგება-გასუფთავებას. რა თქმა უნდა, წინდაწინ მზადება დავიწყეთ. ყველა სემინარზე ვისმენდით მეთოდისგებისაგან ახსნა-განმარტებას, დაგვირიგეს წიგნები, რითიც უნდა გვეხელმძღვანელა. მახსოვს, ერთ-ერთ სემინარზე როგორ მორიდებით გამოგვიცხადეს, ძალიან კარგი წიგნებია შემოსული სახელგამში და თუ

ვინმეს შეგიძლიათ, შეიძინეთ, გამოგადგე-
 ბათო. გულბაწყვეგით გადახედეთ ერთიმე-
 ორეს, წიგნები გვინდა, მაგრამ საშუალება არ
 არის. პირადად მე ავარჩიე წიგნები და შევანა-
 ხინე. მეორე დღეს ბაზარში სახლიდან გასაყი-
 დად გავიგანე ზოგი რამ და ათი წიგნი შევი-
 ძინე. მეორე სემინარზე კი გავიგე, რომ ბევრს
 ჩემნაირად შეუძენია წი-
 გნები, ზოგს კი გასაყიდიც
 არაფერი ჰქონია და...
 ამიტომ ვწერ დღეს ამ წე-
 რილს (ზოგჯერ მწარე
 მოგონებაც ტკიბილია),
 რომ დიდი იმედის თვა-
 ლით შევყურებთ მომა-
 ვალს. არასდროს ისეთი
 რაოდენობით მკითხველი
 არ ყოფილა ბიბლიოთე-
 კაში, როგორც ახლა: ხა-
 ლხი უმუშევარია, გასა-
 რთობი კი აღარაფერია
 წიგნის გარდა. მართა-
 ლია, მკითხველთა მეტი
 რაოდენობა ბავშვებია,
 მაგრამ არა ნაკლებია ხა-
 ნში შესული და პენსიონერი მკითხველები.

ორი წელია, რაც ხაშურის ცენტრალურ ბი-
 ბლიოთეკას სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა,
 ენერგიით სავსე ღირექტორი, რუსულან ენჯი-
 ბაძე. ისეთი იმედებით და განზრახვით დაიწყო
 მუშაობა ამ გაჭირვებულ წლებში, რომ არა-
 ფრიდან გარკვეულ შედეგებს მიაღწია. შეწყდა
 ბიბლიოთეკების გაუქმება, დაიწყო ქურნალ-
 გამეთების შექმნა (რასაც მოსახლეობა დიდი
 კმაყოფილებით ხვდება), მოვაწყვეთ რაიონის
 ხელმძღვანელობასთან შეხვედრა და პირვე-
 ლად ხმამაღლა გამოფხაგეთ ჩვენი გულისტკი-
 ვილი. გამოგვეყო მცირეოდენი, მაგრამ ჩვე-
 ნთვის ყველაზე აუცილებელი, საკანცელარიო
 ნივთებისათვის შესაძენი თანხები. აგრეთვე
 საწვავის შესაძენი თანხა. გაუქმებული ბიბლი-

ოთეკებიდან შეგვიძლია სურვილით არჩევა და
 გამდიდრება ჩვენი წიგნადი ფონდისა. უკვე და-
 იწყო ფიქრი ბიბლიოთეკების გახსნა-აღდგე-
 ნაზე. კრისხევის სოფელში უკვე გაიხსნა ბი-
 ბლიოთეკა.

ყოველთვიურად გარდება სემინარები, სა-
 დაც ბევრ სასიკეთოს და აუცილებელს ვი-
 სმენთ. ვუზიარებთ ერთი-
 მეორეს გამოცდილებებს,
 ვსაუბრობთ ჩვენი მუშა-
 ობის შესახებ, ჩატარე-
 ბულ ღონისძიებებზე, ხე-
 ლისშემშლელ პირობებზე
 და მათი აღმოფხვრის
 გზებსა და საშუალებებს
 ვეძიებთ. დაწვრგვით
 ერთი სიახლე: ყველა
 ახალი დამწყები მუშაკი,
 რაკი დღეს აღარ არის შე-
 საძლებლობა კურსები
 გაიაროს სპეციალურ სა-
 სწავლებლებში, პრაქტი-
 კას იღებს ც/ ბიბლიოთე-
 კაში, აგრეთვე ხაშურის
 საბავშვო ბიბლიოთეკასა



(გამგე მ. ალაჯანოვი) და ხაშურის ახალგა-
 ზრდულ ბიბლიოთეკაში (გამგე თ. გოგოლაძე).
 ამ ბიბლიოთეკების მეთოდისგები მარგო ახა-
 ლბედა სპეციალისტებისათვის კი არა, ყველა-
 სათვის თავდაუზოგავად მოღვაწეობენ, ვისაც
 კი მათი დახმარება ჭირდება. ისინი მზად
 არიან, თავისი გამოცდილება და ცოდნა სხვე-
 ბსაც გაუზიარონ, დანერგონ სიახლეები და და-
 ამკვიდრონ ისინი.

ასე რომ, ახალ ღირექტორთან და ახალ
 მთავრობასთან ერთად სიკეთის და ახალი
 იდეების განხორციელების იმედები გვასუ-
 ლდგმულეებს. ის მწარე წარსული კი, რომელიც
 უყურადღებობითა და დამცირებით გავიარეთ,
 არაფრად მიგვაჩნია. რაც მთავარია, იმედი
 გვაქვს საქმის შემდგომი გაუმჯობესებისა.

ინგა ფილაური-ლორია

ქირითაღი პრობლემაზის გათვალისწინებით

ასულ წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში სტაჟირებაზე საბიბლიოთეკო საქმის ქართველ სპეციალისტთა ჯგუფის ყოფნის დროს მოსმენილი ლექციების შეჯამებისას ჩაგარდა ერთგვარი გამოკითხვა იმაზე, თუ რომელმა ლექტორმა დაგოვა ჩვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება. თითქმის ერთხმად ვაღიარეთ, რომ ეს იყო პროფესორი შეილა ინგნერი. გადაწყდა, მოგვეწვია საქართველოში და ჩვენს სპეციალისტებს შეხვედროდა.

ჩემი წინადადება კათედრამ სიამოვნებით მიიღო და თბილისის სულხან-საბა ორბელიანის



ორგანიზაციაზე ხელმძღვანელობა ბნმა ვახტანგმა პრორექტორს მათა თევზაძეს დააკისრა, რომელმაც დიდი დახმარება აღმოგვიჩინა იმისათვის, რომ ყველაფერი მოწესრიგებულად და საქმიანად ჩატარებულიყო.

იმდენად, რამდენადაც ქ-ნ შეილა ინგნერის მიწვევის პროექტი მე გავაკეთე, შევეცადე გეგმა იმგვარად შემედგინა, რომ საქმიან შეხვედრების გარდა, სკუმრებს საშუალება მისცემოდა, გასცნობოდნენ ჩვენს ქვეყანას, მის კულტურასა და მეცნიერებას, ენახათ ჩვენი მნიშვნელოვანი ბიბლიოთეკები და მუზეუმები, შეხვედროდნენ უბრალო ადამიანებს.

დავიწყეთ იმით, რომ ახალჩამოსული სკუმრები ბაგონ ვახტანგ სართანიას ვაწვიეთ და ვაგვაცანით ჩვენი პედაგოგიური უნივერსიტეტი. მაშინვე შედგა მათი შეხვედრა ჩვენი სპეციალობის სტუდენტებთან.

12 დღე დაჰყვეს თბილისში ამერიკელმა კოლეგებმა. აქედან 4 დღე ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებს დაუთმეს. უნდა ითქვას, რომ ჩვენი სტუდენტების უმრავლესობა გულისყურით მოეკიდა ამ ღონისძიებას და მთელი სამუშაო დღის განმავლობაში დიდი ინტერესით ისმენდნენ ჩამოსულ სპეციალისტთა ლექციებს. მართალია, ლექციები ითარგმნებოდა ქართულად, მაგრამ სტუდენტთა დიდი ნაწილი, რო-



სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ ვახტანგ სართანიას თაოსნობითა და მხარდაჭერით პროფ. შეილა ინგნერი მოწვეული იქნა ბიბლიოთეკამცოდნეობის კათედრაზე ლექციების ჩასატარებლად, კოლეგებს შორის ამრთა გაცვლა-გამოცვლისათვის; მასთან ერთად საქართველოში იმყოფებოდა საბიბლიოთეკო დარგის ცნობილი სპეციალისტი – ლუიზიანას შტატის ქ. ბაგონ-რუჟის საჯარო ბიბლიოთეკის დაკომპლექტების განყოფილების გამგე ბობი ფერგისონი. საქმის



მელიც ინგლისურ ენას ეუფლება, თავისუფლად ახერხებდა უცხო ენაზე ლექციების გაგებას. ბევრი მათგანი შეკითხვებს ინგლისურ ენაზე იძლეობა, რაც გვაფიქრებინებს, რომ მათ მიერ უცხო ენის შესწავლის საქმე საიმედოდ უნდა იყოს მოგვარებული. ისინი ხომ საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიულ საქმიანობას უცხო ენის სპეციალიზაციით ეუფლებიან.

აღსანიშნავია, რომ სტუმრების თბილისში მოწვევა ნავარაუდევია იყო საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეულის პერიოდში და კათედრამაც ეს ღონისძიება ამ დღეებს მიუძღვნა. ამერიკელ კოლეგებს საშუალება მიეცათ, დასწრებოდნენ სხვადასხვა საქმიან ღონისძიებებს კვირეულთან დაკავშირებით. მათ მონაწილეობა მიიღეს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში გამართულ პრაქტიკულ-სამეცნიერო კომფერენციაში თემაზე „თანამედროვე საბიბლიოთეკო სკოლა და ფონდების ფორმირება: პრობლემები პერსპექტივები“, სადაც პროფ. შეილა ინგნერმა გააკეთა მოხსენება ფონდების ორგანიზაციისა და ფორმირების ამერიკული სისტემის შესახებ.

მეგად სასარგებლო იყო ამერიკელ სპეციალისტთა შეხვედრა კოლეგებთან კათედრაზე, სადაც მოგვეცა საშუალება აზრთა ურთიერთგამიარებისა. ნიშანდობლივია ის, რომ ჩვენმა სტუმრებმა აღნიშნეს: ბევრი რამ თქვენი გამოცდილებისა ჩვენთვისაც უდავოდ საყურადღებოაო. როგორც ჩანს, ჩვენი ბიბლი-

ოთეკათმცოდნეობის გრადიციები, რომლებიც მათთვის საგსებით უცნობი იყო, მოულოდნელი და საინტერესო აღმოჩნდა. განსაკუთრებით დაინტერესათ ჩვენი კათედრის წევრების მიერ გამოცემულმა ბეჭდურმა პროდუქციამ. ისიც უნდა ითქვას, რომ ისინი ფრიად კმაყოფილნი დარჩნენ ჩვენი სტუდენტობით – მათი მოსმენისა და აქტივობის ხარისხით, საერთო ცოდნის დონით.

სტუმრებს ვიზიტი ჰქონდათ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, სადაც შეილა ინგნერმა ბიბლიოთეკის თანამშრომლებისათვის ლექცია წაიკითხა. იყვნენ აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში და შეხვდნენ ამ სისტემის ბიბლიოთეკარებს, დაბეჯითებით გაეცნენ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საქმიანობას. ისინი აღგაცებულნი დარჩნენ პ/დ უნივერსიტეტში სტუდენტურ დღეებთან დაკავშირებით კულტურისა და ესთეტიკური აღზრდის ფაკულტეტის მიერ გამართული კონცერტით, რომელმაც მოწვეული იყვნენ რექტორის – პროფ. ვ. სართანიას მიერ.

ამერიკელი კოლეგები დიდი ინტერესით ეწვივნენ თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელსაც მათ აცნობდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი ლალი ყაულაშვილი. სტუმრებისათვის მეგად სასიამოვნრო იყო რექტორთან პროფ. თ. ჟღენტთან შეხვედრა, რომელმაც მათ უნივერსიტეტის პერსპექტივები გააცნო. სტუმრები დაესწრნენ ქორეოგრაფებისა და საგუნდო სპეციალობის სტუდენტთა მეცადინეობებს და მოხიბლულნი დარჩნენ ქართული ცეკვებითა და სიმღერებით. განსაკუთრებული გაოცება გამოიწვია სტუდენტების მიერ შესრულებულმა ნახატებმა და ფოტოებმა.

რაც მთავარია, ისინი შეხვდნენ ჩვენი სპეციალობის სტუდენტებს, რომლებსაც აქ ამზადებენ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შეილა ინგნერმა მათთვის საინგერესო ლექცია წაიკითხა, პასუხი გასცა სტუდენტთა მრავალ შეკითხვას.



შეილა ინგნერი სამახსოვრო მედალს გადასცემს კათედრის გამგეს ზემფორა გყაბლაძეს

მეგაღ საქმიანი და საყურადღებო შეხვე-

დრა ჰქონდათ ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, ინფორმაციის სეციალისტთა ასოციაციაში ბ-ნ გიორგი შათირაშვილთან და ქ-ნ ლელა ღიბრაძესთან; იყო კოლეგიალური საუბარი, იდეებისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ამ შეხვედრის შემდეგ ქ-ნ შეილამ ბიბლიოთეკის თანამშრომლებს წაუკითხა ლექცია ფონდების განვითარებაზე.

ყოველივე ამასთან ერთად, ამერიკელი კოლეგები იყვნენ მუზეუმებში. ალგაცებაში მოიყვანა ისინი „ოქროს ფონდმა“. თვალს ვერ ამორებდნენ ყოველ ექსპონატს. გულისგვივილი გამოთქევს, რომ ასეთი უხვი სიმდიდრე ასეთ პაგარა ფორთობზეა გამოფენილი, რაც ხელს უშლის თითოეული ექსპონატის უფრო ღრმად

შეცნობასო – დაუმტკეს: „ჩვენში ყოველ მათგანს ალბათ ცალკე ოთახში მოათავსებდნენ შუშაში და სპეციალურ შუქით გაანათებდნენ“. ღმერთმა ქნას, ჩვენც მოგვეცეს ოდესმე იმდენი შეძლება, აქაც ეგრე გავვეკეთებინოს!

სტუმრებმა დაათვალიერეს ძველი თბი-

ლისის უბნები, იყვნენ მცხეთაში, უამრავი ხალხური რეწვის ნიმუშები შეიძინეს, რომლებითაც გამოწვეულ ალგაცებას ვერ მალავდნენ.

გაცილებისას, გრადიციულ ბანკეტზე, გულწრფელად ვუბიარებდით ერთმანეთს შთაბეჭდილებებს. განუსაზღვრელი იყო სტუმრების ალგაცება ჩვენი კულტურით, მონდომებით, პრობლემების ხელვით, მისწრაფებებით. განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ქართველი ხალხის პიროვნულ ღირსებასა და თავისებურებებს.

და რაც მთავარია, ჩვენ ყველა ვგრძნობდით, რომ ეს იყო საწყისი იმ ურთიერთობისა, რომელიც ჩვენი ორი ქვეყნის სპეციალისტებს შორის უნდა დამყარდეს.

ანა ძნელაძე
სტუდენტი

რბ კარგი იყო იმ დღეს ბიბლიოთეკაში!

გუთუ მხოლოდ ეს არის სტუდენტობა? – ვფიქრობდით ჩვენ პირველი კურსის სტუდენტების ერთი ნაწილი და გულწრფელად გვაწუხებდა ის მღორე, უინგერესო, ფლეგმატური დღეები, რომლებიც თითქმის არაფრით არ განსხვავდებო-

დნენ ჩვეულებრივი სასწავლებლის, ჩვეულებრივი მოსწავლის უღიმღამო დღეებისაგან: ლექცია ანუ იგივე გაკვეთილი, მერე წიგნებში ჩხირკედელაობა და ასე შემდეგ, მეტი არაფერი... არადა, როგორ ვოცნებობდით სტუდენტობაზე, იგი ჩვენ რალაც განსაკუთრებული,

სხვა რამ, მაგალითად „სამრიანთა და მხიარულთა“ ცხოვრება გვეგონა...

ასეთ საკითხებზე ფიქრებმა ჩვენ, სრულიად შემთხვევით, ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორს შეგვახვედრა. თუმცა, ისიც ძალიან კარგად გვახსოვს, თავდაპირველად რა და როგორ იყო: გერმანული ენის სპეციალისტმა, დოცენტმა გულიკო კარიაულმა შემოგვთავაზა, ახალგაზრდა მწერლები მოიწვიეთო. ჰოდა, ამის შემდეგ იყო, რომ ქალბატონი გულნარა სტურუა გავიცანი. მისი კეთილი ნებით და ენთუზიაზმით მოვიხიბლეთ. ერთმანეთს ისე ავეყვეით, ერთი წუთითაც არ გვიგრძენია უფროს-უმცროსობით გამოწვეული უხერხულობა. შევადგინეთ გეგმა და დავიწყეთ მწერლებთან შეხვედრის სამზადისი. მხარში ამოგვიდგა უნივერსიტეტის კლუბის დირექტორი ბატონი გიური სვანიძე, დაგვიპირდა სტუდენტების მიერ შესრულებული მუსიკალური ნიმუშებით საღამოს გალამაზებას.



თავი რომ არ შეგვერცხვინა, გულმოდგინედ შევუდექით სამზადისს: ვადგენდით კომპოზიციებს, ვეცნობოდით ლაშა ბუღაძის, რაგი ამაღლობელის, დათო ტურაშვილისა და სხვათა ნაწარმოებებს. ვწერდით აფიშისა და მოსაწვევების ტექსტებს. ჩვენი პროგრამა პირველად დირექტორს, პროფესორ იური მოსიძეს გავაცანით. მისი მხარდაჭერის შემდეგ კიდევ უფრო აქტიურად გავაგრძელებთ მუშაობა.

არასოდეს დაგვაფიწყდება ეს ფაცი-ფუციანი სამზადისი. დანიშნულ საღამომდე ცოცხალ გვექონდა და ვღელავდით, მაგრამ გვამხნევენ ბუნებრივ უფროსები, მთელი ბიბლიოთეკა. ასეთმა ურთიერთობამ ბიბლიოთეკებისადმი ნდობა და

სიყვარული გაგვიჩინა, ჩვენს სტუდენტურ ცხოვრებას ხიბლი შემავა, აი, სად ყოფილა თურმე ის ლამაზი დღეების საიდუმლო, რასაც ასერიგად ვეძიებდით. ქალბატონი გულნარა გვეუბნება, რომ ბიბლიოთეკა ის ადგილია, სადაც ადამიანს შეუძლია ცოდნის, განათლებისა თუ საჭირო ინფორმაციის მიღება, კითხვაში დახელოვნება, კულტურული დასვენება და თავისი თავის გამოხატვაც, მაგრამ სტუდენტური დროის შთაბეჭდავად, შემოქმედებითად გაგარების საიდუმლო მაინც თითოეულ თქვენგანშია, თქვენს მონღოლებში, თქვენს მიზანდასახულობაშიაო...

და ჩვენ მოვინდომეთ! 12 მარტს, 15 სთ-ზე

სტუმრები გვეწვივნენ. სტუდენტებით და პედაგოგებით გაიჭედა ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი. ჩემი მეგობარი ქეთი ცაბაგაძე ნამდვილად ორაგორული ნიჭით დაჯილდოებული აღმო-

ჩნდა. პირდაპირ გვასახელა, ისე წაიყვანა საღამო! ჩაგვეერთო მუსიკა, მღეროდნენ ჩვენი სტუდენტები: ნიკა ესაკია, სოფო კუჭავა, სოფო გელოვანი, ლიკა შუბითიძე და სხვები. საკუთარ ლექსებს კითხულობდა სალომე შამუგია. ერთი სიგყვით, თავს ვიწონებდით სტუმრების წინაშე და სტუმრებიც არ იშურებდნენ ჩვენდამი ყურადღებას. გვესაუბრებოდნენ ჩვენთვის საინტერესო თემებზე.

თავდაპირველად უახლესი ქართული ლიტერატურისმცოდნე დოცენტს ბელა წიფურიას მოვუსმინეთ. მან გაგვაცნო ახალგაზრდა მწერალთა მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები და აღნიშნა, რომ მათი შემოქმედება არის პოსტმოდერნული. პოსტმოდერნიზმს ქართული ლიტერატურა ჯერ კიდევ 20-ან წლებში ეზიარა,

მაგრამ ეს მიმდინარეობა სხვადასხვა მიზეზების გამო არ განვითარდა.

და აი ახლა, ჩვენს წინაშე გამოდიოდნენ და გვესაუბრებოდნენ ქართულ მწერლობაში სიახლეების მაძიებლები, ჩვენი ახალგაზრდა მწერლები. მათთან ერთად გვესტუმრა აგრეთვე ლიტერატორი და გამომცემელი ბატონი მამუკა ხერხეულიძე, რომელიც ბიბლიოთეკას დაპირდა, რომ მის გამომცემლობაში ყოველი ახალი გამოცემის თითოეული ეგზემპლარი ბიბლიოთეკას საჩუქრად გამოეგზავნებოდა.

სტუმრები ჩვენი უშუალოდ და ხალხმრავალი მასპინძლობით მოხიბლულნი იყვნენ. მუსიკამ საცეკვაო განწყობილებაც კი შექმნა. მწერლები

სტუდენტებთან ერთად ცეკვავდნენ, გარდა ლაშა ბუღაძისა, – არ მეხერხება ცეკვაო. სამაგიეროდ, დიდი მადლობა გადაგიხადა შეხვედრისათვის და თქვა, რომ ბიბლიოთეკაში ძალიან კარგად გრძნობდა თავს. მან შეგვახსენა, რომ დიდი მწერალი ბორხესი ბუენოს აირესის ბიბლიოთეკის დირექტორი იყო. სტუდენტებს კი გვიჩიოდა წაგვეკითხა უმბერტო ეკოს „ვარდის სახელი“, რომელიც თურმე ბიბლიოთეკაზეა დაწერილი.

ქეთი გაბაგაძემ სტუმრებს დისკუსიაში ჩაბმა შესთავაზა და დათო გურაშვილის ნაწარმოებთან ასეთი ფრაზა გაიხსენა: „ძველი ფილისის გზაზე უამრავი ჩიგი დაფრინავდა თურმე, და მეტიც, 25 წლის წინათ თბილისი თოლიებით ყოფილა სავსე, ახლა კი იმ ქალაქის თავზე ფრენა, სადაც ამდენი სიძულვილია, აღარც თოლიებს სურთ და აღარც მგრელებს“. „შეძლებენ კი თბილისი და თბილისელები ამდენი სიძულვილის დაძლევის?“ – იკითხა ქეთი გაბაგაძემ. შეძლებენო, – უპასუხა დათომ, მაგრამ ამისათვის ვინმე ამა



თუ იმ ბელადის თუ პირის იმედზე კი არ უნდა ვიყოთ, არამედ თითოეულ ჩვენგანს გვმართებს მოქმედება, საქმიანობა, მიხვედრა, რომ ეს ქუჩა, ეს უბანი, ეს ეზო, ეს სადარბაზო – ჩვენია და ჩვენი მოსაველეია, ჩვენი ასაშენებელიაო. მინდა კიდევ ერთ საკითხს შევეხო, სამწუხაროდ, დღეს საქართველოში არიან მშობლები, რომლებიც ქრთამის სახით იხდიან ფულს იმაში, რომ მათი შვილები უცოდინრები დარჩნენ. მშობლების მხრიდან ლექტორებისათვის ჩუმად ჯიბეში

ფულის ჩაკუჭვას სჯობს მსოფლიოში მიღებული ფორმა – სასწავლებლებში ფულის გადახდის ლეგალიზება დამკვიდრდეს. ჩვეულებრივი რამაა, სწავლაში ფული გადაიხადო, მაგრამ არა ისეთი

ფორმით, როგორც საქართველოში ხორციელდება. წარმომიდგენია, თუ რა უხერხულობას განიცდიან, როგორც ქრთამის მიმცემი, ისე ქრთამის ამღები ადამიანები. მახსენდება, როგორ ვიგანჯებოდი ცხრა თვის განმავლობაში, ვიდრე ჩემი პირველი შვილი გაჩნდებოდა, იმაზე ფიქრით, რომ მახარობელი ბებია ქალისთვის ჯიბეში ფული უნდა ჩამეცურებინა. ის დღე როცა დადგა და შვილის დაბადება ბებია ქალმა მახარა, ვერაფრით ვერ მოვახერხე მისთვის ფული ჯიბეში ჩამეღო. წარმომიდგენია, პროფესორისთვის როგორ პრობლემას წარმოადგენს მშობლების მიერ მიტანილი ქრთამის აღება.

ძალიან მარტივად შეიძლება ეს პრობლემა ლეგალიზაციით მოვაგვაროთ. ლექტორიც სალაროში აიღებს ხელფასს და არა ჩუმად, დიდი განცდებით.

არასწორად მიმაჩნია ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში პროფესიის არჩევა 17 წლის ასაკში ხდება. როგორ შეიძლება ამ ასაკის ახალგა-

ზრდას გაცნობიერებული ჰქონდეს, რა პროფესია უნდა აირჩიოს. ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში პროფესიას 25 წლის ასაკში ირჩევენ. მასხოვს, დედა ძალიან გავანაწყენე, როგორც კი სკოლა დავამთავრე, მთხოვა, უმაღლეს სასწავლებელში ჩამებარებინა. მე ამის სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი“.

რატი ამალლობელმა თავის ლექსები წაგვიკითხა. დარბაზი ტაშის გრიალით ეგებებოდა თითოეული მწერლის გამოსვლას. მწერლებმა საგანგებოდ აღნიშნეს, რომ ასეთ გარემოში ბიბლიოთეკაში წიგნებთან და მკითხველებთან შეხვედრა განსაკუთრებულ სიამეს გვგვრის და

ძალიან მოგვწონსო. მათ ამ განწყობილებას ესადაგებოდა დარბაზში გახმიანებული რაგის ლექსი:

„სამყაროს მიგნება წიგნიდან
და, მერე წიგნების მიგნება.
სამყარო იქმნება მიგნიდან.
სამყარო წიგნიდან იწყება!“

ყველას გვიხაროდა. დაუვიწყარი დღე გაგაგარეთ ბიბლიოთეკაში. ახლა კიდევ უფრო მეტად ვიწამეთ, რომ იმაზე მეტი ფასეული და ღირებული, ვიდრე სიციყვა წიგნი, ბიბლიოთეკა და წიგნიერ აღამიანთან საუბარია – არაფერია ქვეყნად.

ჩვენი პროფესიონალები

ნანა რამიშვილი
სტუდენტი

დაულაპი მუშაჟი

მზრგეთის იაკინთე ლისაშვილის სახელობის №2 საქალაქო ბიბლიოთეკა ჩვენს კუთხეში დიდი ხანია ცნობილია როგორც მკითხველთა ერთ-ერთი უსაყვარლესი ადგილი. იგი რაიონული ცენტრიდან მოშორებით მდებარეობს. ძირითადად ბავანის მიკრორაიონს ემსახურება, სადაც ათას ორასამდე ოჯახი ცხოვრობს, აგრეთვე №3 საშუალო სკოლას და უბანში განლაგებულ წარმოება-დაწესებულებებს. ამჟამად ბიბლიოთეკა ყოფილი კოლმეურნეობის გამგეობის შენობაშია მოთავსებული, რადგანაც ვერ მოხერხდა საკუთარი ნახევრად დახგრეული შენობის აღდგენა.

ბიბლიოთეკა 3 ოთახშია განთავსებული. აქედან ორში წიგნებია დაცული, ხოლო ერთი ოთახი მკითხველთა მომსახურებისთვის არის განკუთვნილი.

ბიბლიოთეკას ნამდვილად აცყვია მზრუნველი ხელი, რასაც შესვლისთანავე იგრძნობს

აღამიანი, კედლებზე გამოფენილია თემატური ლიგურატურა სხვადასხვა ღირსშესანიშნავ და საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით, გაკრულია პლაკატები და გრანსპარანგები, ცნობილ აღამიანთა სურათები; აქვეა ბიბლიოთეკის მოღვაწეობის ამსახველი ფოტო-ალბომები.

იყო დრო, როდესაც ბიბლიოთეკის ფონდი 42 ათასამდე ერთეულს ითვლიდა. ამჟამად ეს რიცხვი 22 ათასამდე შემცირდა, ნაწილობრივ მოძველებული ლიგურატურის ჩამოწერის გამო, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ფართობი არ იძლევა დიდი რაოდენობით წიგნების განლაგების საშუალებას. ამიგომ ბევრი წიგნი ცენტრალურ ბიბლიოთეკას გადაეცა.

საყოველთაო სიდუხჭირის პირობებში ბიბლიოთეკას უჭირს. 1990 წლიდან მოყოლებული აქ არც ერთი წიგნი არ შეუძენიათ, ვერ იღებენ პრესას. ძირითადად შემოწირულების გზით თუ ხდება წიგნადი ფონდის მაგება, რაც

უმნიშვნელოა ამოდენა ბიბლიოთეკისათვის. ადრე მისი ფონდი ყოველწლიურად ათასი-ათას ორასი ერთეულით ივსებოდა.

ეს ბიბლიოთეკა კულტურისა და განათლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერაა რაიონში. წლების მანძილზე აქ იმართებოდა მრავალნაირი მასობრივი ღონისძიება. აქტიურად მოღვაწეობდა და მოღვაწეობს ბიბლიოთეკასთან არსებული წიგნის მოყვარულთა კლუბი „ჩირადღანი“, რომელიც 1983 წლიდან ფუნქციონირებს. მას უცვლელად ხელმძღვანელობს დამსახურებული პედაგოგი ფეფო ბოლქვაძე.

ეს ბიბლიოთეკა ერთ-ერთი სამაგალითო იყო რესპუბლიკაში, რასაც მოწმობს ის სიგელი და დიპლომები, რომლებიც მას აქვს მიღებული რესპუბლიკურ თუ საკავშირო დათვალიერება-კონკურსებში.

ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ხშირად იწვევდნენ სტუმრებს სხვადასხვა ქალაქებიდან. იმართებოდა შეხვედრები მწერლებთან, პოეტებთან, სამოგადო მოღვაწეებთან, ყოველივე ეს განუყრელად იყო და



არის დაკავშირებული ბიბლიოთეკის გამგის ზინა სალუქვაძის სახელთან. ქალბატონი ზინა უკვე რვა ათეულზე მეტს ითვლის და აქედან 60 წლის მანძილზე საბიბლიოთეკო საქმეს ემსახურება, და, უნდა ითქვას, დიდი წარმატებითაც. მან მეტად საინტერესო ცხოვრების გზა გაიწვია. დაიბადა 1923 წელს. სკოლის დამთავრების შემდეგ პედაგოგიურ სასწავლებელში ჩაირიცხა, რომლის დამთავრებისთანავე ჯერ საბავშვო ბიბლიოთეკის, ხოლო შემდეგ სასკოლო ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა. დაარსების დღიდან მუშაობს №2 საქალაქო ბიბლიოთეკაში ჯერ ბიბლიოთეკარად, ხოლო 1963 წლიდან – გამგედ. არის რესპუბლიკის და-

მსახურებული ბიბლიოთეკარი, 1996 წელს ის ღირსების ორდენით დაჯილდოვდა. მას არაერთი მაღლობა აქვს მიღებული საბიბლიოთეკო და წიგნის პროპაგანდის საქმეში წარმატებული მოღვაწეობისათვის. მიუხედავად ხანდაზმული ასაკისა, ის ისევ ახალგაზრდული ენთუზიაზმითა და მონღომებით ემსახურება საყვარელ საქმეს. მისი თაოსნობით ბიბლიოთეკა ყველა მნიშვნელოვან თარიღს ეხმაურება. აქ დღესაც იმართება შეხვედრები, პრემენგაციები, საღამოები, ეწყობა დისკუსიები და წიგნის გარჩევა-განხილვები. ამ ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობს მკითხველი საზოგადოება, განსაკუთრებით მოსწავლეები, სტუდენტები, განათლებისა და კულტურის მუშაკები.

ქალბატონი ზინა გამოირჩევა გულისხმიერებით, მაღალი პროფესიონალიზმით, მკითხველების მიმართ კეთილგანწყობით, რის გამოც დიდი სიმპაგია აქვს დამსახურებული, მაგრამ ამაღლოულად, იგი საკმაოდ მომთხონი და მკაცრიცაა, მის სიმკაცრეზე რაიონში პირდაპირ

ლეგენდები დადის. იგი განსაკუთრებულ პუნქტუალობას ითხოვს ყველასაგან. შეიძლება ითქვას, მას ბიბლიოთეკიდან წიგნის დაკარგვის არც ერთი ფაქტი არ ახსოვს. არავის აპატიებს უწესრიგობას, ამასთან დაკავშირებით, კურიოზული შემთხვევებიც ჰქონია. მაგალითად, ერთხელ სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტებმა, რომლებიც ობურგეთში საწარმოო პრაქტიკაზე იმყოფებოდნენ, ბიბლიოთეკიდან მათთვის საჭირო წიგნები გაიგანეს, მაგრამ ისე გაემგზავრნენ, რომ წიგნების დაბრუნება „დაავიწყდათ“. ქალბატონმა ზინამ მაშინვე აფრინა წერილი სოხუმის უნივერსიტეტის რექტორთან – თქვენმა სტუდენტებმა ჩვენს ბიბლიოთეკას


წიგნები არ დაუბრუნეს და გთხოვთ, არ დაუშვათ სახელმწიფო გამოცდებზე. მეორე დღესვე ჩამოვიდნენ სტუდენტები ობურგეთში დაქირავებული ტაქსით, წიგნები დააბრუნეს და დაუყოვნებლივ უკან გაბრუნდნენ, რომ როგორმე გამოცდებისთვის ჩაესწროთ.

ერთ-ერთმა სტუდენტმა, რომელიც რაიონში სტუმრად იმყოფებოდა, წიგნი დროზე არ დააბრუნა. ეგყობა, არც აპირებდა დაბრუნებას, ქალბატონმა ზინამ გაიგო, რომ იმ საღამოს ეს სტუდენტი თბილისში მიემგზავრებოდა. გავიდა სადგურში, გასასვლელად გამზადებული მაგარებლის შემადგენლობა სულ დაიარა, იპოვა ის სტუდენტი, პირდაპირ ჩემოდნიდან ამოაღებინა წიგნი და კარგადაც შეახურა.

2006 წელს №2 საქალაქაო ბიბლიოთეკას

დაარსებიდან 50 წელი უსრულდება. ქალბატონი ზინა ამ თარიღის საზეიმოდ აღნიშნავს აპირებს. მან კარგად იცის, რომ თანამედროვე ბიბლიოთეკის კვალობაზე თავის ბიბლიოთეკას ბევრი რამ აკლია, განსაკუთრებით წუხს ახალი ტექნოლოგიების დანერგვა რომ ჭირს, მაგრამ იმედს არ კარგავს, რომ მოვლენ ახალგაზრდები, რომლებიც მის საქმეს განაგრძობენ და ახალ-ახალ წარმატებებს მიაღწევენ. მიუხედავად მძიმე ეკონომიკური პირობებისა, ის სავსეა ენთუზიამით, რომ ღირსეულად აღნიშნოს საიუბილეო თარიღი. მწამს, კიდევ ერთი საინტერესო და ლამაზი საღამო გველოდება ობურგეთის რაიონში.

წარმატებას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ ამაგდარ ქალბატონს.



ფოტოლა ჩიმაკაძე
თბილისის რუსთაველის სახელობის საქალაქო
ბიბლიოთეკის საბჭოს თავმჯდომარე

მუვილი პროფესიის დესანნი

საქართველოში შოთა რუსთაველის სახელს მრავალი ინსტიტუტი და ორგანიზაცია აგარებს. არსებობს პოეტის სახელობის ლიტერატურული პრემია, ქართველმა კაცმა გემსაც კი დაარქვა შოთას სახელი. რუსთაველის სახელი მიაკუთვნეს ბიბლიოთეკას, რომელიც დიდუბეში გაიხსნა XX საუკუნის გარიჟრაჟზე. მალე ის რვა ათწლეულს მიითვლის. აქედან 30 წელი მისი უცვლელი ხელმძღვანელი ქალბატონი მაყვალა რამზაძეა. ქალბატონი მაყვალა ხომ საბიბლიოთეკო საქმის შესანიშნავი სპეციალისტია; ამაზე დიდუბელი მკითხველები დაგვეთანხმებიან. მისი შესაშური შემართება, უჩვეულო ენერჯია და წიგნისადმი მართლაც ფანატიკური სიყვარული, მთელი საბიბლიოთეკო სისტემისთვისაა ცნობილი. კულტურის სამინისტრო ქალბატონ მაყვალა რამზაძეს დედაქალაქის

ერთ-ერთ დამსახურებულ ბიბლიოთეკარად მიიჩნევს და მის პროფესიონალიზმს გამორჩეულად აფასებს.

შოთა რუსთაველის სახელობის ბიბლიოთეკაში შესული მკითხველის თვალს და გულს იგაცებს ბრწყინვალედ შესრულებული დიდი პოეტის პროგრეტი და ხატოვნად შესრულებული მისი უკვდავი აფორიზმები. სტენდებზე კი გემოვნებითაა გამოფენილი ამა თუ იმ თემისადმი მიძღვნილი მრავალფეროვანი მასალა, რასაც ემატება მყუდროება და აქ მომუშავე ბიბლიოთეკართა გულისხმიერება.

მთელ ქალაქშია გახმაურებული რუსთაველის ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებული ღონისძიებები, რომლებიც ქალბატონმა მაყვალამ თითქმის შემოქმედებამდე აიყვანა. ამის ნათელი დასტურია: ირაკლი აბაშიძის, ანა კალანდაძის, იოსებ ნონეშვილის, შოთა ნიშნიანძის,

მუხრან მაჭავარიანისა და სხვა მრავალი მამუ-
ლიშვილისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, რო-
მლებსაც მრავალი გამოხმაურება მოჰყვა.

ქალბატონ მაყვალას ეამაყება, რომ რუსთა-
ველის სახელობის ბიბლიოთეკას უდგას სათა-
ვეში – რუსთაველის სახელობისაა ეს ბიბლი-
ოთეკა და ამით ძალიან ვამაყობ, საქართვე-
ლოში რაც კი რუსთაველის სახელს აგარებდა,
ყველა გამოვიძიე, ყველასთან დავამყარეთ კა-
ვშირი, თეატრალურ ინსტიტუტთან, თეატრთან,
ლიტერატურის ინსტიტუტთან და რუსთაველის
სახელობის კოლმეურნე-
ობასთანაც კი, – ამბობს ლი-
მილით ამაგდარი ბიბლი-
ოთეკარი.

ქალბატონი მაყვალა ყო-
ველთვის ახერხებს იმას,
რომ ბიბლიოთეკაში მიიზი-
ლოს ყველა ასაკისა და სპე-
ციალობის ადამიანები, ჩი-
ნიანები თუ უჩინონი. განსა-
კუთრებულია მისი მი-
დგომა ახალგაზრდა მკი-
თხეელებისადმი. ქალბატონ
მაყვალას პირადი კონგა-
ქტები აქვს საქართველოს
მწერალთა კავშირთან, ქუ-
რნალ-გაზეთების რედაქცი-



ებთან, გელევიზიასთან. ქართველი მწერლები
ქალბატონ მაყვალას დიდად აფასებენ და მის
თხოვნას უყურადღებოდ არასოდეს გოვებენ და
განა მარგო მათთან, ქალბატონ მაყვალას უშუ-
ალო კავშირი აქვს დედაქალაქის სკოლებთან,
სასწავლებლებთან და ინსტიტუტებთან, მოსწა-
ვლე ახალგაზრდობასთან და სტუდენტებთან,
და ამიგომაცაა, რომ მის მიერ ჩატარებული
ღონისძიებების მონაწილეთა შორის არიან არა
მარგო მწერლები და პოეტები, არამედ კომპო-
ზიტორები, ხელოვნებათმცოდნეები, სახალხო
მთქმელები, მსახიობები. ყველა ღონისძიების
თანამდევია დიდებული გალაკტიონის, ვერიკო

ანჯაფარიძის, გიორგი ლეონიძის უკვდავი
ხმები და ქართული მრავალკამიერი, რაც კი-
დეც უფრო მეტ შინაარსობრივ დაგვირთვას
აძლევს ღონისძიებებს და სანახაობრივადც სა-
ინტერესოს ხდის.

შოთა რუსთაველის სახელისა და მისი პო-
ემის პოპულარიზაციის მიზნით, ქალბატონმა
მაყვალამ კიდევ ერთ სიახლეს ჩაუყარა საფუ-
ძველი. ბიბლიოთეკისთვის გრადიციადაა ქცე-
ული ყოველი წლის ოქტომბერში აღნიშნოს
„შოთაობა“, რომელმაც იწვევენ შოთა რუსთა-
ველის სახელობის პრემიის
ლაურეატებს. ამ სახის ღო-
ნისძიებები, დიდ პასუხი-
სმგებლობასთან ერთად,
დიდ სიხარულს ანიჭებს მკი-
თხეელებს.

დიდი პოეტის უკვდავსა-
ყოფად ბიბლიოთეკაში სამი
ათეული წელია მუშაობს
ლიტერატურული გაერთი-
ანება, რომლის მიზანია
სრულყოფილად შეისწა-
ვლოს „ვეფხისტყაოსანი“.
გაერთიანებაში ძირითა-
დად ჩაბმული არიან შემო-
ქმელებითი ნიჭით დაჯი-
ლდობილი ადამიანები,

რომლებიც პოემის შესწავლასთან ერთად, თა-
ვად ქმნიან პოეტურ სტრიქონებს. გაერთიანე-
ბაში არა ერთი პოეტი „დაიბადა“: მაურ აბუ-
თიძე, ოთარ სოხაძე. ლიტერატურული გაერთი-
ანების საპატიო პრემიენცი გახლდათ შოთა
ნიშინიანიძე. ბატონი შოთას გარდაცვალების
შემდეგ ბიბლიოთეკამ გრადიციად აქცია გა-
სულითი ღონისძიების ჩატარება დიდუბის პა-
ნიონში, სადაც პოეტის საფლავთან, მის დაბა-
ლების დღეს, 18 მარტს, ამინდის ჭირვეულობის
მიუხედავად, ყოველწლიურად აღნიშნავენ ბა-
ტონი შოთას ოჯახის წევრებთან და მეგობრე-
ბთან ერთად.

ახლახან ბიბლიოთეკაში კიდევ ერთი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა: „წიგნი – მკითხველი – ბიბლიოთეკარი“, რომელიც ფაქტიურად ბიბლიოთეკის ღვაწლმოსილი გამგის – ქალბატონ მაყვალა რაზმაძის დაბადების დღედ იქცა. ამ დღეს ქალბატონ მაყვალას 75 წელი შეუსრულდა.

ღონისძიებაზე მოსულმა სამმა თაობის მკითხველებმა ქალბატონ მაყვალას კეთილშობილური საქმიანობა „ფუტკრის შრომად“ შეაფასეს. გულთბილად მიულოცეს წიგნის სამსახურში განვლილი წლები და ხანგრძლივი სიცოცხლე და ჯანმრთელობა უსურვეს.

აი, რამდენიმე ფრაგმენტი იმ პოეტური სტრიქონებიდან, რომელიც მას მაღლიერმა მკითხველმა მიუძღვნა:

„როგორც მოძღვარი, მოფუსფუსე, სენაკსა მცირეს,

საკუთარ მრევლში დღენიადაგ შრომობ და იღვწი.

საყვარელ საქმეს, შენი სულის ნაწილსა სწირავ,

და სანთელივით ნელა-ნელა, ილევი, იწვი...“

და კიდევ:
„ღვაწლით ფიცხელით, ქმნით, ხვეწლით სულთა შენობას,

რომელსაც მაღლით სიკეთისა ჩაუდგით ძე-ლქვად;

და თან გარება „მძიმე ჯვრისა“, ასე გშენობდათ,

რასაც სანაცვლოდ „მაღლიერთა ღმირი ერქვა“.

(ოთარ სოხაძე, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი).

სხვანიც ბევრნი უერთდებიან მოლოცვებს:

„...ჩემო ძვირფასებო, როცა ჩემს თავთან მარგო ვრჩები, ვრწმუნდები, რომ მე ყველაფერი იმის ნაწილი ვარ, რაც კი ოდესმე წამიკითხავს და შემიცვნია. საქართველოს სიყვარული, ეროვნული ფასეულობებისადმი თავყანისცემის გრძნობა ბიბლიოთეკამ და უპირველესად მი-

სმა გამგემ, ქალბატონმა მაყვალა რაზმაძემ გამიღვიძა. მე თავს მდაბლად ვხრი მის წინაშე და მრავალ მხნე, ქვეყნისა და მისთვის პირადად ბედნიერების მომგან წელს ვუსურვებ“.

(მამუკა გომართელი, ამერიკაში მოღვაწე მეცნიერი, პროფესორი).

„სადაც არ უნდა წავიდეს, მაყვალა რაზმაძეს თავის მკითხველი თუნდაც აფრიკაშიც გაჰყვება“.

(მანონი ხორავა, ქ. თბილისის ბიბლიოთეკების გაერთიანების ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგე).

„მოთა რუსთაველის სახელობის ბიბლიოთეკამ ჩემს ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა... დღეს ბიბლიოთეკებს სამოწყალოდ არ უნდა ჰქონდეთ საქმე. ცოდნის ამ უმნიშვნელოვანეს კერებზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს.

(კობა დავითაშვილი, პარლამენტარი).

კიდევ ბევრი სამაღლობელი სიგყვა ითქვამს ქალბატონი მაყვალას პროფესიონალიზმსა და დამსახურებაზე, მის შრომისმოყვარეობაზე.

ქალბატონი მაყვალა ახალგაზრდულად შემართული იდგა თავისი ერთგული მკითხველების წინაშე და მოკრძალებით იღებდა მილოცვებს.

მაყვალა რაზმაძე, დამსახურებული ბიბლიოთეკარი და საბიბლიოთეკო საქმის შესანიშნავი სპეციალისტი, დიდუბელი დედა და ბებია, 75 წლის მიუხედავად, დღესაც ახალგაზრდული შემართებითა და ენერგიით ემსახურება საყვარელ საქმიანობას.



ჩვენი მომავალი



„ქვეყანა ლამაზ ფერებში, სკოლის გზა მწვანე, ამ გზაზე მიმავალი პაგარა ანგელოზი“. ასე იწყებს ერთ-ერთ მოთხრობას ხაშურის რაიონის სოფ. ვაყის საშუალო სკოლის მოსწავლე ნინო მოსიაშვილი.

მან დიდ გამარჯვებას მიაღწია: იგი არჩეულ იქნა საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის მეორე მოწვევის დეპუტატად და იმ დღიდან ირწმუნა, რომ მარტო ქვეყანა კი არა, საერთოდ, ცხოვრებაა ლამაზი და მშვენიერი.

ნინო XI კლასის ფრიალოსანი მოსწავლეა, რომელსაც განსაკუთრებით იზიდავს ჰუმანიტარული საგნები, უყვარს ლიტერატურა, წიგნი. იგი

ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველია, ფლობს ფრანგულ ენას. ცდილობს საკუთარი ამრები და ბავშვური ოცნებები ქალაქში გადაიტანოს. ეს ფიქრები და ოცნებები 2000 და 2003 წლებში წიგნებში აისახა, რომლებიც ხაშურის რაიონულ სტამბაში დაიბეჭდა.

სხვადასხვა დროს ნინოს ლექსები და მოთხრობები იბეჭდებოდა ხაშურის რაიონულ გაზეთ „მოამბეში“, რეგიონალურ გაზეთ „ყაყაჩოს“ ფურცლებზე.

ახალგაზრდული პარლამენტის დეპუტატობა ნინოსთვის დიდი მიღწევაა. ვულოცავთ მას და ვუსურვებთ წარმატებებს.

მაია ნინიაშვილი

სოფ. ვაყის ს/ ბიბლიოთეკის გამგე

ნინო მოსიაშვილი
ხაშურის რ-ნის სოფ. ვაყის საშ. სკ. მოსწავლე

ახალგაზრდა პარლამენტარის
შთაბეჭდილებები

საოცარია, მაგრამ დღეს რომ ნებისმიერი ადამიანი გააჩერო და ჰკითხო, თქვენ რომ პრეზიდენტი იყოთ, ქვეყნისათვის რას გააკეთებდითო, ერთი არ იგყვის, რას ამბობთ, როგორ გეკადრებათ, სად მე და სად პრეზიდენტობაო; ყველა მაშინვე „შეუღვება“ ხოლმე ქვეყნის მართვას.

ასეთი ამრები ხშირად მომსვლია თავში, მაგრამ მაშინ ვერც ვიფიქრებდი, რომ მე პარლამენტარი გახდებოდი, და მაინც, დღეს მე პარლამენტარი ვარ.

არჩევნები, რომელიც გორში ჩატარდა, ორ გურად გაიმართა. პირველ გურში მონაწილეებს უცხო ტესტები დაგვირიგეს, რომელშიც

თითო-თითო ქულიანი კითხვა იყო, მე ამ ტესტებში 19 ქულა დავაგროვე (გამსვლელი ქულა იყო 10). სხვათა შორის, ხაშურის რაიონი საინტერესო ახალგაზრდებით იყო წარმოდგენილი. ამკარად ბევრნი ვიყავით და თითქმის ყველანი გავვით მეორე გურში. მეორე გურში კი უნდა წარმოგვედგინა ჩვენი საარჩევნო პროგრამა. ჩემი საარჩევნო პროგრამა საკმაოდ პაგარა იყო, მოკლებული ყოველგვარ პომპეზურობას, განუმარტავდი, რომ პარლამენტში მოსვლის შემთხვევაში ვეცდებოდი ჩემი ფიქრები, ოცნებები რეალობად მექცია: „სოფელში საუკეთესო ადგილზე ავაშენებდი დიდ, ლამაზ, ნათელ შენობას, შიგ ბიბლიოთეკას მოვაწყობდი, შევიძინდი მსოფლიო ლიტერატურა

რის საუკეთესო ნიმუშებს...

შენობაში იქნებოდა სითბო, ახალგაზრდებს დაგუბრუნებლი რწმენას“.

ყურადღება გაავამახვილე ნდობის ფაქტორზე. აღვნიშნავდი, რომ ჩემს ირგვლივ ბევრია შემოქმედებითი უნარით დაჯილდოვებული ახალგაზრდა; შევეცდები იგრძნონ, რომ მათზე ბრუნავენ, ფიქრობენ, ისინი უყვართ და აფასებენ.

ხაშურის რაიონიდან ჩემთან ერთად დეპუტატი გახლავლიყეუმ „ბალავარის“ მოსწავლე თამარ ნობაძე, რომელიც საოცრად თბილი, ჭკვიანი, ყურადღებიანი გოგონაა.

ალბათ სწორი არ ვიქნები, თუ არ ვიგყვი, რაოდენ ძლიერი გუნდი წარმოგვიდგინა ხაშურის ახალგაზრდულმა დეპარტამენტმა. ისინი მეგად ნიჭიერი, გონიერი ახალგაზრდები არიან.

მინდა ყველას გადაუხადო გულწრფელი მადლობა ჩემი თანადგომისათვის – დიდი, დიდი მადლობა, ვეცლები თქვენი ნდობა გავამართლო!

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადაუხადო რაიონის ახალგაზრდული დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბაგონ მურმან ცენგერაშვილს, რომელმაც რეგიონის დეპარტამენტთან ერთად არჩევნები დემოკრატიულად ჩაატარა.

მადლობა დიდი ნდობისათვის სკოლას, ამხანაგებს, სოფლის გამგებულს, რაიონის ცენტრალური ბიბლიოთეკის გამგეს ქალბატონ რუსუდან ენჯიბაძეს. ყველას, ყველას!

ოქტომბრის ბოლო კვირას თბილისში ჩაატარდა ახალგაზრდა პარლამენტართა შეკრება. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი, ამადლებული წუთები, რომელთა გადმოცემა მიჭირს, მეხვედრები გვქონდა მთავრობის წე-

ვრებთან. აქ იყვნენ განათლების მინისტრი, გარემოს დაცვის მინისტრი და სხვ.


თავიდან თითქოს ვერ შევიგრძენი ის სიხარული, რომელიც დამეუფლა, არ მჯეროდა, რომ მე პარლამენტარი ვიყავი, თავი სიმშარში მეგონა, მაგრამ როდესაც სხდომათა დარბაზში ჩემს სახელსა და გვარს მოვკარი ყური, მივხვდი, რომ დრო იყო ბურანიდან გამოსვლისა, გულწრფელად ვუსურვებ ჩემს თანატოლებს

ასეთ დიდ სიხარულს, სიხარულს, რომლის გადმოცემა სიციყვებით არ ძალმიძს.

პირველ სხდომაზე ავირჩიეთ პარლამენტის სპიკერი, მისი მოადგილეები, გავერთიანდით სხვადასხვა კომიტეტებში, ვიყავით ოქროს ფონდის მუშეუში.

მთაბეჭდილებები წარუშლელია, რაც იმ დღეებში მივიღე. არასოდეს არ გავუცრუებ იმედებს იმათ, რომლებმაც ნდობა გამომიცხადეს, ვის თანადგომასაც ყოვე-

ლთვის ვგრძნობდი. აუცილებლად განვახორციელებ ცხოვრებაში იმას, რაც საარჩევნო პროგრამაში მქონდა მოცემული.



სტუდენტი ეუფლება პროფესიას

R

ენი სტუდენტების ერთი ნაწილი უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების მუდმივი მკითხველები არიან. აქ ისინი ამზადებენ სემინარებს, წერენ რეფერატებს, ეძიებენ საჭირო ლიტერატურასა და იღებენ მათთვის საინტერესო ინფორმაციას.

მოგი მათგანი კვლევითი ხასიათის საქმიანობასაც ეწევა. მათი მოსაზრებები, დასკვნები, მონაკვლევები თავისთავად საინტერესო და საგულისხმოა. აღსანიშნავია, რომ ისინი ხშირად წარმოაჩენენ ისეთ წიგნებს, რომლებიც ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი არ არის და ამით ერთგვარად მათ პოპულარიზაციასაც ეწევიან. ამგვარი თვალსაზრისით შეიძლება მივეუდგეთ თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ენისა და გერმანულენოვანი ქვეყნების კულტურათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტის სოფო ღლონგის სტატიას „თამარ მეფის გერმანული საქმრო“.


სოფო ღლონგი, როგორც სტუდენტი, უკვე დიდ იმედებს იძლევა. თავისი თავის შესახებ ის შემდეგ გვატყობინებს: „...მომეცა საშუალება, გამემუქებინა ერთი მეტად საინტერესო ფრაგმენტი საქართველოს მაგიანიდან... ხელმძღვანელი ბ-ნი ნოდარ ასათიანი ბრძანდებოდა. მაღლობა მინდა გადავუხადო ბატონ ნოდარს და მისი ხელმძღვანელობით ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიის კათედრას...“

ამის შემდეგ ს. ღლონგი ეხება იმ ქართულ და გერმანულენოვან წყაროებს, რომლებსაც ეყრდნობოდა მუშაობის დროს. იგი გვატყობინებს: „გერმანულიდან ვთარგმნე გივი ქორღანიას სტატია „Konige der Romer“ („ვინ იყვნენ მეფენი პრომთანი“ – Georgica yena – Tbilisi, 1980); ასევე ვისარგებლე შოთა ბადრიძის შრომებით: „ჯვაროსნები და საქართველო“, „ქართველები და გერმანული სამყარო შოთა რუსთაველის ეპოქაში“ და სხვა მასალებით, რომლებიც მეხმარებოდა თემაზე მუშაობისას“.

უნდა აღვნიშნოთ, რომ დასახელებული გამოცემები მეტად მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, რომლებიც ხელს უწყობენ ქართულ-გერმანული მეცნიერულ-კულტურული ურთიერთობების განვითარებას, ხოლო ს. ღლონგის სტატია ამუქებს ჩვენი საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილ მოვლენებს, რითაც საინტერესოა სწორედ მისი ნაშრომი.



სოფო ღლონგი
სტუდენტი



თამარ მეფის გერმანული საქმრო

XII-XIII სს-ის მიჯნა, საქართველოს „ოქროს ხანა“, მეფე თამარი – ეს ეპოქა ჩვენს ცხოვრებაში ასოცირდება ძლიერ, აყვავებულ ქვეყანასთან, რომელსაც მმართველობს მეფე-ქალი. მაგრამ მიმაჩნია, რომ თამარზე, რო-

გორც ქვეყნის მმართველზე საუბრისას, არანაკლებ საინტერესო იქნება მისი ცხოვრებიდან ნაკლებად ცნობილი დეტალების გაშუქებაც. ძირითადი ისტორიული წყაროებიდან ჩვენთვის ცნობილია მისი ორი ოფიციალური ქმარი: პი-

რელი იყო როსტოვ-სუბდალის მთავრის ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟი – იური, რომელიც პირადი ნაკლოვანებების გამო დაგმობილი და ქვეყნიდან განდევნილი იქნა. თამარის მეორე ქმარი გახლდათ დედით ბაგრატიონთა შთამომავალი, საქართველოს სამეფო კარზე აღმზრდილი ოსთა მეფის ვაჟი – დავით სოსლანი.

ძირითადად ამ ცნობებით შემოიფარგლება თამარის პირადი ცხოვრება, თუმცა, ბუნებრივია, მას, როგორც ულამამეს ქალბატონს, მთხოვნელიც არაერთი ეყოლებოდა. გარდა მომხიბვლელობისა, მათთვის ისიც იქნებოდა სანუკვარი, რომ თამარის მეუღლეობა მათ ძლიერი საქართველოს მეფის სახელსაც მიანიჭებდა.

მეფის ხელისმთხოვნელთა შორის ყოფილა „სალღუხის ძე სახელით მუგაფრაღინი“, ასევე მათ შორისაა მოხსენებული შარვანშა აღსართანი. მაგრამ, როგორც ჩანს, მათი ძალისხმევა ამაო გამოდგა! ისინი არ ცნეს თამარის ქმრობის ღირსად.

თამარ მეფის მთხოვნელთა შესახებ ცნობებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ცნობა მის გერმანელ საქმროზე. ქართულ-გერმანული კონტაქტების იმპულსად ჯვაროსანთა ომები გახდა, რომლებშიც სხვა ხალხებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდნენ გერმანელებიც.

ევროპის ქვეყნებში გაგონილი ჰქონდათ, რომ საქართველო უძლიერესი სახელმწიფო იყო წინა აზიაში. დასავლეთის მბრძანებლებმა კარგად იცოდნენ, რომ რეალური დახმარების აღმოჩენა ჯვაროსნულ ომებში უმთავრესად ქართველებს შეეძლოთ. ეგყობა, ეს გარემოება კარგად გაითვალისწინა გერმანიის მეფე ფრიდრიხ I-მა, რომელსაც იგაღიელებმა „ბარბაროსა“ ე.ი. „წითურწვერა“ შეარქვეს. იერუსალიმის დასაბრუნებლად ლაშქრობდა თამარის მამა – გიორგი მესამე. გიორგი მეფის დიდ ავტორიტეტს მოწმობს ერთი ადგილი თამარის ისტორიკოსის თხზულებიდან „ისტორიანი და

ამბანი შარავანდედთანი“. სახელდობრ, როცა ავტორი მიმოიხილავს გიორგი მეფესთან სხვადასხვა მბრძანებელთა და ხალხთა ურთიერთობებს, წერს: „სძღუნობდეს და სძმობდეს მას მეფენი ბერძენთანი, იერუსალიმს აღმანთანი და ჰრომთანი და ჰინდოთანი და ჩინელნი და ეგრეთვე სულგანნი“.

აქ პირველად მოხსენიებულ სამ ქრისტიან მბრძანებელთაგან პირველი ორი კარგადაა ცნობილი: „მეფენი ბერძენთანი“ ბიზანტიის იმპერატორები არიან. გიორგი III მეფობის ხანას თანხვდება კომნენოსთა დინასტიიდან მანუილის, მისი მცირეწლოვანი ძის ალექსი მეორის და კარგად ცნობილი ანდრონიკეს მეფობა. ხოლო „იერუსალიმის აღემან მეფეებად“ იგულისხმებიან იერუსალიმის ჯვაროსნული სამთავროს ხელმწიფეები: ბალდუინ III (1152-1162), ამორი I (1162-1173) და ბალდუინ IV (1173-1184).

მაგრამ ისტორიულ ლიგერატურაში ჯერ არაა გარკვეული, ვინ არიან „მეფენი ჰრომთანი“. ძნელი დასაჯერებელია, რომ თამარის ისტორიკოსს აქ 700 წლის წინ გარდასული ძვ. რომის იმპერატორები ეგულისხმა.

თამარის იგივე ისტორიკოსი სხვა ღირსშესანიშნავ ამბავთან ერთად კიდევ ერთხელ ახსენებს „რომის მეფეს“, კერძოდ, როდესაც თამარი გაეყარა თავის პირველ ქმარს, როგორც უკვე აღნიშნული იყო, არაერთი უფლისწული ოცნებობდა მის მეუღლეობაზე, მათ შორის „შვილნი ხელმწიფეთანი ბერძენთა და ჰრომთანი“. მაშასადამე, მემადიანის თანახმად, არა მარგო „ჰრომთა მეფე“ „სძღუნობდა და სძმობდა“ გიორგი მესამეს, არამედ ამ „ჰრომთა მეფის შვილიც“ ყოფილა თამარის მთხოვნელ უფლისწულთა შორის.

გასათვალისწინებელია, რომ ძველად „რომაელებს“ მოგჯერ ბიზანტიელებს და თურქებსაც კი უწოდებდნენ. სახელდობრ, მცირე აზიურ თურქული სახელმწიფო იკონიის სასულთნო მეორენაირად „რუმად“ (ე.ი. რომად)

ისხენიებოდა. ამიგომ ჯერ გავიკითხოთ, ხომ არ გულისხმობს ისტორიკოსი „მეფენი ჰრომთანში“ რომელიმე მათგანს?

ბერძნის, ბიზანტიელის „ჰრომად“ მოხსენიებას იშვიათად შევხვდებით ჩვენს ისტორიული წყაროებში: გერმინით „ჰრომი“ ჩვეულებრივ აღინიშნება რომაელი, ძალიან იშვიათად ბერძენი; ხოლო რაც შეეხება იკონიის სასულთნოს, მისი აქ ხსენება გამორიცხულია, რადგან ერთი, რომ ჩვენი ძველი მეისტორიენი მას „საბერძნეთს“ ან „დიდ საბერძნეთს“ უწოდებენ, და გარდა ამისა, იმ მეფეთა ჩამოთვლისას, რომელნიც „სძლუნობდეს და სძმობდეს“ გიორგი მეფეს, ისტორიკოსს „მეფენი ბერძენთანი“ და „სულთანი იკონნისანი“ უკვე მოხსენიებული ჰყავს და ცხადია, აღარ გაიმეორებდა.

ამრიგად, ნათელია, რომ „მეფენი ჰრომთანი“ არ შეიძლება ყოფილიყვნენ არც ძველი რომის ან ბიზანტიის იმპერატორები და არც რუმის ანუ იკონიის სულგნები.

შუა საუკუნეების ევროპაში „რომაელთა მეფეების“ წოდებას ატარებდნენ მხოლოდ გერმანელი მბრძანებლები (რომის საღვთო იმპერიის მეთაურები, გერმანელი შტაუფენები). დასავლეთ რომის იმპერიის დაცემისას (476) მოსპობილი გიგული „რომის იმპერატორისა“ 800 წლის 25 დეკემბერს აღდგა კარლოს დიდის რომში გვირგვინკურთხევით. ეს გიგული ხელმეორედ აღადგინა გერმანიის მეფემ ოგო პირველმა, რომელიც 962 წ. 2 თებერვალს რომშივე ეკურთხა „რომაელთა იმპერატორად“, ხოლო მის მიერ აღდგენილ იმპერიას ეწოდა „რომაელთა იმპერია“.

თუ ეს მოსაზრება მართებულია, გამოდის, რომ იმ მეფეთა შორის, რომელნიც „სძლუნობდეს და სძმობდეს“ მეფე გიორგის, ყოფილან „რომაელთა იმპერატორები“ ე.ი. გერმანიის მეფეები. ახლა გასარკვევია, ვინ უნდა ყოფილიყო ეს „ჰრომთა მეფე“? გიორგი III-ის მეფობა, ისე როგორც თამარის მეფობის პირველი წლები, ემთხვევა „რომაელთა იმპე-

რიის“ ტახტზე ფრიდრიხ ბარბაროსას მეფობას (1152-1190).

ვინ შეიძლება ყოფილიყო თამარის მთხოვნელი „შვილი ჰრომთა ხელმწიფისა“?

გ. ჟორდანიამ პირველმა სცადა კონკრეტულად ამოეცნო თამარის ქმრობის მოსურნე გერმანელი ხელმწიფის ვაჟი. ფრიდრიხ ბარბაროსას ხუთი ვაჟი ჰყავდა, ამათგან სამი თამარისთვის ასაკით შეუფერებელი იყო. ყველაზე პატარა მათ შორის 15-16 წლის ყრმა თუ იქნებოდა. ფრიდრიხის უფროსი ვაჟი – ტახტის მემკვიდრე ჰაინრიხიც 1186 დაქორწინებული იყო. რჩება თამარის მეუღლეობის ერთადერთი შესაძლებელი კანდიდატი – ბარბაროსას მეორე ვაჟი, მამის მოსახელე ჰერცოგი – ფრიდრიხ შვაბელი, რომელიც იმ დროს 19-20 წლის ჭაბუკი, შემკული იყო მხედამრთმთავრული ნიჭით, წარმოადგენდა ჯვაროსნული ლაშქრობების თვალსაჩინო მონაწილეს.

როგორც ჩანს, ბარბაროსას ორჯერ გამოუგზავნია საქართველოში თავისი დესპანი; პირველად გიორგი III მეფობაში, ე.ი. არაუგვიანეს 1184 წლისა, ხოლო მეორედ, ეგყობა ფრიდრიხს მაშინ წარმოუვლენია ელჩი, როდესაც წამოუწყია სამზადისი წმინდა ადგილების ხელში ჩასაგდებად. საფიქრებელია, რომ მას სურდა ნიადაგი მოესინჯა ანგიმუსლიმური კავშირის შესაკრავად, რასაც უთუოდ განამტკიცებდა გერმანელი ჰოჰენშტაუფენების დამოყვრება ქართველ ბაგრატიონებთან. სწორედ ფრიდრიხის ამ წინადადებასთან უნდა იყოს დაკავშირებული თამარის ისტორიკოსის მიერ „ჰრომთა ხელმწიფის შვილის“ ხელისმთხოვნელთა შორის მოხსენიება. სავარაუდოა, საქართველოს მბრძანებელს ბარბაროსას დესპანი 1188 წ. სწვეოდა და სალადინის წინააღმდეგ გალაშქრება შეეთავაზებინა, რადგან იერუსალიმი ამ სულთანის ხელთ იყო. ალბათ მაშინ, უნდა ეთხოვათ თამარის ხელი ფრიდრიხ შვაბელისათვის. უეჭველია, თუ უცხოელი ასე მოიქცა, სავარაუდოა, რომ მას ორივე წინადადე-

ბაბე უარს ეგყოდნენ. საქმე ისაა, რომ საქართველო მეგობრულ ურთიერთობაში იყო ეგვიპტის მბრანებელთან და, აქედან გამომდინარე, ის არ ისურვებდა იერუსალიმში სალადინის მბრძანებლობის დამხობას.

რაც შეეხება ბარბაროსას მეორე წინადადებას, გერმანელი უფლისწულის ქართველ გვირგვინოსანზე დაქორწინების შესახებ, საქართველოს მთავრობა, ცხადია, ამამეც უარს განაცხადებდა. აქ უკვე გამოცდილი ჰქონდათ, რას ნიშნავდა ქმრობა უცხოელი უფლისწულისა. რა გარანტია ჰქონდათ, რომ კათოლიკე გერმანელი უფლისწულიც საქართველოს მეფობისას ისეთივე შეუფერებელი არ გამოდგებოდა.

მაღე გერმანელებსა და ბიზანტიელებს შორის მდგომარეობა დაიძაბა. 1189 წ. იერუსალიმისკენ მიმავალ ფრ. ბარბაროსას ქ. ფილიპოპოლისში (დღევანდელი პლოვდივი) შეხვდა პეგრიწონის მონასტრის იბერიელი წინა-

მძღვარი, რომელთანაც მას აუდიენციაც მიუღია. რა საკითხებზე შეიძლებოდა ესაუბრათ გერმანელ გვირგვინოსანსა და ქართველ ბერს? ყოველ შემთხვევაში, ამ შეხვედრისას ბარბაროსამ, როგორც ჩანს, კიდეე ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემობას, რომ მას საქართველოს გვირგვინოსანთან კავშირი და მეგობრობა სურდა. თუ გავითვალისწინებთ შტაუფენების მაშინდელ მდგომარეობასაც, შესაძლებელია ვარუდი, რომ ქართველთა სამეფოსთან დამოყვრება მათ სავსებით გარკვეული არგუმენტით სურდათ.

ძნელი წარმოსადგენია, როგორ წარიმართებოდა საქართველო-გერმანიის ურთიერთობა, მოხდებოდა თუ არა ევროპის უძლიერესი სახელმწიფოს წინა ამის ასევე ძლევა-მოსილ სახელმწიფოსთან დამოყვრება, მაგრამ ამ ურთიერთობების გაღრმავებას გარკვეულწილად ხელი ალბათ „ჰრომთა მეფის“ გარდაცვალებამაც შეუშალა.





თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში ნაყოფიერად მოღვაწეობს ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობის სტუდენტთა სამეცნიერო წრე (მეცნიერ-ხელმძღვანელი დოცენტი ინგა ფილიაური). აქ ხშირად იმართება სხდომები, იხილავენ სტუ-

დენტთა მიერ შესრულებულ ნაშრომებს, მართავენ დისკუსიებს, აწყობენ ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებს. მოგვიერ სტუდენტების მიერ წარმოდგენილი მასალა მეტად საინტერესო ინფორმაციას შეიცავს და საკმაოდ მაღალ დონეზეა შესრულებული. ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველების დიდ ნაწილს დაინტერესებს მათ მიერ შესრულებული შრომები.



ქეთევან ცენცერაძე
სტუდენტი



საქართველოს მეაბრეშუმეობის ბიბლიოთეკა

(მოკლე ისტორიული ნარკვევი)

რინური და იაპონური წყაროების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დადგენილია, რომ მეაბრეშუმეობა და აბრეშუმის მრეწველობა ძვ.წ. მესამე ათასწლეულში ჩინეთში ჩაისახა და იქედან გავრცელდა მთელს მსოფლიოში. როგორც ცნობილია, დედოფალმა სი-ლუნგ-ჩიმ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2698 წელს შემთხვევით აღმოაჩინა აბრეშუმის პარკის ამოხვევის ხელოვნება, რის შემდეგაც საფუძველი ჩაეყარა აბრეშუმის ხამი ძაფის გამომუშავებას.

ჩინეთისაგან განსხვავებით, ინდოეთში აბრეშუმის ჭია და პეპელა თითქმის 2 ათასი წლის განმავლობაში დვითაებრივ არსებად მიაჩნდათ და მათი დახოცვა რელიგიური კანონებით აკრძალული იყო.

ჩინეთის სახელმწიფო საზღვრებს გარეთ აბრეშუმზე მხოლოდ ქსოვილის სახით ჰქონდათ წარმოდგენა. ჯერ კიდევ ჩვენი წ. აღრიცხვის 275 წელს აბრეშუმის ქსოვილი – თავისი წონა ოქრო ღირდა. ჩინელები ავრცელებდნენ რა აბრეშუმის ქსოვილებს, მკაცრად იცავდნენ ძა-

ფის და ქსოვილების დამზადების საიდუმლოებას. კანონით, სიკვდილით ისჯებოდა ის, ვინც ამ საიდუმლოებას საზღვრებს გარეთ გაიგანდა.

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მეაბრეშუმეობა ჩინეთიდან აღმოსავლეთ თურქესტანში დედოფალმა შემოიტანა, რომელიც ხოგანის სამთავროს თავადზე იყო გათხოვილი ჩვ.წ. მე-5 საუკუნის დასაწყისში (419 წ.) ვარაუდობენ, რომ ბეაბრეშუმეობა იმავდროულად ირანშიც გავრცელდა.

არსებობს ვერსია იმის შესახებ, რომ ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში მეაბრეშუმეობას სათავე V საუკუნის მეორე ნახევარში მეფე ვახტანგ გორგასალმა დაუდო, რომელიც სპარსეთის მეფეს, როგორც ვასალი, ახლდა ინდოეთში – ბრძოლებში. იმ დროს საქართველოში მეაბრეშუმეობას ქართული სახელწოდება ჰქონდა – ჭიჭნაუხგი.

ძვ.წ. 139-126 წლებში გაიხსნა გრანსკონგინენგალური სავაჭრო-საქარაფნო გზა, რომელიც ჩინეთს ხმელთაშუა და შავი ზღვის სანაპიროებთან აკავშირებდა. მე-19 საუკუნის გამოჩენი-

ღმა გერმანელმა გეოგრაფმა ფერდინანდ ფონ რიჩგოფენმა მეტად ლამაზად მონათლა ეს გზა, მას „აბრეშუმის გზა“, ხოლო შემდეგ „აბრეშუმის დიდი გზა“ უწოდა.

ძველი წელთაღრიცხვით IV-III საუკუნეებში ვაჭრობამ ფართო საერთაშორისო ხასიათი მიიღო და წარმოიშვა დიდი სავაჭრო-საგრანზიტო გზა, რომელიც ინდოეთიდან იწყებოდა. შუა აზიიდან კასპიის ზღვამდე სანაოსნო იყო მდინარე ამუდარია, კასპიის ზღვიდან კი მდინარე მტკვარი; შემდეგ სურამის უღელტეხილითა და ფაზისით (რიონ-ყვირილას მაგისტრალით) ამიერკავკასიის გერიტორიაზე გადიოდა, აღწევდა შავი ზღვის სანაპიროს ქ. ფაზისთან (ფოთი) და ზღვით მცირე აზიასა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქალაქებს უკავშირდებოდა.

აბრეშუმის დიდი გზით ერთმანეთს უკავშირდებოდა ევროპის, წინააზიის, შუა აზიის და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები.

ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი წერს: შეიძლება ითქვას, რომ ელინისტური ხანის დასაწყისშიც კი, ანუ ჩვენი წ-აღ-ის მეოთხე საუკუნის ბოლოსა და მესამეს დასაწყისში, არსებობდა აზიისა და ევროპის შემართებული მაგისტრალი და რომ აბრეშუმის გზის იდეა და მაგისტრალის გაჭრა ალექსანდრე მაკედონელის დამსახურებააო.

ცნობილი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი და რომაელი ენციკლოპედისტი პლინიუსი ძველ წყაროებზე დაყრდნობით ამოწმებენ, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეშიც ინდოეთიდან საქონელი გადაჰქონდათ ამუდარიაში, რომელიც მაშინ კასპიის ზღვას



ერთვოდა, კასპიის ზღვიდან მტკვრის შესართავთან გადმოჰქონდათ. რიონის სამუალებით ის ჩამოჰქონდათ ფაზისში, დღევანდელ ფოთში.


V საუკუნიდან მოყოლებული, XIX საუკუნის 80-იან წლებამდე ქართული აბრეშუმის წარმოება მაღალ დონეზე იდგა და მსოფლიო ბაზარზეც ქართულ ჭიჭნაუხგზე მოთხოვნაც დიდი იყო, რადგან იგი აკმაყოფილებდა მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს, ელეგანტურობას, პლასტიკურობას, ფერადობას.


XXI საუკუნის დასაწყისში კი ქართული აბრეშუმი ფაქტიურად აღარ არსებობს, მაგრამ „ნაშთი ძველი დიდებისა“ მაინც შემორჩა.

თბილისში, მუშტაიდის კულტურისა და დასვენების პარკის შესასვლელის პირდაპირ დგას ორსართულიანი წითელი აგურის ლამაზი შენობა. ამ შენობას გაკრული აქვს აბრა, რომელზედაც აწერია: „აბრეშუმის სახლი“.

„აბრეშუმის სახლის“ პირველ სართულზე განთავსებულია მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი და სააქციო საზოგადოება „საქაბრეშუმი“. მეორე სართულზე კი უნიკალური მეაბრეშუმეობის ბიბლიოთეკა და მუზეუმი. საინტერესოა თვით ამ შენობის ისტორია.

1883 წლის 26 აპრილს კავკასიის სოფლის მე-





ურნეობის საწარმოები რუსეთის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს გადაეცა. მინისტრმა – მიხეილ ნიკოლოზის ძე ოსტროვსკიმ მოინახულა რა კავკასია, საჭიროდ ჩათვალა, თბილისში კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგური დაარსებულიყო. ამ იდეის განხორციელება დაევალა ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა კანდიდატს, უაღრესად განათლებულ პირს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე შავროვს, რომელიც თბილისში ქონების მართვის სამინისტროში მუშაობდა.

1885 წელს ნ.ნ. შავროვი მეაბრეშუმეობის შესასწავლად საფრანგეთში, იტალიასა, ავსტრია-უნგრეთსა და გერმანიაში მიაგზინეს. 1887 წელს, როდესაც საფრანგეთიდან დაბრუნდა, დანიშნულ იქნა კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის ხელმძღვანელად.

ნ.ნ. შავროვის სქემით აშენებული და ორგანიზებული კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგური (არქიტექტორი ა.პ. შიმკევიჩი) წარმოადგენდა მსხვილ, შესანიშნავად აღჭურვილ დაწესებულებას. თავისი ლაბორატორიებითა და სახელოსნოებით მეაბრეშუმეობის სადგურს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, მით უფრო, რომ ის არა მარტო კავკასიაში, მთელ რუსეთში პირველ საცდელ სადგურს წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის დარგში.

კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის დაარსებისთანავე საფუძველი ჩაეყარა მის ბიბლიოთეკასა და მუზეუმს.

1930 წლიდან კავკასიის მეაბრეშუმეობის სა-

დგური ამიერკავკასიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად გადაკეთდა. 1936 წელს – თბილისის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად, ხოლო 1959 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს შეუერთდა.

1996 წლის 23 სექტემბრიდან საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, ბიბლიოთეკა და მუზეუმი სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, ხოლო 1998 წლის 25 ოქტომბრიდან, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, მეაბრეშუმეობის ბიბლიოთეკისა და მუზეუმის ბაზაზე შეიქმნა მეაბრეშუმეობის საკოორდინაციო ცენტრი – „აბრეშუმის სახლი“.

1891 წელს, კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურს მისთვის ახალაგებული მთავარი შენობის კორპუსი გადაეცა. ბიბლიოთეკაში შევლვამთ თუ არა ფებს, თვალში გვეცემა უზარმაზარი დარბაზი თავისი ძველისძველი ინტერიერით, მაღალ-მაღალი მოჩუქურთმებული კარაღებით, რომლებსაც ამშვენებს უცხო ენოვანი ძველი ლიგერატურა, საწერი მაგიდა თავისი „სამეფო“ სავარძლით. მას განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი, რომელიც დიღხანს ვერ დაივიწყებს აქ მიღებულ შთაბეჭდილებას.

ამჟამად ბიბლიოთეკას სამღვარგარეთის 80-ზე მეტ ქალაქში 26 ენაზე გამოცემული ლიგერატურა აქვს. ფონდი შეადგენს 39 ათასს ერთეულს. აქ დაცულია მე-17, მე-18, მე-19, მე-20 საუკუნის წიგნები. თითოეული მათგანი იშვიათი გამოცემაა, მოგი სულაც უნიკალურია, როგორც შინაარსით, ისევე ფორმითაც.

ბიბლიოთეკაში ბლომად არის ძველ გერმანულ ენაზე დაბეჭდილი უამრავი გამოცემა, რომელიც ძირითადად მეაბრეშუმეობას შეეხება: ჰარცის „აბრეშუმის ჭიის გამოკვება“ (1890 წელი), ეგიდ შრაიბერის „ამფობიები და მწერები“ (1891), იაკობ. შტურმის „გერმანიის ფლორის აღწერა-დახასიათება“ (1835) და სხვ.

ბიბლიოთეკაში მრავალადაა ლიგერატურა ფრანგულ ენაზე, რომელიც ძირითადად ეხება


მეაბრეშუმეობას, მეცხოველეობას, მებალეობას. მაგ: ლეო ვინიონის „აბრეშუმი“, გამოცემული 1890 წელს. ანდრეი პაიოგის „აბრეშუმის ჭიის დაავადებები“ (1923). ამ წიგნში არის მოთავსებული ავგორის დედის, მამის და მეუღლის მოგონებები მეაბრეშუმეობის შესახებ; ლუიზ ბლანკის „აბრეშუმის ჭიის სეკრეცია“ (1889), ნ.ს. სერი-ნჯის „თუთის ხის კულტურა და გასხვლა“ (1855). ამ წიგნში განხილულია თუთის ხის კულტურის გაერცელების მეთოდები, ბოტანიკური ნაწილი, თუ რა მინერალებს უნდა შეიცავდეს მიწა და სხვა საკითხები. ბუასიე დე სოვაჟის „მოგონებები აბრეშუმის ჭიის მოვლის შესახებ“ (1763). იგი შედგება სამი ნაწილისაგან, აქვეა განხილული თუთის ხის კულტურა და მეფუტკრეობა; ე. დუსენერ-კლებერის „ისტორიები ცივილიზებული რასების შემოსვლის შესახებ, აბრეშუმის ჭიის დაავადებები, აბრეშუმის პარკის ფიზიოლოგია“ (1875) და სხვ.

ბიბლიოთეკაში არის აგრეთვე ინგლისურ ენაზე გამოცემული წიგნები. უნიკალურ გამოცემათა რიცხვს ეკუთვნის 2816 გვერდიანი ინგლისური ენის განმარგებითი ლექსიკონი. ეს წიგნი 1935 წელს ლონდონსა და ნიუ-იორკში გამოიცა. აგრეთვე ბოტანიკის გერმინოლოგიის განმარგებითი ლექსიკონი და სხვა.

მეაბრეშუმეობის ბიბლიოთეკაში სათუთად ინახავენ თარგმანებს რუსულ ენაზე, რომლებიც გაკეთებულია ბიბლიოთეკის ძველი თანამშრომლის მარია სტრუბინსკაიას მიერ; მას განათლება რომში ჰქონდა მიღებული. მისი ნაშრომები უნიკალურ საგანძურს წარმოადგენს.

გარდა იმისა, რომ შავროვმა კავკასიაში მეაბრეშუმეობა განვითარების გზაზე დააყენა, იგი ამ საქმესთან ერთად, წერდა მნიშვნელოვან გამოკვლევებს, რომლის 13 ტომეულიც ბიბლიოთეკაში ინახება; მათ აქტუალურობა დღესაც არ დაუკარგავთ.

ბიბლიოთეკის ფონდის ყველაზე ადრინდელი წიგნი ძველ ბერძნულ ენაზეა, რომლის ყდა ეტრატს წარმოადგენს. იგი 1601 წლით თარი-



დება, გამოცემულია ბავარიის ქალაქ აუგსბურგში. წიგნი 985 გვერდისაგან შედგება. მისი ავტორია გამოჩენილი ბიზანტიელი მეცნიერი და მწერალი, საეკლესიო მოღვაწე, კონსტანტინეპოლის ორგმის პაგრიარქი ფოგიოსი (ფოგიოსი დაუპირისპირდა რომის პაპს და ამით ბიზანტია რომის საეკლესიო მორჩილებისაგან იხსნა). როგორც მეცნიერის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი თხზულება „ბიბლიოთეკა“, რომელიც 280 თავისაგან შედგება და შეიცავს ანტიკური ეპოქის თხზულებათა შესახებ ცნობებს და ექსპლიკაციებს, ხოლო მეორე ნაშრომი არის განმარგებითი ხასიათის „ლექსიკონი“.

დიდ ინტერესს იწვევს ბრინჯის მერქნისაგან დამზადებულ ქალაქში შესრულებული ჩინური გრაფიურები, რომლებიც ასახავენ მეაბრეშუმეობის წარმოების პროცესებს. მიმზიდველი ილუსტრაციებითაა მდიდარი ამერიკაში გამოცემული ჟურნალი, რომელშიც წარმოდგენილია აბრეშუმის ქსოვილისაგან შეკერილი განსაცმელები და თავსაბურავები. ბიბლიოთეკაში დაცულია კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის მიერ გამოცემული ორგომეული ცნობარი, რომელიც მოიცავს 1887-1906 წლებს. ამ ცნობარში მოხსენიებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ცნობილი პიროვნებები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის დაარსებაში.

ბიბლიოთეკაში წიგნები დალაგებულია ინვენტარის ნომრების მიხედვით. ჟურნალები კი – სათაურის ანბანის თანმიმდევრობით. ფონდი

დამუშავებულია უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციით. შედგენილია ანბანური და სისტემატური კატალოგები (ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე). არის ჟურნალ „შოლკის“ საგნობრივი კარგოთეკა, ჟურნალების ანბანური კატალოგი. მიმდინარეობს გეოგრაფიული კარგოთეკის შედგენა.

ბიბლიოთეკაში ამჟამად მუშაობს ორი თანამშრომელი: ლილი ჯანგველაძე – ბიბლიოთეკის დირექტორი და მადონა ბოგვერაძე – მთავარი ბიბლიოთეკარი.

ბიბლიოთეკა ემსახურება 155 მუდმივ მკითხველს. გაცემულ წიგნთა რაოდენობა 2002 წლისათვის 1870 ეგზემპლარს შეადგენს. ბიბლიოთეკის ძირითადი მკითხველებია მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, აგრეთვე სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, რამდენადაც ბიბლიოთეკაში სპეციალურ ლიტერატურასთან ერთად, სხვადასხვა დარგის ლიტერატურაც არის თავმოყრილი. ამჟამად ბიბლიოთეკა ექვემდებარება სოფლის მეურნეობის სამინისტროს. ბიბლიოთეკისათვის თანხა ცალკე გამოყოფილი არ არის. „აბრეშუმის სახლის“ ბიუჯეტი შეადგენს 2550 ლარს.

თავდაპირველად ბიბლიოთეკა დაკომპლექტდა შემოწირულობით, შემდეგ კი გაამდიდრდა მისი საერთაშორისო კავშირების მეშვეობით. საზღვარგარეთი დღესაც დიდ ინტერესს იჩენს მეაბრეშუმეობის ბიბლიოთეკისადმი. მოსულა წერილები პარიზიდან, კემბრიჯიდან, ჰონკონგიდან, სინგაპურიდან, მიუნხენიდან, პეკინიდან და სხვა ქალაქებიდან.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აბრეშუმის ბიბლიოთეკა ფონდების გაცვლას აწარმოებს აშშ კონგრესის ბიბლიოთეკასთან. აღნიშნული ბიბლიოთეკიდან იწერებიან, რომ ისინი აბრეშუმის ბიბლიოთეკას უგზავნიან შეერთებული შტატების სამთავრობო გამოცემათა სიას, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია შერჩეულ იქნეს წიგნები დარგების მიხედვით. თუ ეს წიგნები არ

დააკმაყოფილებს აბრეშუმის ბიბლიოთეკის მკითხველებს, კონგრესის ბიბლიოთეკა სთავაზობს მათ შეერთებული შტატების სამთავრობო სააგენტოების მიერ გამოცემულ სიას, მისი მიხედვით შესაძლებელია იმ წიგნების გამოგზავნა, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მათი გაცვლითი ფონდებისათვის. კონგრესის ბიბლიოთეკა თავის წერილში აცხადებს აგრეთვე: „ჩვენ მოხარული ვიქნებით, სანაცვლოდ თქვენი გაცვლითი ფონდიდანაც მივიღოთ გამოცემათა სია“. წერილს ხელს აწერს ჯენინგ ვუდი და აქვე დართულია იმ წიგნთა სია, რომლის შეძენაც შესაძლებელია.

ბიბლიოთეკამ და მუშეუმმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ისეთ ღონისძიებებში, რომლებსაც საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთებია, მაგალითად:

გექსტილის პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი (1997),

გექსტილის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი (1999),

საქართველოს მეაბრეშუმეთა პირველი კონფერენცია (1999),

ბრიგანეთის საბჭოსა და ბრიგანეთის საელჩოს მიერ მოწყობილი გამოფენა „აბრეშუმის გზა – ძველი და ახალი თვალთახედვა“ (2000),

რუსეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის 8 წლისადმი მიძღვნილი იუბილე, რომელიც ჩააგარა რუსეთის საელჩომ (1998) და სხვა.

აბრეშუმის ბიბლიოთეკა საკმაოდ მასშტაბურად გამოდის სამოღვაწეო ასპარეზზე. ვუსურვოთ ის, რაც ყველაზე მთავარია ნებისმიერი ბიბლიოთეკისათვის: არასოდეს მოკლებოდეს მკითხველი!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ბიბლიოთეკა. – 2002, №3
2. თბილისელები – 2003
3. საქართველოს მეაბრეშუმეობის ბიბლიოთეკის ცნობარი

ლუბა პოდოსოვა, სალომე გეგენავა
სტუდენტები

უცხოური ბიბლიოთეკები საქართველოში (თბილისის მიხედვით)

საქართველოში უცხოური ბიბლიოთეკების არსებობა პირველად XIX საუკუნის პირველ ნახევარში აღინიშნება, როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა. ერთბაშად იზრდება აქ როგორც რუსული, ისე სხვა ქვეყნების ლიგერაგურის შემოსვლა. უპირველეს ყოვლისა, ეს დაკავშირებული იყო პირველი ევროპული ყაიღის სასწავლებლების ბიბლიოთეკების საქმიანობასთან. როგორც ცნობილია, პირველი სახელმწიფო ორკლასიანი სასწავლებელი რუსეთის ხელისუფლების მიერ 1802 წ. დაარსდა თბილისში. იგი 1804 წელს ოთხკლასიანად გადაკეთდა (ე. წ. „კეთილშობილთა სასწავლებელი“). 1817 წ. თბილისში გაიხსნა სასულიერო სემინარია. 20-იან წლებში მეფის მთავრობამ გარდა თბილისისა, რამდენიმე სასულიერო სასწავლებელი გახსნა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებშიც. 1830 წ. იხსნება ქალთა სასწავლებელი (1840 წ. ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტად გადაკეთდა). 30-იან წლებში არსდება სამამრო სკოლები თბილისში, ქუთაისსა, გორსა, თელავსა, სიღნაღსა და სხვა დაბა-ქალაქებში. 1850 წ. თბილისში მეორე გიმნაზია გაიხსნა. მალე ამგვარი სასწავლებელი ქუთაისშიც დაარსდა. ყველა მათგანს მცირე თუ მოზრდილი ბიბლიოთეკა გააჩნდა, რომელთა უმრავლესობა მთლიანად რუსულ და სხვა ქვეყნების ენებზე გამოცემული



წიგნებით იყო დაკომპლექტებული, რომლებიც, როგორც წესი, სამღვარგარეთიდან შემოდიოდა.

XIX ს. 20-იან წლებიდან თბილისში მოქმედებდა სხვადასხვა გიპის სამხედრო სასწავლებლები, რომლებშიც ასევე კარგი ბიბლიოთეკები იყო გამართული, ცხადია, მხოლოდ რუსულ-ფრანგულ-გერმანულ ენოვანი.

ერთი-ორი სახალხო ბიბლიოთეკაც თუ წიგნის სავაჭრო საკითხავი კაბინეტებით, მხოლოდ უცხოური ლიგერაგურით ემსახურებოდა მოსახლეობას, რომელთა შორის ნაკლებად იყვნენ ქართველები. იმათ უმთავრესად ემიგრირებული ან საქართველოში დროებით მომუშავე შედარებით მაღალი ფენის წარმომადგენლები იყენებდნენ. ასეთი იყო, მაგალითად, თვით მუსინ-პუშკინის სახალხო ბიბლიოთეკა, ჟან პოლის „გრაჟფირთან“ არსებული სამკითხველო, პირველი ნამდვილი, მაღალორგანიზებული სახალხო ბიბლიოთეკა, რომელიც ეკ. კოგოვამ დააარსა, პელგიეს წიგნის მაღაზია საკითხავი კაბინეტით და სხვ. თვით ქართველ მოღვაწეთა საამხანაგო ბიბლიოთეკაც კი, თითქმის თავიდან ბოლომდე არაქართული წიგნებით იყო დაკომპლექტებული, რომ არაფერი ვთქვათ მ. ვორონცოვის ინიციატივით მეფისნაცვლის კანცელარიასთან არსებულ „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკაზე“.

ასე რომ, უცხოური ლიგერაგურის შემოგანა საქართველოში განსაკუთრებით თბილისში, უცხო არ იყო საზოგადოებისათვის. შემდეგშიაც, ქართული წიგნის ბაზრის მრდასთან ერთად, არ შენელებულა უცხოური წიგნების ნაკადი საქართველოში, თუმცა, უკვე XX საუკუნეში ის უკვე აღარ ღომინირებდა საქართველოს ბიბლიოთეკებში. ერთადერთი – დიდ მასშტაბებს აღწევდა რუსული წიგნადი ფონდები, რომლითაც მთლიანად უზრუნველყოფილი იყო ჩვენი ბიბლიოთეკები და მკითხველი.

ამჟამად სურათი სავსებით შეცვლილია, საკმაოდ შეცვლილია თვით მიზანი და ამოცანები საქართველოში უცხოური წიგნების შემოსვლისა. რუსული წიგნების მიღება მკვეთრად შემცირდა, მაგრამ ამ ლიგერაგურით მკითხველის უზრუნველყოფა ჯერჯერობით სავსებით შესაძლებელია, მაგრამ შეინიშნება შეფერხება ახალი რუსული ლიგერაგურის მიღებაზე, რაც ღროთა განმავლობაში, ჩვენი ამრით, ერთგვარ სირთულეებს შექმნის. თუმცა, ჩვენი ბიბლიოთეკები ამჟამად ფაქტობრივად, არც ახალი ქართული გამოცემებით ივსება.


სულ სხვა მდგომარეობაა სხვადასხვა ქვეყნებიდან ლიგერაგურის შემოგანასა და გავრცელებასთან დაკავშირებით. თუ აქამდე საქართველოში არ არსებობდა ეროვნული ან ენობრივი ნიშნით ბიბლიოთეკების გამოყოფის გრადიცია, ამჟამად ამან უკვე სისგემური ხასიათი მიიღო. თბილისში ჩნდება სხვადასხვა ქვეყნების საელჩოებთან თუ სხვა ორგანიზაციებთან არსებული ეროვნულ-ენობრივი პროფილის ბიბლიოთეკები, რომელთა ფუნქციები სავსებით განსაზღვრულია და საკმაოდ შეზღუდულიც. მათი მთავარი ამოცანაა, ხელი შეუწყონ ადგილობრივ მოსახლეობას, სპეციალისტებს, დიპლომატებს, სტუდენტებს – დაეუფლონ ამა თუ იმ უცხო ენას, გაეცნონ ამ ქვეყნების ლიგერაგურასა და კულტურას, გააღრმავონ კულტურ-

რათაშორისი ურთიერთობანი.

როგორც ცნობილია, XXI საუკუნეში, როდესაც ინფორმაციულ მომსახურებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ჩვენში ინტენსიურად იზრდება ინტერესები საინფორმაციო ცენტრებისა და უცხოური ბიბლიოთეკებისადმი, რომლებშიც საინფორმაციო მომსახურება საკმაოდ მაღალ დონეზე დგას. ეს დაწესებულებები, უმეტესწილად, უცხო ქვეყნების სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ არის დაარსებული. ანალოგიური სამსახურის შექმნა ჩვენს მიერ გაძნელებულია, რადგანაც ეს დიდ სახსრებს მოითხოვს და საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა ან გრანტების მიღება. ამდენად, უცხოურ ორგანიზაციებს საქართველოში ფართო ასპარეზი აქვთ შექმნილი მოღვაწეობისათვის. უკვე მრავალი ბიბლიოთეკაა დაარსებული, რომლებიც მრავალფუნქციონალურ დაწესებულებებს წარმოადგენენ.

პირველი ასეთი ბიბლიოთეკა 1989 წელს შეიქმნა საქართველოში ეროვნული მოძრაობის საწყის პერიოდში. ის წარმოადგენს ჰელსინკის მოქალაქეთა ანსამბლის საქართველოს ეროვნულ კომიტეტში შემავალ ერთ-ერთ არასამთავრობო, არაკომერციულ ორგანიზაციას. იგი ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაციისა და აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკის ერთობლივი ძალისხმევით, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს“ დახმარებით. ბიბლიოთეკაში 5.000-მდე წიგნი და სხვა მასალაა თავმოყრილი. საგულისხმოა, რომ ხსენებული საზოგადოება ამგვარ ბიბლიოთეკებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშიც აარსებს.

მეორე ამგვარი ბიბლიოთეკა ჩვენში დაარსდა 1995 წელს ამერიკის საელჩოს ბიბლიოთეკის ბაზაზე ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი თავდაპირველად ძირითადად ჰუმანიტარული პროფილის იყო. 1999 წელს აქ მოქმედებას იწყებს „აირექსის“ პროგრამა, რამაც გამოიწვია კომპიუტერული კლა-



სის გახსნა. ფონდების საერთო რაოდენობა დაახლოებით 4.000-ს აღწევს. მკითხველთა 80% სტუდენტებია, 20% – პროფესორ-მასწავლებლები.

არანაკლებ მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა ფონდი – „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ოფისში არსებული ორი ცენტრი. პირველი სოციალურ მეცნიერებათა სარესურსო ცენტრი – 2000 წლიდან ფუნქციონირებს. ფონდის რაოდენობა 2000-მდეა. ინგლისურენოვანი ფონდის ძირითადი ნაწილი მოიცავს ლიგერაგურას პოლიტიკურ და სოციალური საკითხებისა და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ. წიგნით სარგებლობა შეიძლება მხოლოდ ადგილზე. მკითხველთა რაოდენობა 500-მდეა. ცენტრის მიზანია საქართველოში სოციალური მეცნიერების სფეროში ახალი თაობის სპეციალისტთა მომზადება.

მეორე ცენტრი „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ოფისში არის საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი. ცენტრს გააჩნია ორი სასწავლო კლასი. ერთი აღჭურვილია კომპიუტერებით, რომლებიც ჩართულია ინტერნეტის ქსელში, ხოლო მეორე, ფაქტიურად, სამკითხველო დარბაზშია, ბიბლიოთეკაში ფონდთან თავისუფალი დაშვებაა, არის მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიგერაგურა, კასეტებით მოსასმენი აპარატურა. საერთო რაოდენობა 2000-მდეა. მკითხველთა რაოდენობა 500-მდეა. ცენტრის მიზანია, ასწავლოს სტუდენტებს, თუ როგორ შეიძლება ისწავლონ სამღვარაგარეთ და როგორ ჩააბარონ შესაბამისი პროგრამები. შესანიშნავი ბიბლიოთეკაა გახსნილი ამერიკულ აკადემიაში (კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა). სკოლა სამი წელია ფუნქციონირებს. სპეციალურად შერჩეული სახელმძღვანელოები ამერიკიდან ჩამოაქვთ. ფონდი ინგლისურენოვანია. არის კომპიუტერული კლასი, თაროებთან დაშვება თავისუფალია, განლაგებაა ასაკობრივი ნიშნით. აქვთ ანბანური და თემატური კატალო-

გები.

1991 წლის ოქტომბრის თვეში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაარსდა იაპონური ენის შესწავლის ცენტრი, ფონდის რაოდენობა 2000-მდეა. ლიგერაგურა იაპონურ ენაზეა, მკითხველები, ძირითადად, იაპონური ენის შესწავლით დაინტერესებული სტუდენტები არიან.

გოეთეს ინსტიტუტის ინფორმაციისა და ბიბლიოთეკის განყოფილება 2000 წლიდან ფუნქციონირებს. ის ეხმარება ბიბლიოთეკებსა და საინფორმაციო დაწესებულებებს ინფორმაციის მოპოვებაში, ასევე საგამომცემლო და წიგნით ვაჭრობის სფეროებში მოღვაწე ორგანიზაციებს შორის კავშირსა და ინფორმაციის გაცვლაში.

1998 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაარსდა ფრანგული კულტურის ცენტრი (დიუმას ცენტრი), რომელიც მკითხველებისათვის 1999 წლის იანვარში გაიხსნა. 2003 წელს აქვე გაიხსნა საბავშვო განყოფილება. აქვე ეროვნულ ბიბლიოთეკაში 2002 წლის 16 დეკემბერს გაიხსნა ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის სახელობის გერმანული ბიბლიოთეკა.

1999 წლის სექტემბერში თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენებისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე დაარსდა ნიდერლანდური ენისა და კულტურის ცენტრი. ცენტრის მიზანია ქართველ სტუდენტებს შესწავლოს ნიდერლანდური ენა. ამავე უნივერსიტეტის ბაზაზე 2000 წ. დაარსდა ავსტრიის ცენტრი, რომელიც 2002 წ. 2 მაისს ოფიციალურად გაიხსნა. ბიბლიოთეკას აქვს ავსტრიის კულტურის ცენტრის ფუნქციები.

ავსტრიისა და ნიდერლანდური ცენტრების გარდა აქ ფუნქციონირებს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, რომელიც ჩამოყალიბდა სოციოლოგოსა და ფილოსოფიის კათედრის ბაზაზე. ბიბლიოთეკა გაიხსნა 2003 წლის ოქტომბერში, ბიბლიოთეკაში ეწყობა სემინარე-

ბი, რომლებიც ეძღვნება დემოგრაფიის თემებს. სემინარებს აწყობენ მოწვეული სტუმრები ამჟამად.

1989 წ. იესემის ინსტიტუტის დაარსებასთან ერთად, დაარსდა ბიბლიოთეკა, რომელიც ცეკავშირის კოოპერაციული ინსტიტუტის ბაზაზეა შექმნილი.

1998 წ. დაარსდა კავკასიის ბიზნეს-სკოლა და მასთან არსებული ბიბლიოთეკა.

უკვე ორი წელია, რაც თავის წარმატებულ საქმიანობას ეწევა ბრიტანეთის საბჭოს ბიბლიოთეკა.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმასაც, რომ

თბილისში მოქმედებს რამდენიმე უცხოენოვანი სკოლა, რომლებსაც ბიბლიოთეკები აქვთ შესაბამის ენებზე, ნათლად დავინახავთ, უცხოეთის წიგნებისა და საინფორმაციო მასალების რაოდენ დიდი მასა იყრის თავს თბილისში. არ შეიძლება ეს ბიბლიოთეკები ყურადღების გარეშე დარჩეს საბიბლიოთეკო და საგანმანათლებლო საზოგადოებას. უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მოსახლეობას ემსახურებიან და, ამდენად, ჩვენი სისტემის ფარგლებში მათი არსებობა მათი საქმიანობის ღრმა და საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს.

იუ ბ ი ლ ე



რუსულან კვირიკაშვილი
რესპუბლ. საბავშვო ბიბლიოთეკის განყოფილების გამგე

ღვანულმოსილი მნარალი-ბიბლიოთეკარი და ჟურნალისტი

სამოგადი მოღვაწეს, საბავშვო მწერალსა და ჟურნალისტს მარიამ დემურიას დაბადებიდან 145 წელი უსრულდება, ხოლო მის მიერ დაარსებული საბავშვო ჟურნალი „ნაკადული“ წელს 100 წლის იუბილეს აღნიშნავს.

მ. დემურია დაიბადა 1860 წელს ქალაქ გორში. მშობლებით ადრე დაობლებულს, ქართული სიგყვის, ქართული წიგნის სიყვარული გორში გაგარებულმა ბავშვობის წლებმა ჩაუნერგა.

მოხუცი ბების ანაბარად დარჩენილი მარიამი, გორში იმდროისათვის საყოველთაოდ ცნობილმა განათლებულმა მათე კერესელიძის ოჯახში შეიფარა. აქ ეზიარა ის ქართული ენისა და ლიგერაგურის სათაყვანებელ იდეალს, აქ გაიცნო ქართული სიგყვის ოსგაგები: სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური, ანგონ ფურცელაძე და სხვები. განსაკუთრებული როლი

შეასრულა ამ ოჯახის მდიდარმა ბიბლიოთეკამ, რომლის ფონდები, გარდა ქართულისა, უცხოელ პროგრესულ მწერალთა უკვდავ ქმნილებებსაც შეიცავდა. სწორედ აქ განცილიმა წიგნისა და ბავშვების სიყვარულმა შთაუნერგა ღვაწლმოსილ ქალს 1904 წელს მოზარდებისათვის დაეარსებინა ქართული ყოველთვიური სურათებიანი ჟურნალი, რომლის რედაქტორიც თვიონ იყო. ჟურნალ „ნაკადულში“ ქვეყნდობდა აღმზრდელობითი ხასიათის მოთხრობები, ლექსები, მოგონებები, წერილები ბუნებისმეგყველებსა და ბიოლოგიაზე. ჟურნალში თანამშრომლობდნენ აკაკი წერეთელი, შიო არაგვისპირელი, ვაჟა-ფშაველა, იროდიონ ევლოშვილი, შიო მღვიმელი და სხვები.

მარიამის ოცნება – გამოსდგომოდა სამშობლოს, ხალხს, ხორცს ისხამს გორიდან თბილისში სამუდამოდ საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ. – „მას შემდეგ თითქმის არც ერთი სა-

ზოგადო საქმე არ ყოფილა, რომ მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს მარიამ დემურიას“ (ქართული საბავშვო ლიტერატურის მოამბეგნი – თბ., 1959, გვ. 194), მაგრამ ხალხის წინაშე ყველაზე დიდი დამსახურება მის მიერ დაარსებული ნაძალადევის სახალხო ბიბლიოთეკა იყო, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 900-იანი წლების მღელვარე დღეებში აქაური მოსახლეობის, განსაკუთრებით მუშების გაცნობიერების საქმეში.

ბიბლიოთეკის გახსნისათვის მარიამს წინასწარ მიუღია ზომები. შეუსწავლია მცხოვრებთა რაოდენობა, მათი მისწრაფებები განათლებისაკენ, შეუგროვებია თვით მცხოვრებთა და მოწინავე ინტელიგენციაში წიგნები და 1900 წლის ნოემბერს მთავრობიდან ბიბლიოთეკის გახსნაზე ნებართვის გამოსათხოვნად შუამდგომლობისათვის „ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი სამოგალოების“ გამგეობისათვის მიემართავს.

მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ერთი მხრივ, ამ გამგეობის დაბეჯითებით მოთხოვნისა და, მეორე მხრივ, მარიამის სისტემატური მცდელობის შედეგად გუბერნატორი იძულებული გამხდარა, ნაძალადევაში – წყალსადენის ქ. 151-ში ბიბლიოთეკის გახსნის ნებართვა და მთავრობის წინაშე გამგე-პასუხისმგებელ პირად მარიამ დემურიას დამტკიცების შესახებ მოწმობა გაეცა. ამრიგად, მარიამის შეგროვილი 1100 წიგნის ბაზაზე – 1901 წლის 24 ივნისს გახსნილა ბიბლიოთეკა, რომელსაც პირველივე დღიდან შემოუკრებია ამ უბნის სწავლა-განათლებას მოწყურებული ღარიბი მოსახლეობა.

1904-1905 წლებში რევოლუციური აღმავლობის პერიოდში, მაშინ, როდესაც მთელი ქალაქი რევოლუციურ ცალდაში იყო გახვეული, დიდი გამოცოცხლება იგრძნობოდა ბიბლიოთეკებში და განსაკუთრებით ეს ითქმის თბილისის ერთ-ერთი მსხვილი მუშათა რაიონის – ნაძალადევის ბიბლიოთეკაზე.

მეფის მთავრობის სამმართველო ყოველგვარ ზომას იღებს, რათა ბიბლიოთეკებს ჩამოაშოროს მუშები და ღარიბი მოსახლეობა. ამ მიზნით, 1904 წლის დასაწყისიდანვე გუბერნატორის განკარგულებით, პირველ რიგში ბიბლიოთეკების ფონდებიდან უნდა ამოღებულიყო ქართული წიგნები და ჟურნალ-გამეტები, მომხდარიყო წიგნების სიებისა და წესდებების წარდგენა მთავრობაში გასასინჯად. ამ დროს თითოეულ ბიბლიოთეკას მიჩენილი ჰყავდა ოფიციალური მეთვალყურე-მედამხედველი. გუბერნატორის ასეთ განაჩენს ბიბლიოთეკების გამგეებისა და სამოგალოების წევრთა აღშფოთება გამოუწვევია, რადგან ქართულ ბიბლიოთეკაში ქართული ლიტერატურის ამოღება ბიბლიოთეკების დახურვას ნიშნავდა, რადგან სახალხო ბიბლიოთეკების ფონდების 90% ქართულ წიგნებსა და პერიოდულ გამოცემებს შეადგენდა. მდგომარეობის გამოსწორება მოითხოვდა გადამჭრელი ზომების მიღებას. თავდადება და პაგრიოტული თაოსნობა გამოუჩინათ ქართველ სასიქაღულო მამულიშვილებს: იაკობ გოგებაშვილს, ილია ჭავჭავაძეს, ი. ცხვედაძეს და სხვებს. მათი გულმოდგინე ცდის შემდეგ, მთავრობის რუსიფიკატორული პოლიტიკის ეს ერთ-ერთი ცდაც მარცხით დამთავრდა.

თბილისის ბიბლიოთეკებმა და მათ შორის ნაძალადევის გადარჩენილმა ბიბლიოთეკამ დიდ წარმატებას მიაღწია. გაძლიერდა პოლიტიკური, საბუნებისმეტყველო, ისტორიული ლიტერატურის პროპაგანდა, რის შედეგმაც წინა წლებთან შედარებით, ამ დარგის ლიტერატურის გაცემა საგრძნობლად გაზარდა. მან 70-80%-ს მიაღწია.

მკითხველებში ბიბლიოთეკის პროპაგანდას ხელს უწყობდა მარიამის ჩვეული ოსტატობით ჩატარებული სახალხო ღონისძიებები, საინტერესო წიგნების განხილვები და საუბრები.

წიგნობრივი ფონდების დაკომპლექტების, ანბანური კაგალოგის შედგენის, მკითხველთა

ინგერესებისა და მოთხოვნების შესწავლის წყალობით, მარიამმა შესდლო ნაძალადევის ბიბლიოთეკა ერთ-ერთ საუკეთესო ბიბლიოთეკად და მოსახლეობის საყვარელ დაწესებულებად ექცია.

ქართულ გრადიციებზე დაფუძნებულ ბიბლიოთეკას მარიამის შემდეგაც არ შეუწყვეტია არსებობა და იგი ხალხის სამსახურში დარჩა, როგორც ერთ-ერთი თვალსაჩინო კულტურული დაწესებულება.

წინაპართა ღვაწლი



დარეჯან კოტეგიშვილი

ღირსეული წინაპარი
(ზაქარია კოტეგიშვილი)

რემს დიდ პაპას – ზაქარია კოტეგიშვილს, როგორც გადმოცემით, ისე დოკუმენტებით არის ცნობილი, რომ საკმაოდ ბევრი უმოღვაწია ადრინდელი ქართული პრესის სასიკეთოდ. თითქმის 50 წელი იმუშავა მან სტამბის მუშაკად და დიდ როლი ითამაშა საგამომცემლო საქმის ჩამოყალიბებასა და განვითარებისათვის საქართველოში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი თანამშრომლობა გაზეთ „დროებასთან“. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჰქონდა საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა გაზეთის მთავარ რედაქტორთან, საქვეყნოდ ცნობილ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწესთან სერგეი მესხთან.



როგორც ცნობილია, „დროებაში“ ღირსეულად განაგრძო „საქართველოს მოამბის“ გრადიციები. იგი XIX საუკ. II ნახევარში ქართული ამრის ძვირფას მაგიანედ დარჩა. გაზეთში გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები თანამშრომლობდნენ, მათ შორის ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო

ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი, კირილე ლორთქიფანიძე, ალექსანდრე ყაზბეგი, ანტონ ფურცელაძე და სხვანი. გაზეთის რედაქცია იქცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად. ზაქარია კოტეგიშვილი არა მარტო სასტამბო საქმით იყო დაკავებული, არამედ მას ქართველ მოღვაწეთა შორის უხდებოდა ცხოვრება, რაც მას დიდ სულიერ სამრდოს აძლევდა და დიდ მამულიშვილად აყალიბებდა. სწორედ ამაზე მეტყველებს მისი ცხოვრების დეტალები.

საყოველთაოდ ცნობილია, როგორ უჭირდა ქართულ პერიოდულ ორგანოებს ამ პერიოდში. რედაქტორები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, როგორმე გადაერჩინათ გაზეთი თუ ჟურნალი დახურვისაგან.

ამგვარ ყოფაში არაერთხელ ყოფილა სერგეი მესხიც. ასე იყო 1875 წელს, როცა ის დიდ გასაჭურში ჩავარდნილა. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი სტეფანე და იოსებ მელიქიშვილების სტამბაში იბეჭდებოდა, პაგრონები ამისათვის ფულს არ ითხოვდნენ, საჭირო იყო მხოლოდ სტამბის ოსტატების დაკმაყოფილება, ესეც კი


უჭირდა რელაქციას. ბაქარიამ, რომელიც ცნობილ ოსტატს – ასოთამწეობს წარმოადგენდა, კარგად იცოდა, რა გასაჭირიც ადგა რელაქციას. მას გულის სიღრმემდე უყვარდა „დროება“ და მისი რელაქტორი სერგეი მესხი. მიუხედავად საკმაოდ მძიმე პირობებისა, არასოდეს შეუწყუხებია მოთხოვნებით რელაქტორი. სერგეი მესხი როგორც კი იშოვიდა ფულს, გასამრჯელოს მაშინვე უხდიდა ერთგულ ოსტატს, რომელიც რასაც მისცემდნენ, იმით კმაყოფილდებოდა.

გაღმოსვემით, მ. კოტეგიშვილი სტამბაში დაბეჭდილი გაზეთის თითო ეგზემპლარს თავისთვის ინახავდა, თავის მშობლიურ სოფელ კავთისხევის მოწინავე ახალგაზრდებს ხელს უწყობდა, „დროების“ მუღმივი მკითხველები

რომ ყოფილიყვნენ. ამით ის დიდ სამსახურს უწევდა ახალ თაობას გაცნობიერებასა და ცოდნის მიღებაში.

როგორც ბაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავს, სერგეი მესხი დიდ პატივს სცემდა ბაქარია კოტეგიშვილს, როგორც უაღრესად პატიოსან, კეთილსინდისიერ, მაღალზნეობრივ, მოკრძალებულ ადამიანს, თავის საქმეზე ფანატიკურად შეყვარებულსა და ნამდვილ პროფესიონალს. მ. ჭიჭინაძე ხაზგასმულად აღნიშნავს, რომ სტამბის ასეთი მუშაკები – ოსტატები – მაშინაც და დღესაც ჩვენში იშვიათობას წარმოადგენენ, ამიტომაც მიმაჩნია, ჩვენმა მომავალმა თაობამ უნდა მიბაძოს მათო.


ჩვენი ცნობილი მოღვაწენი



დარეჯან კოტეგიშვილი

პაღლიჩაშვილის გამოსატყულება

მბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის საზოგადოება გულთბილად შეხვდა ცნობილ ქართველ მეცნიერსა და პედაგოგს, დედა ენის სწავლების კორიფეს, არაერთი სახელმძღვანელოს ავტორს, დიდებულ მოქალაქესა და დიდად კოლორიტულ პიროვნებას, პროფესორ ლევან კვაჭაძეს. სიყვარულით მას ყველა შინაური სახელით მიმა-



რთავს – ბატონო ლეო.

ლეო კვაჭაძე თავისი 96 წლის ასაკშიც რჩება ენერგიულ, აქტიურ და დაუცხრომელ მოღვაწედ. ხელიდან არ დაუდვია კალამი, არ შეუწყვეტია მეცნიერული და მეთოდური მოღვაწეობა, დღესაც ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, არ წყვეტს კავშირს პედაგოგიურ უნივერსიტეტთან, სადაც მთელი თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა.

მის შესახებდრად თავი მოიყარეს კოლეგებმა,

რომელთაგან ბევრი მისი ნასტუდენგარია, თანამშრომლებმა, სტუდენტებმა, მოსწავლეებმა, ახლობლებმა, დაინტერესებულმა პირებმა. ყველა მათგანი სიყვარულით ანთებული თვალებით შესცქეროდა მსცოვან ადამიანს, რომელიც დღესაც ჩვეული ენერგიით ცდილობს არა მარტო იკვლიოს და ასწავლოს, არამედ დაიცვას კიდევ მშობლიური ენა. ის ხომ მის მასწავლებელ აკადემიკოს აკაკი შანიძესთან ერთად აღგენდა და გამოსცემდა ქართული ენის სახელმძღვანელოს მოსწავლეთათვის;

მის მიერ შექმნილი წიგნებით სწავლობენ დღეს სტუდენტები ქართული გრამატიკის ურთულეს საკითხებს. მას არავის წინაშე არ ჭირდება წარდგენა – მთელი საქართველო იცნობს.

დაუფასებელია მისი ღვაწლი. ამ შეხვედრამ ცხადყო, რაოდენ დიდი სიყვარული აქვს საზოგადოებას ამ გამოჩენილი პიროვნების მიმართ. გამომსვლელებს ბოლო არ უჩანდა – ყველას სურდა ორიოდე თბილი სიტყვა ეთქვა მისთვის. შეხვედრის მონაწილეთათვის ნამდვილად დაუვიწყარი იქნება ეს ლამაზი საღამო.

რეცენზიები



ნანა ფირცხალავა

მეც. აკად. ცენტრ. ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე

ქპირფასი სარუჟარი ნიბნთმსოღნაქსა და ბიბლიოთეკარქობს

საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეულის დღეებში, ა.წ. 27 აპრილს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა და მკითხველებმა შეხვედრა მოუწვევეს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელს, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს მაია კარანაძეს, რომელმაც ნაშრომი უძღვნა ქართული წიგნის ყდას, ქართული ფილოლოგიური მეცნიერების დღემდე თითქმის შეუსწავლელ საკითხს. ვთავაზობთ ამ წიგნის შესახებ რეცენზიას, რომელიც მოსმენილი იყო აღნიშნულ შეხვედრაზე.

რედაქცია

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა გამოსცა მაია კარანაძის ნაშრომი „ქართული წიგნის ყდის ისტორია“. ნაშრომი ეხება წიგნმცოდნეობითი მეცნიერების დღემდე თითქმის შეუსწავლელ საკითხს – წიგნის ყდას. როგორც ცნობილია, ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნის შესწავლა დაკავშირებულია წიგნის ყდის ტექნოლოგიასთან, მისი გაფორმების კვლევასთან და მრავალ ისტორიულ-ფილოლოგიურ პრობლემასთან. მასალის საკვლევად ავტორის მიერ შესწავლილ იქნა უძველესი წერილო-

ბითი წყაროები (პალიმფსესტები), ქართული მწერლობის ძეგლები, ხელნაწერ წიგნთა ანდერძ-მინაწერები, არქეოლოგიური მასალა, მინიატურულ მხაგვრობაში დაცული ცნობები. აღიწერა და სისგემატიზაცია გაუკეთდა 700-მდე ხელნაწერსა და ძველნაბეჭდ წიგნს. ვათვალისწინებულ იქნა ბიზანტიური, აღმოსავლური, ევროპული და რუსული წიგნების ყდების ისტორიის გამოცდილება. ავტორს ასევე ჩამოყალიბებული აქვს ქართული წიგნის ყდის ევოლუცია, შესწავლილია ეგაპები, ასევე წიგნის აკინძვასთან დაკავშირებული უძველესი ქართული ტერმინოლოგია, – ვკითხულობთ ვრცელ



შესავალში, სადაც მიმოხილულია ასევე ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნების შესწავლის გრადიცია.

ქართული პალეოგრაფიის სხვა ძირითად საკითხებთან ერთად, ხელნაწერი წიგნის ყდის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ივ. ჯავახიშვილის „პალეოგრაფია“. ცდები ქართული ხელნაწერი და პირველნაბეჭდი წიგნების ყდების შესწავლასთან დაკავშირებით, გვხვდება აგრეთვე ქრ. შარაშიძის ნაშრომში „პირველი სტამბა საქართველოში (1709-1722)“, რომელშიც ლაპარაკია „ვახტანგის წიგნების ჩინებულ ყდებზე, რომლებიც თითქმის არ განირჩევიან ხელნაწერების გვიფრულ, ხშირად ოქროთი ცურვილი სამკაულით დამშვენებული ყდებისაგან“.

ქართული ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნების ყდების საკითხი მჭიდროდ უკავშირდება ქართულ სამწიგნობრო გრადიციას, იმ კონტაქტებს, რომელთა ფონზეც წარმოიშვა და განვითარდა ქართული მწერლობა. ესაა კონტაქტები ბიზანტურ, ბერძნულ, სომხურ, აღმოსავლურ, ევროპულ, რუსულ სამწიგნობრო კერებთან. ცხადია, ჩვენი წინაპრები კარგად იცნობდნენ წიგნის აკინძვისა და ყდაში ჩასმის გექნოლოგიებს და საჭირო იარაღებს. სწორედ ამ დიდი გამოცდილებით ქმნიდნენ ქართველი წიგნის ოსტატები ხელნაწერი წიგნების ყდების ორიგინალურ ნიმუშებს.

ნაშრომში მიმოხილულია წიგნის ყდასთან დაკავშირებული უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა. შესწავლილია თითოეული იარაღისა და გექნოლოგიური პროცესის წარმომავლობა სამღვარგარეთ თუ ჩვენში, ფურცლების რვეულებად დაკეცვა, აკინძვა, ხის დაფების მომზადება და მათი მიმაგრება აკინძული წიგნების ბლოკზე, დაფების გილოთი დაფარვა, ფურცლების, მეტალის ბურთულაკებით დამაგრება, ყდის შედარის გაფორმება, გვიფრები. ნაშრომს დართული აქვს ხელნაწერი წიგნების ყდების მდიდარი საილუსტრაციო მასალა და

ლექსიკონი, შედგენილი პარალელურ-სინონიმურ უცხოურ მასალაზე დაყრდნობით. ცნობილ ავტორთა ნაშრომების გათვალისწინებით, მოცემულია ბერძნული და ბიზანტიური ყდებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, აღწერილია ბიზანტიური წიგნის შეკვრისა და ყდაში ჩასმის პროცესი, ძალზე საინტერესოაა გადმოცემული სომხური წიგნის ყდის განვითარების ისტორია. დეტალურადაა მოთხრობილი ჩვენამდე მოღწეული უძველესი გყავის ყდების შესახებ. პირველი ასეთი გყავის ყდები XI საუკუნით თარიღდება, ნაშრომში აღწერილია, თუ როგორი იყო ეს ყდები, თუ როგორ კეთდებოდა შედარებით ორმაგი ან სამმაგი წვრილხაზოვანი სწორკუთხა ჩარჩო (არშია), რომლის მოხატვისას (წნულების გასაკეთებლად) ხმარობდნენ ფარგალს. წრეების საშუალებით გვიფრავდნენ დაწნული თასმის მსგავს ორნამენტს. დეტალურადაა აღწერილი ყველა პროცესი, დახასიათებულია პერიოდი – X-XVI საუკუნეები, როცა გყავის ყდებს ამ მეთოდით, ამ გექნიკით, ამ ხელსაწყოებით ქმნიდნენ, აპრიალებდნენ და გვიფრავდნენ. დასახელებულია გექნიკური საშუალებები-წვერწამახვილებული, მაგრამ ოდნავ ბლაგვი ხელსაწყო, სახაზავი, რომელსაც სწორი ხაზების გასავლებად იყენებდნენ, ფარგალი-ხვეულებისა და წრეებისათვის.

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სომხური წიგნის ყდის შედარების გაცნობას (მე-12-17 საუკ.), რუსული ხელნაწერი წიგნების ყდების დათარიღების სისტემას, საამკინძაო პროცესების გექნოლოგიას, ხელნაწერებისა და პირველნაბეჭდი წიგნების მხატვრულ გაფორმებასა და სხვა საკითხებს.

წიგნში საუბარია აგრეთვე ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნების ყდების ურთიერთმიმართების შესახებ. როგორც ნაშრომიდან ირკვევა, წიგნის ბეჭდვას არსებითი ცვლილებები არ შეუტანია წიგნის აკინძვისა და შემოსვის საქმეში, რაზეც მეტყველებს ივანე ფედოროვის მიერ დაბეჭდილი „სამოციქულო“. იგი

მუსგად ისევე არის აკინძული, გყავის ყდაში ჩასმული და გაფორმებული (ოქრო გვიფრულით), როგორც ხელნაწერი წიგნების ყდები. ნაშრომში მეგად საინტერესოაა მოთხრობილი რუსეთში წიგნის აკინძვისა და შეკვრის, გირაჟების საკითხები. ნათქვამია, რომ რუსეთში მე-16-17 საუკუნეების მიჯნაზე წიგნის გირაჟმა საგრძნობლად იმატა. მოსკოვში გაჩნდა სპეციალური სახელოსნოები, სადაც მხოლოდ აკინძვისა და შემოსვის სამუშაოებს ასრულებდნენ. სწორედ ამ პერიოდში დაიბეჭდა წიგნის აკინძვისა და შეკვრის პირველი სახელმძღვანელო: „Подлинник о книжном переплете“.

ნაშრომში სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი წიგნის ყდის ისტორიას – დაწყებული ყველაზე ძველი ყდიანი წიგნიდან, რომელმაც ჩვენამდე მოაწია.

მე-15 საუკუნეში, ევროპის დიდ ქალაქებში გაჩნდა სტამბები, – ვკითხულობთ ნაშრომში, – ხელნაწერი წიგნები შეიცვალა ნაბეჭდი წიგნებით, რომლებიც უკეთ გამოსაყენებელი და იაფი იყო. საინტერესოაა მოთხრობილი ასეთი წიგნების მონასტრის ბიბლიოთეკებში შენახვის წესზე, მასალაზე, რომლითაც წიგნის ყდებს ამზადებდნენ (მაგ. ესპანეთში, იტალიასა და გერმანიაში თეთრი ღორების გყავს იყენებდნენ).

ღრთთა ვითარებაში მასალა იცვლებოდა. გრადიციული გვიფრებისა და მოგივების გვერდით ჩნდება ჰერალდიკური სიუჟეტი და საკუთრების აღმნიშვნელი ნიშნები (გვიფრების სახით). მოგჯერ ამ გვიფრებს წიგნის შემკაბველი სახელიც ეწერა. წიგნების რაოდენობასთან ერთად, ვითარდებოდა აკინძვის ტექნოლოგიაც.

განსხვავებული სახე ჰქონდა მაჰმადიანურ ქვეყნებში შექმნილ ხელნაწერ წიგნებს. როგორც ნაშრომიდან ვიგებთ, იქ უპირატესობა ენიჭებოდა ღია ფერის მოოქროვილ, ლაკირებულ ყდებს.

საინტერესო ცვლილებები განიცადა წიგნის ყდამ იტალიაში, განსაკუთრებით ნეაპოლსა და ვენეციაში. წიგნის გარეკანი თანდათანობით

აღმოსავლურ ყდას დაემსგავსა ოქროს ვარცხნილობით. იტალიურმა წიგნის ყდებმა დიდი აღზარება მოიპოვა საფრანგეთში, ინგლისში, ნიდერლანდებში, შვეიცარიასა და გერმანიაში. ამ პერიოდში ყდის არაერთი შედეგური შეიქმნა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა საფრანგეთი. როგორც წყაროებიდან ირკვევა, წიგნის ყდის პარიზულ ეგზემპლარებს მთელ ევროპაში ბაძავდნენ: ყდის ცენტრში მოთავსებული ყოფილა ოვალური მედალიონი, ეგლში მჯდომი აპოლონის გამოსახულებით.

კლასიციზმის პერიოდში ყველაზე უფრო გავრცელებული ყოფილა ხბოს გყავისაგან გაკეთებული ამოუგვიფრავე ყდები. განსაკუთრებით გამორჩეული ყოფილა ლუი XIII-ის მეფობამდე გამოქვეყნებული წიგნები. ნაშრომში აღნიშნულია, რომ ამ პერიოდის წიგნები განსაკუთრებით მდიდრული ყოფილა. მეგად ორიგინალური სახე მიუღია წიგნის ყდას ინგლისში მე-17 საუკუნეში.

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მე-18 საუკუნის – გრაფიკული ხელოვნების აყვავების ეპოქას. ამ პერიოდში ისევე, როგორც გიპოგრაფიასა და ილუსტრაციას, ყდის ხელოვნებასაც უმაღლესი განვითარებისთვის მიუღწევია. იგი ძალზე დახვეწილი გამხდარა. ყდებზე გადაკრულია: „წითლად, მწვანედ, ცისფრად, ყვითლად შეღებილი გარსიკონის გყავები, ღია ფერის ხბოს გყავი-ქერცლისებური, გრანიტისებური. ხშირად ძვირფასი ყდების საცავი ფურცლების (ფორმაცების) ნაცვლად გამოყენებულია ვარდისფერი ან ცისფერი აბრეშუმის ქსოვილები, ღია ფერის ოქროთი მოხატული ქაღალდი, რომელიც შემკულია სხვადასხვაგვარი ხილისა და ყვავილოვანი აქცენტების გამოსახულებით“, – ვკითხულობთ შესავალ წერილში.

შესავალ წერილში ვრცლადაა მიმოხილული 1985 წელს ლენინგრადში გამოქვეყნებული ლ.ი. კისილიოვას ნაშრომი: „Заподно-Европейская книга XVI-XV вв.“ და 1966

წელს ბაქოში გამოცემული კაზიევის წიგნი „Художественно-технические материалы и терминология средневековой книжной живописи, каллиграфии и переплетного искусства“.

ნაშრომში ცალკე თავებია მიძღვნილი ქართული ხელნაწერი წიგნის ყდის გაფორმებისა და ადრეული (X-XVIII სს) ქართული ხელნაწერების შემოსვის გექნიკისადმი. საინგერესო მასალებია გამოქვეყნებული იოანე მოსიძეს, როგორც ხელნაწერთა მმოსველის შესახებ.

წიგნის მოყვარულებს უთუოდ დააინტერესებთ წიგნის შეკვრასთან დაკავშირებული გერმინები და პირველნაბეჭდი წიგნების ყდებზე გამოსახული გვიფრების კატალოგი.

ნაშრომში დამატებების სახით მოცემულია ილუსტრაციები სხვადასხვაგვარი ყდის ნიმუშებით, ასევე პირველნაბეჭდი წიგნის ყდებზე გამოყენებული გვიფრების კატალოგისა და პირველნაბეჭდი წიგნის ამოგვიფრული ყდების ილუსტრაციები. აქ ნახავთ სინური მრავალთავის, მამათა სწავლანის, სახარების, „თვენის“, სვინაქსარის ყდების ილუსტრაციებს, პირველნაბეჭდი წიგნების ყდებზე გამოყენებულ გვიფრებს სიუჟეტური კომპოზიციების შემცველ ოვალურ (ზოგჯერ წაისრულ) ჩარჩოში ჩასმულ ნახაგობას, მცენარეული ორნამენტისგან შედგენილ წრიული ან რომბის ფორმის კომპოზიციას, გეომეტრული, ნახაგის შემცველ გვიფრებს, სიუჟეტურ სამკუთხა ნახაგობას, სტილიზირებული მცენარეულობის ფორმის სამკუთხედებს, გამოყენებულს გვიფრული ყდის ოთხივე კუთხეში, „შემავსებელ“ გვიფრებს – ე.წ. ყვავილოვან „რომეგებს“, ფოთლოვან-ყვავილოვან აქცენტებს, ნალის მსგავს გვიფრებს, ჯვრის ფორმის გეომეტრიულ, სიუჟეტურ, „შემავსებელ“ გვიფრებს, არშიად გამოყენებულ ფოთლოვან-ყვავილოვან გვიფრებს...

დამატებაში, რომელსაც ჰქვია „პირველნაბეჭდი წიგნის ამოგვიფრული ყდები“, თავმოყრილია საქართველოს დიდ ბიბლიოთეკებში –

ეროვნული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სახელმწიფო მუზეუმის, ხელნაწერთა ინსტიტუტისა და ლიგერატურის მუზეუმში დაცული პირველნაბეჭდი წიგნების ამოგვიფრული ყდების ნუშეშები. ფოტოებზე ნაჩვენებია წიგნის კერვის პროცესი – „ჯატვური“ კერვა, რომელიც მიიღება ერთი ნემსის გექნიკით, კაპტალის მიმაგრება რვეულებად აკინბულ წიგნების ბლოკზე, ხის დაფების „ზიგზაგისებური“ მიმაგრება, „ქართული კერვა“, ხელნაწერის რვეულებად აკინბვა, ხის დაფების მიმაგრება, სწორად მოთლილი ხის დაფები, ირიბად მოთლილი ხის დაფები და ბევრი სხვა.

არ შემიძლია გულისტკივილი არ გამოეთქვა იმის გამო, რომ ნაშრომში ისე უხვად დაბეჭდილი ხელნაწერებისა და პირველნაბეჭდი წიგნების ყდების ილუსტრაციები შავ-თეთრია და ის სიხარული და აღგაცება, რაც ამ უიშვიათესი და უძვირფასესი შედეგების ასევე შედეგური ყდების ხილვამ უნდა განაცდევინოს წიგნის მოყვარულებს – იკარგება...

ნაშრომს დართული აქვს ძირითადი დასკვნები, რეზიუმეები რუსულ და ინგლისურ ენებზე, პირთა საძიებელი და გამოყენებული ლიგერატურის ჩამონათვალი.

მაია კარანაძის ნაშრომი „ქართული წიგნის ყდის ისტორია“ ავგორის ძვირფასი საჩუქარია ბიბლიოთეკარებისა და წიგნმცოდნეთათვის.



რიგა წაქაძე

ქუთაისის სამეცნ. უნივერსალური ბიბლიოთეკის მეთოდური განყ. გამგე

აღამიანებო, იყავით აღამიანები!!!

იოსებ იარღანაშვილი...

რემთვის ეს მწვანეთვალეზა სათვალღანი ახალგაზრდა კაცი, უპირველს ყოვლისა, სამყაროს შეცნობის მძაფრ სურვილთან ასოცირღება.

„ის, რაც სამყაროსეულია, გარღაუვალღია და მეც ვცდიღობ, შეღძღებისღაგვარღად, ვეთანაარსებო. მხოღღოდ ეგ არღის, სიცოცხღის ხანგრძღივობღის საკითხღია ერთობ მიუღღებღელი. ასღ წელი ძაღღიან ცოგაა. სამყარო უკღღეგანოა, ამასთან მრავღღისმომცვეღელი და აღამიანს მეგღი ღრო უნღა ჰქონღღეს მღსღი გააზრებისა და განცღღისათვის“.

აღამიანის მღსწრაფეზა – შეღცნოს გარემომცვეღელი სამყარო, საკუთარი თავღი, აღამიანები – ამოუწურავღი და მარაღღიუღღია.

პოღ ვაღღერი: „კაცის გვინღი ის აღღღიღღია, რომელსაც გამუღღებით ჩხვღღეღს და ჩქმეღს სამყარო, რათა ღარწმუნღღეს თავღისსავღე არსებობაში. კაცი აზროვნებს, მაშასაღღამე, მე ვარსებობ – ამბობს სამყარო“.

სამყაროს იოსებ იარღანაშვიღღისეული აღქმა:

„სამყარო ისეთღი უნღა მიღღღო, როგორღც არღის, მიუხეღღავაღ იმღსა, მოგწონს იგღი ასეთღი თუ არა. ბევრღი რამ არღის სამყაროში ისეთღი, რღსღი შეცვღღაც აღამიანს არ შეუღღღღია. სანაცვღღოდ, მოაზროვნე არსება უნღა ეცაღღოს, შეცვღღალოს საკუთარი თავღი – გამუღღებით ესწრაფოღღეს სრულყოფღღეღებას“.

აღამიანი და სამყარო ვერასოღღეს ახერხებღღენ ჰარმონღღულ თანაარსებობას. სამყაროსეული გარღაუვალღობეზღი აღამიანში ყოველთვის იწვევღღა სევღღას და გკვიღღღს. რას იზამ, სამყაროს თავღისღი კანონეზღი აქვს, იგღი არაღღ დაგღღეღეს აღამიანურ ვნებებსა და სურვიღღებს,

მღსთვის კაცი და ჭინჭვეღღა ერთღი და იგღივეა.

ეს სამყაროსთვის, თორემ თავაღღ აღამიანმა ხომ მშვენივრღად იცღს, რომ ყვეღღა ცოცხალ არსებაზღე მაღღღა ღგას, რაღღგანაც მას აზროვნების უნარი ებოღა. ჰოღღა, ეს უპირაგღესობა უნღღა გამოღღყენოს კღღეღც, ისევე საკუთარი კეთღღღღღღეღობღისათვის.

როგორ?

რაღღგან ვერ ხერხღღება აღამიანისა და სამყაროს ჰარმონღღული თანაარსებობა, მოაზროვნე არსებამ უნღღა შეღძღღოს მიაღწიოს აღამიანთა ჰარმონღღულ ურთღღეღრობაღს. ამ გზით ასაგანღი ხღღება სამყაროს ჭირვეუღღობანი.

„მწერღღის საქმეა აღღღეღბღღეს აღამიანში აღამიანს და აძაგებღღეს აღამიანში ცხოვეღღს. ნაწარმოებში მან ნათღღაღღ უნღღა ღახაგოს სურათღი იმღსა, თუ როგორ შეღძღღება შეცვღღალოს სამყარო ერთმა ან მეორემ და კღღეღვ, მწერაღღი აღამიანში უნღღა აღვიღღებღღეს სიყვარულს, სამყაროს, სიკეთის, სიყვარულღის, სიღამაზღისა და, რაც ყვეღღღაზღე უმთავრეღღსღია, აღამიანის მიმართ“.

– როგორ ფიქრობთ, მწერაღღი მხოღღოდ ამზავს უნღღა ყვებოღღეს, თუ მუღღღივად უჩღიჩინებღღეს და ასწავღღღღღეს მკითხვეღღს?

– თუ შეეცღღებღით მხაგვრული ნაწარმოებღით (არ ვგუღღღისხმობ საბავშვო ღღეღერაგურას) რაღღიმე ვასწავღღღოთ მკითხვეღღს, უნღღა გაღღეთვალღღისწინოთ, რომ საქმე გვაქვს ცნობღღეღრებაჩამოყაღღღებულ აღამიანთან, რომეღღღიც მოითხოვს ჩვენგან შეთავაზებულღი შეგონების ან გნებავთ მცნების არგუმენგაცღღას. ამ ამოცანას კღღი ყვეღღღაზღე ეფექტურაღღ აგკორღი სიუჟეტღის წყაღღობით გაართმეღღეს თავს.

სიუჟეტი, ანუ უბრაღღოდ რომ ვთქვავთ ამბა-

ვი, მწერალს თვალსაჩინოებისათვის უნდა სჭირდებოდეს. ნაწარმოების ამრი, იდეა სიუჟეტმა უნდა წარმოაჩინოს. ჩვენ შეიძლება ათი მოთხრობა დავწეროთ მშრალი მოწოდებით, რომ მოწვევა მავნებელია ჯანმრთელობისათვის, ერთ ნოველას კი შთაბეჭდავი, ამდღებულის სიუჟეტით სიგარეტის მწვეელი ადამიანის ბედზე შეუძლია უფრო დიდი ემოციური ზემოქმედება მოახდინოს.

ერთია იცოდე, რისთვის და როგორ წერო, მეორე – მიაღწიო ცოდნის რეალიზებას, გაგაჩნდეს საკუთარი ხელწერა, სტილი.

„ციხეში ჩემი ვიზიტიდან მესამე დღეს სასიკვდილო განაჩენი სისრულეში მოიყვანეს...“

წვიმა იწყებოდა და წვეთების კაკუნი ფანჯრის მინაზე აუწყობელ როიალზე დაკრულ მელოდისაჲ ჰგავდა. ბლუმი გამახსენდა. კაცი, რომელსაც წვიმა სძულდა. თუმცა, ალბათ მას დღეს მთელი სამყარო სძულდა. ბლუმს არ მოუკლავს წვიმა – წვიმამ მოკლა ბლუმი.

ენგონი ბლუმზე ფიქრი აღარ მინდოდა, დაღლილი ვიყავი... შორს, ქალაქის თავზე, თვითმფრინავმა გადაიფრინა და... გამახსენდა. გამახსენდა და გახარებულმა საკუთარ თავს რამდენჯერმე გაგუმეორე: „ხვალ რონი ჩამოდის!“ ეს კი ჩემთვის ყველაფერზე მთავარი იყო“ („წვიმის ჩრდილში“).

სულ რამდენიმე წინადადება (ათი თორმეტი) და სახეზეა კაცობრიობის მარადიული საკვივარი – პრობლემა ადამიანთა ერთიერთობისა.

ახალგაზრდა კაცი სიკვდილით დასაჯეს, შეიძლება ითქვას, უდანაშაულოდაც. ეს იცის მეორე ადამიანმა. მას კი ასეთ დროს მხოლოდ საყვარელ მამაკაცზე ფიქრი შეუძლია:

„ხვალ რონი ჩამოდის!“ ეს კი ჩემთვის ყველაფერზე მთავარი იყო“.

შემზარავი გულგრილობა ადამის გომისა. მკითხველი აღშოთებულია. შედეგი მიღწეული:

შეუძლებელია მოაზროვნე გონება არ დაფი-

ქრდეს; შეუძლებელია ამგვარად მოქცევის სურვილი გაუჩნდეს; შეუძლებელია ცოცხალი უფრო კეთილშობილი არ გახდეს.

– გჯერათ ადამიანის? შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს ბოლომდე გაუგოს მეორეს?

– ვფიქრობ, შეიძლება. თუმცა ამისათვის, ალბათ, საჭირო იქნება საკუთარი ფსიქოლოგიური და სულიერი კლიმატის იგნორირება. ბოლომდე გაუგო სხვა ადამიანს, იოლი არ არის, ამისათვის ძლიერი სურვილი უნდა არსებობდეს. მოგივაცინას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია სურვილი. როცა ძალიან გინდა, შეძლებ კიდეც.

სამყარო ერთია. ხედვა – მრავალგვარი.

ერთი:

„კაცი შორს იცქირებოდა, ხელში ავტოკალამი ეჭირა და დროდადრო პაგარა ფურცელზე წერდა.“

მალიმალ ოფლიან სახეს იწმენდა ცხვირსახოცით, შორეთს გაჰყურებდა, დროდადრო წერდა, ხანდახან მაგიდაზე ფულს ან იარაღს მიაბჯენდა მზერას...

კაცმა ფურცელი ხელში აიღო, ნაწერს დააცქერდა. თითქოს გაეღიმა კიდეც, მაგიდაზე ცხვირსახოცს მისწვდა და ვიდრე სახეს მოიწმენდა, ფურცელი წინ, ფანჯრის რაფაზე დადო...

ფურცელი აღარ დახვდა – მონაბერ ჰაერს წაელო დაბლა.

კაცს მაგიდისაკენ არც გაუხედავს, ისე აიღო იარაღი. არც იარაღისათვის შეუხედავს, ისე მიიღო ლულა საფეთქელზე, თვალები არ დაუხუჭავს. გაეღიმა...

ხმაური, სიკვდილივით წამიერი იყო“ („კაცი და...კაცი“).

მეორენი:

„დალაქმა ქუჩა გადაჭრა და სადალაქოს სამსაფეხურიან კიბეს მიაღვა. ის იყო, საფეხურზე ნაბიჯი შედგა და გასაღებისათვის ჯიბეში ხელი ჩაიცურა, რომ ფეხთან ნაწერი ფურცელი შენიშნა, დაიხარა, აიღო და კითხვა დაიწყო.“

„ამ საღამოს მთვარე არც კარგია და არც

ცული. იგი საინგერესოა, დიდი შავი ციკლოპის თვალივით მიმზერს.

ფული... (როგორ იოლად უყვართ იგი?) ქაღალდზე დაბეჭდილი ადამიანია და ერთი ფული ისევე ექცევა სხვა ფულს, როგორც ადამიანი ადამიანს...

რა არის სიცოცხლე? მაგალითად, ჩემი... აი, ახლა ამ წუთში? განცდების, ხილვების, მოძრაობების, ბგერების და კიდევ ათასი ჯანდაბის აბურდული კომბინაცია...

როცა რაღაც უკანასკნელი ხდება, ჩვენში ან სევდა იბადება... ან შვება. რა ბელნიერებაა – ხვალ აღარ ვიქნები!“

„რა სისულელეა?!“ – გაიფიქრა დალაქმა და ხელში გასაღების აცმა ააჩხრიალა, ფურცელი დაჭმუჭნა და ქარს მიუგდო... („კაცი და კაცი“).

მესამენი:

„უკანა ოთახის ფანჯარა, საღაც, ჩვეულებრივ, ოჯახის წევრები (მე, დედა და მამა) ვაგარებლით უმეგეს ღროს, მდინარეს გადაჰყურებდა, მამა ყოველთვის ამ ფანჯარასთან იჯდა, სულ თუთუნს ეწეოდა და წამლაუწუმ მდინარეში იფურთხებოდა (ნაგავსაც იქ ისროდა). „არ შეიძლებაო“, გამუდმებით საყვადურობდა დედა. „აიგანს“ – მშვიდად პასუხობდა მამა“ („მდინარე“).

ამქვეყნიური ყოფა მოგისტვის ლხენაა, მოგისტვის დარდი და სევდა, სხვისთვის კიდევ უკიდევანო საფიქრალი, მავანისათვის არც ეს და არც ის; ცხოვრობს ისე, უღრგვინველად; არც მოსვლით შეუცვლია რაიმე, არ წასვლით შეცვლის და გრძელდება ასე... უსასრულოდ.

მთავარი:

გაუძლო ამ ორომგრიალს და იყო ადამიანი.

„ახლა ასე ვცხოვრობ – როგორც გყეში ხის გადანაჭრელი კუნძი. ყველაფერი მეზარება... უმეგეს ღროს ფანჯარასთან ვაგარებ, მდინარეს ჩავყურებ და თუთუნს ვეწევი, ხანდახან ვსვამ. ნელ-ნელა მამას ვემსგავსები. მხოლოდ მდინარეში არ ვიფურთხები და ნაგავსაც არ ვისვრი, რადგან ეს რომ გავაკეთო, ვიცი დედის სიგყვებს ვიგრძნობ – „არ შეიძლებაო“...

მე კი მეშინია, არ ვუპასუხო: „აიგანს!“ (მდინარე“).

თავს უფლებას ვაძლევ, უფრო სწორად, ამ ახალგამრდა კაცის ნაამრევი მაძლევს საშუალებას, ვიწინასწარმეგყველო:

იოსებ იარღანაშვილი –

მოამბროვნე და გემოვნებიანი მკითხველის საყვარელი მწერალი.

მჯერა, არ იქნება საჭირო დიდი ხნის ლოდინი.

გურამ თაყნიაშვილი

ბიბლიოთეკარი ეფერება ბავშვებს



ბიბლიოთეკაში მოსულ ბავშვებს მართლაც მოფერება სჭირდება. გულისხმიერი ბიბლიოთეკარი მას ღიმილით და ყურადღებით უნდა დახვდეს.

გაესაუბროს, ურჩიოს, შესთავაზოს... წიგნიერ გარემოში მოსულ ბავშვს ბიბლიოთეკარის სახით ეგულება კეთილი მრჩეველი, სათნოებით აღსავსე ადამიანი, რომელიც მის ინგერესს


აღვილად გაიგებს და გაუძღვება იმ სულიერი სიმდიდრის სამყაროში, რომელსაც ცნობისმოყვარე ბავშვის გონება ესოდენ ხარბად ეწაფება.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთათვის განკუთვნილ ქართულ საბავშვო ლიტერატურას კიდევ ერთი ლექსების კრებული შეემატა.

მისი ავტორი გახლავთ ბიბლიოთეკარი –

ლია ბექანიშვილი-ღვინერია, ქ. რუსთავის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკის მომსახურების განყოფილების გამგე. იგი კარგად იცნობს პაგარების ბუნებას. ამაში მკითხველი ადვილად დარწმუნდება, როცა მისი ლექსების კრებულს გაეცნობა. ავტორი ბავშვისათვის ადვილად აღსაქმელი მხატვრული ოსტატობით გადმოგვცემს მოზარდის ურთიერთობას გარემოსთან, ადამიანებთან, თანატოლებთან. ამრობრივად გვევლინება მისი ლექსები ახალისებს ბავშვის გონებას, მანამდე უცნობი სახეებითა და სურათებით ავსებს მის ფაქიშკას. ამ ლექსებში ლია ბექანიშვილი პაგარების ცხოვრებით ცხოვრობს: ერთობა, თამაშობა, მეგობრობა... მის თითოეულ ლექსში ვხვდებით თავისუფალ შედარებებს, მახვილგონივრულ შეგონებებს. მნეობრივი სიფაქიშკის ნიმუშები უხვადაა მის პოეზიაში. პაგარების სიყვარულით დაწერილი პოეტური სტრიქონები აღსავსეა შეგონებებით, მოწოდებებით, ადვილად დასამახსოვრებელი მხატვრული სურათებით.

ლია ბექანიშვილი მოწოდებით ბიბლიოთეკარია. მისი დამოკიდებულება მკითხველთან და წიგნთან, მისი ტაქტი და პედაგოგიური ალღო მას მკითხველთათვის საყვარელ ბიბლი-



ოთეკარად აქცევს. ეს პოეტის პირველი კრებუ-ლია. ვუსურვოთ, ისევე გაიზარდოს პოეზიაში, როგორც ის პაგარები, რომელთაც დედობრივი სიყვარულითა და გულწრფელი პოეტური სტრიქონებით ეფერება ავტორი.



გიორგი სარაჯიშვილი

უხუსანი მკითხველი



89 წლის მეცნიერი! მისი „ავტობიოგრაფიული ნარკვევი ანუ გაჯახირებული ცხოვრება“, და 65 წელი ეროვნული ბიბლიოთეკის წევრობისა. როცა 2002 წელს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ბაგონმა რამამ გახოკიძემ ბიონინჟინერიის განყოფილების სექციის სხდომაზე მომხსენებელი – ბაგონი ნიკოლოზ ჯომიდავა წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას და

მისი ბიოგრაფიული ცნობები გაგვაცნო, ყურები ვცქვიტეთ, როცა გაგიგეთ, მკვლევარი 87 წლის ყოფილა. ლექცია შეეხებოდა კოლხურ (მეგრულ) გვარსახელებს. საკითხი, რომელიც აქგუალურ ხასიათს აგარებს, საგნის ღრმა ცოდნით იქნა გაშუქებული მსცოვანი მეცნიერის მიერ. კითხვებს ბოლო არ უჩანდა. მოხსენების სათაურის მიხედვით შექმნილი ნაშრომი 1998



წელს გამოუცია ავგორს, მაგრამ ამჟამად ის იშვიათობას წარმოადგენს და ბიბლიოთეკით თუ ისარგებლებს დაინტერესებული მკითხველი.

7 მონოგრაფიისა და ათეულობით მეცნიერული სტატიის ავტორი აფხაზეთიდან დევნილია. ავტორი თავის „გაჯახირებულ“ ცხოვრებას გადმოსცემს მოყოლებული მისი მონათვლიდან დღემდე. საინტერესოდ აღწერს განვლილი ცხოვრების რთულ და წინააღმდეგობებით განვლილ გზას. ოჯახის, ბავშვობის და სკოლის შესახებ თხრობისას ძნელია მკითხველი არ აღელდეს. ზუგდიდის მაზრაში „სოფელთა შორის ყველაზე მიყრუებულ ადგილს – მოიდანახეს“ სკოლა წერა-კითხვის საზოგადოების მიერ გახსნილა და პედაგოგიურ-ისტორიულ


ლიტერატურაში ცნობილი არ ყოფილა. მას ნაშრომში ერთი თავი ეძღვნება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სოფ. ჯარგვალაში ჯომიდავების სახლში 1922-23 სასწავლო წელს გახსნილა ზუგდიდის მაზრაში პირველი სკოლა, სადაც სწავლობდა 2 გოგო და 4 ბიჭი, მათ შორის პაგარა კოლია. 1929 წელს ჭოლის 7-წლიანი შრომის სკოლის დამთავრების შემდეგ, კოლია სწავლას აგრძელებს ზუგდიდის აგროტექნიკუმში. საინტერესოდ იკითხება მამის „უმიზეზო“ გაკუთლებებზე და „წესიერ კომკავშირელის“ გარიცხვებზე; „საჩივრად თბილისში“ ჩამოსვლაზე და შეხვედრაზე დიდ ინტერნაციონალისტთან –

მისა ცხაკაიასთან; კოლმეურნეობის საკითხის შესახებ ყრილობაზე და „მეორედ განცდილ ტკივილზე“, მიმოსროლის დროს დედის მაგიერის დალუქვაზე; მძიმე 30-იან წლებზე. ამ მოგონებებს მოსდევს საუბარი ცოდნის მიღებაზე; 1937 წელს თბილისის კონსერვატორიასთან არსებულ I მუსიკალურ სასწავლებლის ვოკალურ ფაკულტეტზე ჩარიცხვასა და პარალელურად ოპერისა და ბალეტის თეატრის მომწერალთა გუნდში აყვანაზე. 1939 წელს უნივერსიტეტში სტუდენტად ჩარიცხვა, ჯარში გაწვევა და ამიერკავკასიის სიმღერისა და ცეკვის სამხედრო ანსამბლში მსახიობობა; ანსამბლის მონაწილეობა თეირანის კონფერენციაში; გამარჯვების დღის ბეიში; დემობილიზაცია – ბაგონ ნიკოლოზის ცხოვრებისეული საკითხებია.

ამაღლებულად მოგვითხრობს ავტორი უნივერსიტეტში აღდგენაზე; სამუშაოს ძებნაზე; აფხაზეთის ძმათაშვილებს ომზე და დევნილებთან ერთად ალპურ უღელტეხილზე განცდილზე და ბოლო თქმას „გაჯახირებულ ცხოვრებაზე“. აი, ის არასრული საკითხები, რომელსაც ავტორი ეხება მემუარულ ნაშრომში. მას აღწერილი აქვს ურთიერთობა ნიკო კეცხოველთან, შეხვედრები ლავრენტი ბერიასთან თეირანში რუსეთის საელჩოში და მრავალ გამოჩენილ ქართველ მოღვაწესთან.

ბაგონ ნიკოლოზს გაცნობისას ვთხოვე – ნუ მიწყენთ, თუ „ბაბუს“ დაგიძახებთ-მეთქი. ჩვე-

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
 მუხნიანკაბათა აქადემია**
ნიკოლოზ ჯომიდავა
აბტოგოგრაფიული ნაბეჭედი
ანუ
გაჯახირებული ცხოვრება



საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა
 „მ თ ლ ი დ ი ნ ი“
 თბილისი
 2004

ული გულიანობით გაიღიმა და მითხრა: „გეკუთვნისო“. კერძო საუბრებში გაირკვა, რომ ბაბუს თავის ნარკვევებში ბევრი რამ არ შეუგანია.

ბაბუ ყოველდღე დადის ეროვნულ ბიბლიოთეკაში და ინგენსიურად ეწევა მეცნიერულ კვლევას. მუდამ ამორჩეულ მაგიდას უბის. დიდი თუ პატარა შეგუებულნი არიან ბაბუს აქ ნახვას და მის მიმართ მოწიწებით არიან გამსჭვალულები. მოგვიყვებ: „უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემდეგ, ამხანაგებთან ერთად დავიწყეთ საჯაროში სიარული. მაშინ წიგნაკები არ იყო, ფურცლები მოგვეცა. გავიცანით ახალგაზრდა ქალბატონი – თამარ მაჭავარიანი. დავაზღოვდით. ერთხელ, მისულებს თამარმა

გვთხოვა დავხმარებოდით, გადარჩეული წიგნების თაროზე დალაგებაში. ენერგიულად ვეხმარებოდით, ლექციების შემდეგ მისულები. ჩემს ამხანაგს თამარი შეყვარებოდა და არ იცოდა, როგორ ეთქვა. მე გავაბედინე, მაგრამ უარი მიიღო“. საყველური გამოთქვა ბიბლიოთეკის მესვეურებისადმი, რადგან უხერხულად ეჩვენება, რომ მკითხველის ბილეთზე ბიბლიოთეკის კოორდინატები არ არის მინიშნებული.

აფხაზეთის აკადემიის წევრი ბატონი ნიკოლოზი შვილების მამა და შვილიშვილების ბაბუა, მხნედ გრძნობს თავს, თბილი მოსაუბრეა და უყვარს ამხანაგების წრეში ყოფნა. მისი დარდი – აფხაზეთია, შევთხოვოთ უფალს მაღე გაესეირნოს სოხუმში.


ინფორმაცია



წიგნის გამოფენა-ბაზრობა ქუჩაში
(წიგნის საერთაშორისო დღე)



ღიდი ხანი არ არის, რაც შემოღებულ იქნა წიგნის საერთაშორისო დღე – 23 აპრილი. იგი ემთხვევა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ შემოღებულ საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნას, რაც უკვე გრადიციად იქცა ჩვენში. ეს დღე იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ თბილისის



თითქმის ყველა გამომცემლობა მას ორიგინალურად აღნიშნავს – ქუჩაში. ეროვნული ბიბლიოთეკის წინ აწყობენ გამოფენა-ბაზრობას. წელს უკვე მეორედ ჩაგარდა ეს მეგად მნიშვნელოვანი ღონისძიება. მაგიდებსა და სგენდებზე გამოფენილ წიგნებს ზღვა ხალხი მოაწყდა. იდგა ხალისიანი, მხიარული განწყობილება. როგორც ჩანს, ქართველ კაცს სულაც არ დავი-

წვინა წიგნი. დამთვალეირებლები ინგერესით უცქერდნენ გამოფენილ წიგნებს, ფურცლავდნენ, ეცნობოდნენ, ირჩევდნენ, ეძებდნენ, ყიდულობდნენ. არ შეიძლება არ ითქვას, რომ გამოფენილმა ლიგერაგურამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა – უმდიდრესი გამოცემები, პოლიგრაფიის უმაღლესი დონე, შეუზღუდავი შესაძლებლობები – აი, რა ნახა დამთვალეირებელმა იმ დღეს. სასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ წიგნებს საგრძნობლად შეღავათიან ფასებში ჰყიდდნენ. ბევრი წიგნი გაიყიდა, ბევრსაც თვალნათლივ გაეცნო ჩვენი მკითხველი, რასაც დიდი ინფორმაციული მნიშვნელობა აქვს.

სასურველია, ამგვარი დონისძიებები სხვა ქალაქებშიც იმართებოდეს და არა მარტო წიგნის დღესასწაულზე, არამედ სხვა დროსაც, რაც ხელს შეუწყობს დაინგერესებულ პირებს, მიიღონ საჭირო ინფორმაცია, შეიძინონ თავიანთთვის სასურველი წიგნები.



წიგნის ბირჟა – სასიკეთო სიხსლე

წიგნის გამომცემელთა და გამაგრცელებელთა ასოციაცია (პრეზიდენტი მერაბ ქათამაძე) იწყებს პროექტის განხორციელებას – „წიგნის ბირჟა“. პროექტის თანადამფინანსებელია ფონდი „ღია სამოგადოება – საქართველო“.

განზრახვის თანახმად, თბილისში, დათქმულ ადგილსა და დროზე, გარკვეული პერიოდულობით, დაახლოებით, თვეში ერთხელ, სხვადასხვა გამომცემლობათა წარმომადგენლები თავს მოიყრიან თავიანთი პროდუქციით. აქ შეიძლება თავი მოიყარონ დისგრიბუგორებმა და მოვაჭრეებმა, როგორც თბილისიდან, ისე რეგიონიდან. ბირჟა ღია იქნება ყველა მკითხველისათვის. აქ შეიძლება შეიძინონ ერთი წი-

გნიც და წიგნების რამდენიმე პარგია. დამსწრეთათვის აქ შექმნილი იქნება ყველა პირობა წიგნების დასათვალეირებლად და შესარჩევად – სგენდები, დახლები, კატალოგები, საინფორმაციო-სარეკლამო დახადგარები; გამოფენილი იქნება საცნობო-ბიბლიოგრაფიული პუბლიკაციები...

დისგრიბუგორებსა და მოვაჭრეებს შეუძლიათ უშუალოდ გააფორმონ კონგრაქტები გამომცემლობებთან ურთიერთხელსაყრელი პირობებით, შეიძინონ წიგნები, ან დათანხმდნენ კონსიგნაციამზე, რაც ყოველთვიურად გამეორდება.

ბირჟა საყოველთაოდ ღია იქნება და გადასახადი გათვალისწინებული არ არის.

ბირჟით განსაკუთრებით მოხერხებულად შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკებში. მათ წიგნების შეძენა შეეძლებათ პირდაპირ გამოცემლობებისაგან, რაც გარკვეული ფასდაკლებით მოხდება. ამით დაიმოგება მათი დროცა და სახსრებიც. ბიბლიოთეკებს, რომლებსაც აქვთ მიღებული გრანტები წიგნების შესაძენად ან ფინანსდებიან ადგილობრივი ბიუჯე-

ტით თუ კერძო მეწარმეთაგან, შეუძლიათ ფართოდ ისარგებლონ წიგნის ბირჟით.

წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მისამართია:

მერაბ კოსტავას 47, VI სართ; ოთახი 29.
ტელ./ფაქსი: 33-50-90

apba@access.sanet.ge ან mer@mymail.ge
www.apba.ge



უთახუჭდილების გაზიარება არ წყდება

როგორც ცნობილია, საქართველოდან ორი ჯგუფი იქნა გაგზავნილი შეერთებულ შტატებში სტაჟირებისათვის, რის შესახებაც ჩვენს ჟურნალში საფუძვლიანი მიმოხილვები მოვითავსეთ. ჩვენს მკითხველებს იმასაც ვაცნობებდით, თუ როგორ გამოეხმაურნენ ამ მოვლენას უცხოეთისა თუ ჩვენი ქვეყნის პერიოდული ორგანოები. დამატებით გვინდა თქვენი ყურადღება მივაქციოთ ჟურნალ „Community“-ში გამოქვეყნებულ სტატიას, რომელშიც საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი თავის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს აშშ-ში ყოფნის შესახებ.

ხსენებული ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს ბიულეტენს, რომლის ქართული სათაურია „სამოგადოებრივი კავშირები“ და



Group of NGO leaders from Imereti and Guria in Massachusetts

“This was one of the brightest memories in our life” - claimed one of participants of the Community Connections program during the follow up meeting in Kutaisi. More than three months have already passed since the program finished, but emotions from the stay in the United States maintained fresh and extremely positive.

“We spent three weeks of February 2003 in Massachusetts, trying to understand both culture and life-style of Americans as well as the way how systems and institutions work in the United States. The group visited a wide range of organizations that included local government, state legislature, non-profit organizations, Universities, human service providers and watch-dogs. However, the impressions made and outcomes produced from the internship can be hardly described in this short article.




All the participants placed a strong emphasis and praise on the perfect balance between business and cultural activities arranged by Fitchburg State College. In addition to the “program”, it was the special, interpersonal relations established with host families that made those three weeks truly unforgettable.

It is remarkable that group has managed impressively. It was a pleasure to observe team-working of ten Georgians, who have been constantly encouraged to do their best since orientation held by Project Harmony in Kutaisi. I suppose, the most visible display of the group’s collaboration was during “Presentation of Georgia” at Fitchburg, where all the participants contributed to demonstrate Georgian culture and provide a taste of Georgian cuisine.

Continued on p. 2

აქვეყნებს განსაკუთრებით საყურადღებო მოვლენებს. იბეჭდება პარალელურად ინგლისურ და ქართულ ენებზე. ბ-ნ ირაკლი ღარიბაშვილის სტატია შეგიძლიათ იხილოთ 2003 წლის N10 ჟურნალში.



ახალი გზასაკლისაკენ

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა შეხვედრა მოუწვევეს ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს, აწ უკვე ყოფილ გენერალურ დირექტორს ლევან ბერძენიშვილს. როგორც ცნობილია, ლ. ბერძენიშვილი აირჩიეს საქართველოს პარლამენტგარადა, რის გამოც ის მიდის თავისი პოსტიდან. ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში მას ბიბლიოთეკის მუშაკებმა გულთბილი გაცილება მოუწვევეს. ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა ვრცელი სიტყვით მიმართა შეკრებილთ, მაღლობა მო-

ახსენა მათ თანამშრომლობისათვის, ბოლოში მოუხადა ყველას, თუკი ვინმეს წინაშე ის, როგორც ხელმძღვანელი, დამნაშავეა, იმედი



გამოთქვა, რომ მათი ურთიერთობა არამც თუ შეწყდა, არამედ კიდევ უფრო აქტიურ ხასიათს მიიღებს. ის შეეცდება, ყველა ღონე იხმაროს ხელისუფლების ორგანოში მუშაობის დროს, ხელი შეუწყოს საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის განვითარებას.



მონოღება თანამშრომლობისაკენ

რვენ მივიღეთ ჟურნალ „Библиотечное дело“-ს მთავარი რედაქტორის ქნ გაგიანა ფილიპოვას ოფიციალური შეგყობინება, რომელშიც ის გვთავაზობს ბიბლიოთეკათმცოდნეობის აქტიურ პრობლემებზე ინფორმაციის გაცვლას, აგრეთვე ყოველგვარი ფორმით თანამშრომლობას. ჩვენ დავეთანხმეთ ამას.

დაინგერესებულ პირებს, რომლებსაც სურთ „Библиотечное дело“-ში გამოაქვეყნონ თავიანთი ნაშრომები, ვთავაზობთ ისარგებლონ ჩვენი დახმარებით, რითაც გარანტირებული იქნება პუბლიკაცია.

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია

საქართველოს საბიბლიოთეკო სსოპრების ქრონიკა

□ 16 მარტს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობა და ბიბლიოთეკის დირექცია შეხვდა თბილისში გერმანული კულტურის ცენტრის (გოეთეს ინსტიტუტი) ახალ ხელმძღვანელობას. საუბარი შეეხო კულტურულ ურთიერთობებს, სტუდენტთა გაცვლისა და წიგნების უსასყიდლოდ გადაცემის საკითხებს. გოეთეს ინსტიტუტის ახალი ხელმძღვანელი უვე რიკენი დაინტერესდა საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის თანამედროვე მდგომარეობით.

□ 23 მარტს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მოქმედ საკოორდინაციო საბჭოს გასვლითი სხდომა ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტის ბიბლიოთეკაში. ოფიციალური გამოცემათა სამსახურის უფროსმა ბურაბ ჯიბლაძემ და ბიბლიოთეკის გამგემ ლელა თვარაძემ საბჭოს წევრებს წარუდგინეს საქართველოს მაღალ ჩინოსანთა შესახებ შედგენილი ბიბლიოგრაფიები და სამთავრობო გამოცემები.

□ 24 მარტს გურჯაანის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიხსნა მლაპრების ოთახი. ბავშვებისათვის ეს ძვირფასი საჩუქარი დააფინანსა ფონდმა „ღია სამოგადოება – საქართველომ“, მშვიდობის კორპუსმა და რაიონის გამგეობამ. მლაპრების ოთახის გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს საბიბლიოთეკო და ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციის გამგეობის წევრები.

□ 20 აპრილს ქუთაისის სამეცნიერო-უნივერსალურ ბიბლიოთეკაში გაიხსნა საბიბლიოთეკო კვირეული. კვირეულის გახსნას ესწრებოდნენ იმერეთის მხარის ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკების ხელმძღვანელი მუშაკები, კულტურის განყოფილებათა გამგეები, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი და გამგეობის წევრები: გურამ თაყნიაშვილი, გულნარა სგურუა.



□ 21 აპრილს საჩხერის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის წევრები შეხვდნენ რაიონის საბიბლიოთეკო აქტივს და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს. შეხვედრის მონაწილეებმა პატივი მიაგეს ცენტრალური ბიბლიოთეკის ყოფილი დირექტორის თინა ხვედელიძის ხსოვნას. რაიონის ახალმა გამგებელმა ბურაბ ცერცვაძემ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა 100-მდე ახლადგამოცემული წიგნი. რაიონის საბიბლიოთეკო დარგის მუშაკებს გადაეცათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

□ 23 აპრილს ქ. თბილისის მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკაში გაიხსნა საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეული, გახსნას ესწრებოდნენ: საქართველოს კულტურის მინისტრი გიორგი გა-



ბაშვილი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი, კულტურისა და სპორტის პროფკავშირების კომიტეტის თავმჯდომარე ციცო ჯაფარიძე, თბილისის კულტურის სამსახურის უფროსი დავით ოქიგაშვილი, საქართველოს საბიბლიოთეკო და ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციების გამგეობის წევრები.

□ 26 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა საბიბლიოთეკო კონფერენცია თემაზე „თანამედროვე საბიბლიოთეკო ტექნოლოგიები ამერიკის ბიბლიოთეკების მაგალითზე“. წარმოდგენილი იყო 12 მოხსენება. კონფერენცია დააფინანსა აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის საკითხთა ბიურომ.

□ 27 აპრილს ქ. ბორჯომის ცენტრალურ სარაიონო ბიბლიოთეკაში ქალაქისა და რაიონის საბიბლიოთეკო აქტივს შეხვდნენ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ლევან თაქთაქიშვილი.

□ 28 აპრილს ხარაგაულის ცენტრალურ რაიონულ ბიბლიოთეკაში გაიმართა შეხვედრა

რაიონის საბიბლიოთეკო აქტივთან. შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებელი მუშაკები, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ლევან თაქთაქიშვილი.

□ 28 აპრილს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გაიმართა საქართველოს მეორე რეგიონული კონფერენცია თემაზე „საქართველოს საუნივერსიტეტო და აკადემიის სისტემის ბიბლიოთეკების პრობლემები და პერსპექტივები“ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 8 მოხსენება უმაღლესი სკოლების ბიბლიოთეკების აქტუალურ საკითხებზე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს ინფორმაციის სპეციალისტთა და საბიბლიოთეკო ასოციაციების გამგეობის წევრები, უნივერსიტეტის პრორექტორი პროფ. თემურ ხუროძე, ღონისძიებაზე დაისვა ბევრი აქტუალური საკითხი; უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ღვაწლმოსილ თანამშრომლებს გადაეცათ სიგელები და დიპლომები.

□ 29 აპრილს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „თანამედროვე საბიბლიოთეკო სკოლა და საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფორმირება: პრობლემები, პერსპექტივები“.

კონფერენცია დააფინანსა აშშ საელჩომ საქართველოში. პროექტის ავტორია თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის დოცენტი ინგა ფილაური, პროგრამას კურირებდა აშშ-ს საელჩოს კულტურის ატაშეს ასისტენტი ვენდი კენელი. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა აშშ-ს სიმონის კოლეჯის პროფესორი შეილა ინგნერი.

კონფერენციაზე მომხსენებლები ძირითადად იყვნენ აშშ ნამყოფი ქართველი სპეციალისტები.

□ 30 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეულის საზეიმო დასურვა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საბიბლიოთეკო დარგში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე თამარ ქვარიანი, თბილისში მოღვაწე სხვადასხვა ბიბლიოთეკარები, რაიონული ბიბლიოთეკების დირექტორები, ეროვნული ბიბლიოთეკის დეპარტამენტის უფროსები. კვირეულის დასურვის ღონისძიებაზე ბიბლიოთეკარებს გადაეცათ ღიპლომები, სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

□ 4 მაისს ქ. მარნეულში მოეწყო საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის წევრთა და ასოციაციის პრეზიდენტის შეხვედრა ბიბლიოთეკის აქტივთან. ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა გელმან ახმედოვმა და კულტურის განყოფილების გამგემ ემზარ ნიკოლაძემ სგუმრებს გააცნეს საბიბლიოთეკო დარგში არსებული პრობლემები, სიძნელები, ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობის მდგომარეობა. ირაკლი ღარიბაშვილი, მზია რამბაძე და გურამ თაყნიაშვილი შეხვდნენ რაიონის გამგეობის თავმჯდომარეს ამირან შუბითიძეს.

მოსაგონარი

კათილსინდისიერად გასრულებული სივრცელი

არც თუ დიდი ხნის წინათ ჩვენი ქურნალი გულწრფელად გამოეხმაურა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის თვალსაჩინო მოღვაწის – თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის დოცენტის ალა მიხეილის ასულ ოთაროვას ღირსების ორდენით დაჯილდოვებას, მისდამი მიძღვნილ სტატიაში (2001, N3) ბევრი რამ ითქვა მის პიროვნულ და პროფესიონალურ ღირსებებზე, ვულოცავდით ამაგლარ ადამიანს დაფასებას, მასთან ერთად ჩვენც გვი-

ხაროდა მისი წარჩინება, დღეს კი უკვე მოსაგონარის გამოქვეყნება გვიწევს.

ალა ოთაროვამ პროფესიული დაოსტატების დიდი გზა განვლო. მან უბრალო პრაქტიკოსი მუშაკის თანამდებობით დაიწყო თავისი კარიერა. გამოირჩეოდა როგორც უაღრესად ნაყოფიერი, კორექტული, ენერგიული და მაღალპროფესიონალი სპეციალისტი. მონღომებულმა ახალგაზრდამ წარმატებით დაასრულა მოსკოვის კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურა და 1956 წელს საქართველოდან პირველმა დაიცვა აქ საკანდიდატო დისერტაცია. 1953-1954 წლებში მუშაობდა მოსკოვის ლომონოსოვის სახე-



ხაროდა მისი წარჩინება, დღეს კი უკვე მოსაგონარის გამოქვეყნება გვიწევს.

ალა ოთაროვამ პროფესიული დაოსტატების დიდი გზა განვლო. მან უბრალო პრაქტიკოსი მუშაკის თანამდებობით დაიწყო თავისი კარიერა. გამოირჩეოდა როგორც უაღრესად ნაყოფიერი, კორექტული, ენერგიული და მაღალპროფესიონალი სპეციალისტი. მონღომებულმა ახალგაზრდამ წარმატებით დაასრულა მოსკოვის კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურა და 1956 წელს საქართველოდან პირველმა დაიცვა აქ საკანდიდატო დისერტაცია. 1953-1954 წლებში მუშაობდა მოსკოვის ლომონოსოვის სახე-

ლობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილების ბიბლიოგრაფად. დისერტაციის დაცვის შემდეგ მუშაობას განაგრძობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგელ, ამის შემდეგ ის მთლიანად პედაგოგიურ მოღვაწეობაზე გადადის და მუშაობას იწყებს პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრაზე დოცენტად. მას მიყავს ერთ-ერთი ურთულესი დისციპლინა, როგორცაა ბიბლიოგრაფმცოდნეობა. ამავე დროს არის სხვადასხვა ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფი კონსულტანტი, ეწევა სამეცნიერო მოღვაწეობას, ქმნის სალექციო კურსებს, აქვეყნებს ბიბლიოგრაფიულ ნაშრომებს.

ალა ოთაროვა მრავალი სტაგიის და წიგნის ავტორია. მისი ნაშრომები გამოიცა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაშრომი ლ.ნ. გოლსტოის შესახებ არსებული სტაგიების ირგვლივ „ნოვი მირში“, აგრეთვე „სოვეტსკაია ბიბლიოგრაფიაში“ გამოქვეყნებული მახევენებლები, 1988 წელს აქვე დაბეჭდილი სტაგია „საჭიროა არაფორმალური მიდგომა.“ დიდი ღვაწლი მიუძღვის მას როგორც თანაავტორს მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოქვეყნებულ ბეჭდური პროლექციის ბიბლიოგრაფიის ნაკვეთების შედგენაში, იყო ქართველ მეცნიერთა ბიბლიოგრაფიების რედაქტორ-კონსულტანტი, სისტემურად გამოდიოდა ორიგინალური მოხსენებებით სამეცნიერო სესიებზე, გამოქვეყნებული აქვს მრავალი კრიტიკული შენიშვნა, მაგრამ მისი მოღვაწეობის უმთავრეს გამოვლენას მაინც მისი „შექსპირიანა“ წარმოადგენს. ეს არის პირველი წარმატებული ცდა, შეიქმნას „ქართული შექსპირიანას“ სრული ბიბლიოგრაფია, რომელიც ნაკვეთებად გამოდის და გაგრძელებას ელის. ამ გამოცემებს კარგი გამოხმაურება მოჰყვა ჩვენშიც და უცხოეთშიც.

მას ყურადღება დაუთმეს აშშ კონგრესის ბიბლიოთეკასა და ბრიტანეთის შექსპირის ცენტრში.

ალა ოთაროვა 2001 წლიდან უკვე პენსიონერია, მაგრამ ერთი წამით არ ანელებს თავის საქმიანობას, განსაკუთრებით პედაგოგიურ სარბიელზე, იგი ბოლომდე განაგრძობდა სტუდენტებთან მუშაობას, რაც მისი ნამდვილი მოწოდება იყო. როგორც პროფესიონალი, პედაგოგიური ალლოთი დაჯილდოვებული პიროვნება, ის გამოირჩეოდა სტუდენტებთან საქმიანი ურთიერთობით, იყო მომთხონი, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, რაც მთავარია, თავის საქმეში უზომოდ შეყვარებული და თავდადებული ადამიანი. მისი პირდაპირობა და უშუალობა ხშირად იწვევდა ერთგვარ გაუგებრობას, ზოგჯერ კამათსაც, მაგრამ იგი ყოველთვის მოქმედებდა პრინციპულად და კორექტულად. სწორედ ამისათვის აფასებდნენ მას მისი კოლეგები. ალა ოთაროვას ლაკარგვა დიდი დანაკლისია კათედრისათვის. კიდევ ბევრი დრო გავა, ვიდრე მის ადგილს მისებრი პროფესიონალი და ღირსეული პედაგოგი დაიჭერს.

გრაგიკული იყო მისი დასასრული. ჩვენ არ ვიცით, როგორ მიიცვალა ის, მაგრამ ერთი ცნობილია – სახლში მარტოდ დარჩენილი, დილხანს უნდა ყოფილიყო სულმობრძავი და იმდენად დავრდომილი, რომ ვერ მოახერხა საშველად ვინმესთვის მოეხმო.

კოლეგებმა დიდი გულისტკივილით მივაბარეთ იგი საფლავს, სამუდამოდ გამოვეთხოვეთ, მძიმე განცლით შეპყრობილები დამუნჯებული ვიდექით მის სამარესთან და მხოლოდ ერთი სხივი ანათებდა ჩვენს გონებას – წავიდა ადამიანი ვალმოხდილი, კარგი სახელითა და ღირსებით, ლაგოვა თავისი ნაშრომები და, რაც მთავარია, კეთილი ხსოვნა და მოგონება.

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და
ბიბლიოგრაფიის კათედრა

ნათელა ლოლუა

4 მარტს 65 წელი უნდა შესრულებოდა, მაგრამ 28 თებერვალს მისი სულის იმქვეყნიურ სამყაროში გადასახლების 40 დღე აღენიშნეთ. წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი მუშაკი, თავისი დარგის ერთგული სპეციალისტი, დახვეწილი პროფესიონალი და ჩინებული მოქალაქე, დამსახურებული ბიბლიოთეკარი ნათელა ლოლუა.

მან 40 წელი იმოღვაწა საბიბლიოთეკო დარგში. იყო 166-ე საშუალო სკოლის ბიბლიოთეკარი. მისი წყალობით, ეს ბიბლიოთეკა ერთ-ერთი მოწინავე იყო თბილისის სკოლების ბიბლიოთეკებს შორის. დიდი და ხანგრძლივი შრომის დაფასებას წარმოადგენდა მაშინდელი სკოლის დირექტორის, აწ განსვენებული ა. ელიაურის მიერ მისთვის წმინდა ანთიმოზ ივერიელის სახელობის მედლის გადაცემა.

მეგობრები და კოლეგები გულისტკივილით იხსენებენ ძვირფას ადამიანს და დამწუხრებულები მიმართავენ მის სახელს:

„იცხოვრე ბობოქარი ცხოვრებით. დაუდგომელი, შემართებული, მებრძოლი სულის პა-

გრონი იყავი... წახვედი და დაგვიტოვე უდიდესი ტკივილი და მწუხარება... გლოვობს 166-ე სკოლის პედკოლექტივი და მოსწავლეები, რომლებიც შენ ასე ძალიან გიყვარდა... შენი ყველა საბიბლიოთეკო ღონისძიება ყოველთვის უნაკლო იყო. მთელი სკოლა გეიმობდა, თითქმის ყოველთვის ეხმაურებოდა მას პრესა და რადიო-გელევიზია“...




ნათელა ლოლუას შრომის შედეგი ნათლად გამოჩნდა, როდესაც მან სკოლის ბიბლიოთეკების დათვალიერება-კონკურსში გაიმარჯვა. სამწუხაროდ, გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე საავადმყოფოში მიიღო განათლების სამინისტროს,

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და მწიგნობართა ასოციაციის სიგელი. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია არა მარტო სასკოლო, არამედ საქართველოს საბიბლიოთეკო სამოგადოებისათვის.

თბილისის 166-ე საშუალო სკოლის
პედაგოგიური კოლექტივი





ნიგნა უთქვამთ:

კაცთა მომნიჭებელი პირველი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრება არს.

ღავით ჯიბისძე

წიგნი ფანჯარაა, რომლითაც სული სამყაროს უერთდება.

რ. ვილსონი

წიგნი ძვირფასი ჭურჭელია, რომელიც ჩვენ გვაფასებს, მაგრამ თვინოთ არ ცარიელდება.

ა. კურსელი

უწიგნოდ სწავლა საცერით წყლის ამოღებაა.

პლინიუსი

აღზრდის არსი წიგნის შეძენაში კი არა, მის გამოყენებაშია.

პლუტარქე

სახლი, რომელშიც წიგნი არ არის, უსულო სხეულს ემსგავსება.

ციცერონი

ის ოჯახი, სადაც წიგნს არ კითხულობენ, საფრთხით არასრულფასოვანი ოჯახია.

პ.ა. პავლენკო

უწიგნოდ ცხოვრება უფრო ძნელია, ვიდრე უპუროდ.

ვ.მ. კუბანევი

უწიგნოდ გატარებული ცხოვრება ნაადრევი სიკვდილია.

გოეთე

გონიერი კაცი იგივე წიგნია.

ილია ჭავჭავაძე

წიგნი სულის ჭურჭელია.

თ. მანი

ადამიანის განათლება მგვიცდება და სრულქმნილი ხდება წიგნების კითხვით.

ნ. ჩერნიშევსკი

წიგნი არის თავი და ბოლო ყოველგვარი ცოდნისა, საწყისთა საწყისი ყოველგვარი მცნიერებისა.

შ. ცვაიგი

შეკრიბა ზესტაფონის ცენტრ.

ბიბლიოთეკის მეთოდისგმა

ციალა თხელიძემ



განსხადება

ჩვენს ჟურნალში ავტორობის მსურველთა საყურადღებოდ!

რედაქცია მოგმართავთ თხოვნით: მასალა მოგვაწოდეთ საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი ან კომპიუტერული ტექსტით. შეიძლება თაბახის ფურცლების ცალ გვერდზე გარკვეული ხელით შესრულებული ხელნაწერიც. სასურველია, ავტორებმა თან დაურთონ თავიანთი ფოტოსურათი (ნებისმიერი ზომის).

რედაქცია

საქართველოს საზოგადოებრივი კვირეული - 2004



საბიზლიოთეკო კვირეული დაჯილდოვება

გვერდითი
შედეგები



NEBLINA

МЕЖДУ НЕБОМ И ЗЕМЛЕ
ПОЧУВСТВОВАТЬ СЕБЯ
ДРУГОЙ